

"24 საათის" ფიქიანი ნომერი

*2424

კოვენკაბენის სამიტი

A7



დმიტრი ავალიანი

დმიტრი მედევედი რუსეთის საზღვრებს გარეთ ომის წარმოებაზე სანქციას წინასწარ ითხოვს. წინადადება ფედერაციის საბჭომ უნდა დაამტკიცოს. რუსეთის ხელისუფლება მომავალი ომებისთვის კანონმდებლობას "აწესრიგებს" და ამისთვის ჯერ კიდევ არსებულ ფორმალურ დაბრკოლებებს ნელ-ნელა ხსნის. კრემლი მზად არის, მეზობლების მიმართ აგრესიულ პოლიტიკას საკუთარი მოქალაქეების უფლებებიც შესწიროს.

ომის ნებართვა

რუსეთის პრეზიდენტმა ფედერაციის საბჭოს წინადადებით მიმართა, მიანიჭოს მას რუსეთის საზღვრებს გარეთ შეიარაღებული ძალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების ერთპიროვნულად მიღების უფლება. პრეზიდენტის პრესსამსახურის ცნობით, შეიარაღებული ძალების გამოყენება რუსეთს შეიძლება დასჭირდეს "რუსეთის ფედერაციისა და მისი მოქალაქეების ინტერესების დასაცავად საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად". როგორც რუსულ ინტერნეტ-გამოცემა "გაზეტა.რუ"-ს პრე-

ზიდენტის ადმინისტრაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა განუცხადა, რუსეთის პარლამენტის ზედა პალატის დადგენილება, ფაქტობრივად, იქნება წინასწარი სანქცია რუსეთის ჯარების გაგზავნაზე ნებისმიერ ქვეყანაში, რასაც ფედერაციის საბჭოს თანხმობა აღარ დასჭირდება. თავის მხრივ, ფედერაციის საბჭოში აცხადებენ, რომ ამ დადგენილების მიღებას უკვე 16 დეკემბერს გეგმავენ. აღნიშნული წინადადებით მედევედემ და დეპუტატებს მას შემდეგ მიმართა, რაც სახელმწიფო სათათბირომ 23 ოქტომბერს, პრეზიდენტისვე ინიციატივით, მიიღო ცვლილებები კანონში

"თავდაცვის შესახებ". ამ ცვლილებების თანახმად, რუსეთს ენიჭება უფლება, საზღვარგარეთ საკუთარი შეიარაღებული ძალები გამოიყენოს "რუსეთის ინტერესების", რუსეთის მოქალაქეების დასაცავად, ასევე რუსეთის შეიარაღებულ კონტინგენტებზე თავდასხმის მოგერიების მიზნით. კანონის წინა ვერსიაში საზღვარგარეთ ჯარების გამოყენება მხოლოდ საერთაშორისო ტერორიზმთან საბრძოლველად და საერთაშორისო ხელშეკრულებების თანახმად იყო ნებადართული.

ბაზრძალაბა A3 გვარძა

ოთხშაბათიდან ორშაბათამდე კვირის რატონით

A10



ბარძან-რომაელებმა სპონონი ოთხი მადლით დაასრულეს

A13



სოფო კილასონია

ამ დღეებში მხოლოდ ერთ "ნიუსს" ველოდი ტელევიზიით - ინფორმაციას ღორის გრიპზე. მე იმ სამასში არ ვარ, ვინც აღრიცხეს, მე დანარჩენებში ვარ, ვისაც უთხრეს, ხარ თუ არა "ღორის მსხვერპლი", მნიშვნელობა აღარ აქვს, ვეღარ დავადგენთო. ანუ ინექტი, გემინოდეს და ელოდეთ. მეც ველი! და პერიოდულად ვკანკალებ კიდევ, ხან სიცხის გამო, ხანაც - შიშის. მერე კი ვცდილობ, შინაგანი მსჯელობით შევიქციო თავი თემაზე: გავრცელებული ორი აზრიდან, რომელი უფროა დიდი ტყუილი, ან სიმართლე: ის, რომ პანდემიაცა და ეპიდემიაც დიდი ხნის დაწყებულია და რატომღაც არ აცხადებენ; თუ ის, რომ ღორის გრიპი არ არსებობს, მე ჩვეულებრივი ზამთრის გრიპი მაქვს, მსოფლიო ბიზნესს კი - რთველი. დღეს ამოცანა შევცვალე და კურიერში სულ სხვა ამბავს ველი, მიუხედავად იმისა, რომ თერმომეტრი მიდის, მიქრის და 39 და 8 მგონი მხოლოდ ჩემი სტარტია, ეს მოლოდინი კი დღეს - მძიმე ასატანი. სიუჟეტი ჯერ არ იწყება და ამიტომაც უკვე ინტერნეტს ჩავკირკიტებ.

ბაზრძალაბა A11 გვარძა



სცენა "კარმენიდან" - ანიტა რაჭველიშვილი და იონას კაუფმანი

მეორადი ბაზარი - გამოსავალი

ბანანა ვარდიაშვილი

გამოყენებითი კვლევების კომპანია ARC-ის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, 2008-2009 სასწავლო წელს სახელმძღვანელოების სრული ნაკრები მოსწავლეთა მხოლოდ 54,1 პროცენტს ჰქონდა. სასკოლო წიგნების სრული კომპლექტის უქონლობის ძირითად მიზეზად მშობლებმა წიგნების მაღალი ღირებულება და ზოგიერთი სახელმძღვანელოს ნაკლები ხელმისაწვდომობა

დასახელეს. 2009-2010 სასწავლო წელს ასეთი კვლევა არ ჩატარებულა. თუმცა, გამომცემლობები აღიარებენ, რომ ბოლო წლების განმავლობაში წელს ყველაზე ნაკლები ახალი სახელმძღვანელო გაიყიდა. სამაგიეროდ, წელს წიგნების მეორადი ბაზარი გააქტიურდა. დაწყებით კლასებში (I-V კლასები) სასკოლო წიგნების მთლიანი ნაკრების ღირებულება საშუალოდ 78 ლარია, VI-IX კლასებში 118, ხოლო X-XII კლასებში 124 ლარი. კვლევის თანახმად, მოსწავლე-

თა 54,1 პროცენტს სახელმძღვანელოების სრული ნაკრები, მესამედზე მეტს კი წიგნების უმრავლესობა ჰქონდა. ყველაზე მეტი წიგნი იმ სკოლებს აკლდა, სადაც სწავლება ორ: ქართულ-რუსულ და რუსულ-სომხურ ენებზე მიმდინარეობდა. მოსწავლეების დაახლოებით 72 პროცენტს ყველა წიგნი ახალი ჰქონდა. ამავე დროს გამოკითხული მოსწავლეების 2,4 პროცენტი ქსეროკოპირებული წიგნებით, 8,4 პროცენტი კი მეორადი სახელმძღვანელოებით სარგებლობდა.

ზოგიერთ სკოლაში მიღებულია მეორადი წიგნების შიდა ბაზრობის გამართვის პრაქტიკა. ასეთ ბაზრობაზე წიგნები შედარებით დაბალ ფასებში იყიდება. დედაქალაქსა და რეგიონულ ცენტრებში ძირითადად 2008 წელს გამოცემული სახელმძღვანელოები გვხვდება. რაიონულ ცენტრებსა და სოფლებში - ძირითადად 2003-2007 წლებში, იშვიათად კი 1999-2000 წწ-ში გამოცემული სახელმძღვანელოებიც გვხვდება.

ბაზრძალაბა A4 გვარძა

24 საათი
"24 საათის"
ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

ალექსანდრე კვიციანი - საქართველო გრიპის ეპიდემიის ზღვარზე, თუმცა პანიკის საფუძველი არ არსებობს

საქართველო გრიპის ეპიდემიის ზღვარზე იმყოფება, თუმცა პანიკის საფუძველი მოსახლეობას არა აქვს, - ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა ალექსანდრე კვიციანმა გუშინდელ ბრიფინგზე განაცხადა.

მისივე თქმით, ყველა შემთხვევა, რომელიც ლაბორატორიულად დადასტურდა, მარტივი ფორმის არის, იყო მხოლოდ ოთხი რთული შემთხვევა, თუმცა ყველა ეს პაციენტი უკვე გამოჯანმრთლებულია. მინისტრის ინფორმაციით, ყველა შემთხვევა, რომელიც დაფიქსირებულია, მკურნალობას ექვემდებარება.

სააგენტო "ინტერპრესნიუსის" ცნობით, კვიციანი მოსახლეობას მოუწოდებს, გრიპის გამოვლინების შემთხვევაში ყოველგვარი პანიკის გარეშე მიაკითხონ პოლიკლინიკებს, პოლიკლინიკის ექიმები კი თავად დააკვალიანებენ მოსახლეობას. ამასთან, ჯანდაცვის მინისტრის განცხადებით, სეზონურ გრიპებთან მიმართებაში წელს, გასულ წლებთან შედარებით, მეტი შემთხვევა დაფიქსირებული. ბოლო მონაცემებით, საქართველოში H1N1 ვირუსის 300-ზე ოდნავ მეტი შემთხვევა დაფიქსირდა. თუმცა, როგორც მინისტრი აცხადებს, გარდა 4 შემთხვევისა, ყველა შემთხვევა მსუბუქი იყო. მინისტრის თქმით, ანტივირუსული მედიკამენტები საქართველოში საკმარისია.

ინციდენტების პრევენციის ჭკუის შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა

ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში სამუშაო ჯგუფების გალის გუშინდელ შეხვედრაზე ვერც ერთ საკითხზე ვერ შეთანხმდნენ. კომისიის უკვე მეთექვსმეტე შეხვედრაზე მხარეები ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე, ადმინისტრაციულ საზღვარზე არსებულ ვითარებასა და კრიმინოგენულ ვითარებაზე მსჯელობდნენ.

ქართულ მხარეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის თავმჯდომარე შოთა უტიამაშვილი წარმოადგენდა.

ქართული დელეგაციის მიერ წამოყენებული ყველა საკითხი რუსეთის წარმომადგენლებმა დაბოლოეს. ამასთან სეპარატისტებმა განაცხადეს, რომ ისინი საზღვრის აღჭურვას ანარმობენ. პროცესის დასრულების შედეგად კი, სავარაუდოდ, რამდენიმე გადასასვლელს დატოვებენ.

აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მრჩეველმა ლევან თევზაიამ აღნიშნულ შეხვედრაზე კომენტარი გააკეთა და განმარტა, რომ მიუხედავად შეთანხმების მიუღწევლობისა, შეხვედრისას საუბარი არაერთ მწვავე და მნიშვნელოვან პრობლემას შეეხო. მათ შორის ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთის საკითხს.

ცნობისათვის - გალში პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში სამუშაო ჯგუფების მომდევნო შეხვედრა 20 იანვარს გაიმართება.

პრეზიდენტის შეხვედრა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ავღანის რეზიდენციაში ლატივის პრეზიდენტ ვალდის ზატლერს უმასპინძლა. პრეზიდენტების პირისპირ საუბრისას ლატივის პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ლატივა მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მის სწრაფვას ნატო-სა და ევროსტრუქტურებში. შეხვედრის მიმდინარეობისას ყურადღება გამახვილდა საქართველოსა და ლატივის შორის აქტიურ თანამშრომლობასა და სამომავლო ურთიერთობებზე. გარდა ამისა, ლატივის პრეზიდენტმა კომენტარი გააკეთა რუსეთის განხ-

რახვაზე, შეისყიდოს სამხედრო ავილაინერი "მისტრალი". როგორც ვალდის ზატლერსმა განმარტა, კარგად უნდა შეისწავლონ ეს საკითხი - მართლაც წარმოადგენს თუ არა ეს შესყიდვა რაიმე საფრთხეს რეგიონისთვის, თუ შესაძლოა ამით რუსეთსა და ევროპას შორის ნდობა ამალდეს და შეუწყობს თუ არა ეს ნაბიჯი ამ ნდობის ამალღებას ხელს. ლატივის პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ არსებობს სერიოზული ინსტრუმენტი - ნატო და სწორედ ამ ორგანიზაციის შიგნით მიმდინარეობს განხილვა. ამ საკითხის ირგვლივ კონსულტაციები რეგულარულად უნდა იმართებო-

დეს. მისივე თქმით, აუცილებელია ორგანიზებულად მოქმედება, რათა ყველა რეგიონში, განსაკუთრებით კი კავკასიის რეგიონში მშვიდობა შენარჩუნდეს.

საქართველოს პრეზიდენტმა ვალდის ზატლერს თანადგომისათვის მადლობა გადაუხადა. მიხეილ სააკაშვილმა შეხვედრაზე აგვისტოს ომში ლატივიელების მხარდაჭერა გაიხსენა. "ჩვენ და ლატივის ათასობით კილომეტრი და ერთი ზედმეტად განვილი ქვეყანა გვაშორებს, მეორე მხრივ კი გვეერთიანებს ბევრი საერთო ფასეულობა, ისტორია და გასაჭირი. შესაბამისად, ლატივის ჩვენი გასაჭირი კარ-

გად ესმის. მიუხედავად დიდი ძალისხმევით, რუსეთი დასახულ მიზანს მაინც ვერ მიაღწევს. არასდროს დაგვაინყდება, რომ როდესაც თბილისისკენ ტანკები მოდიოდნენ, მთელი ლატივიელი ერი ჩვენ გვერდით იდგა. შეგვიძლია ბევრი რამ ვისწავლოთ მათგან. ლატივისთან 15-წლიანი თანამშრომლობა და მეგობრობა გვაკავშირებს. მისი მოქმედი პრეზიდენტი ვალდის ზატლერსი პროფესიით ექიმა და ის 90-იან წლებში საქართველოში ტრავმატოლოგიურ ცენტრში ოპერაციებს აკეთებდა. დღეს კი ლატივა მომხრეების მობილიზებაში გვეხმარება," - განაცხადა პრეზიდენტმა.

პარლამენტი "საზოგადოებრივი მაუწყებლის" შესახებ

თავარი ივანიძე

დეკემბერში პარლამენტი "საზოგადოებრივი მაუწყებლის" განვითარებისთვის დამატებითი ნაბიჯების გადადგმას გეგმავს. ამ მიზნით საკანონმდებლო ორგანოში ინიცირებულია "მაუწყებლის შესახებ" კანონი შესახებ ცვლილებები. ასევე პარლამენტი დეკემბერში დაამტკიცებს "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს (ბორდის) ახალ წევრებს, რომელთა არჩევაც პრეზიდენტის მიერ პარლამენტში უკვე შეტანილი სიიდან მოხდება.

"საზოგადოებრივი მაუწყებელი" ეთერში სამი სატელევიზიო სიხშირით გავა. სიხშირების გამოყენებული სუბიექტების რაოდენობის გაზრდას "მაუწყებლის შესახებ" კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი ითვალისწინებს, რომლის ავტორებიც დეპუტატები პავლე კუბლაშვილი, გიორგი მელიანი, ლამა თორდია და კახა ანჯაფარიძე არიან. პარლამენტში წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად, "საზოგადოებრივი მაუწყებლობა" სიხშირების გამოყენებით სამ სატელევიზიო და სამ რადიოარხზე განხორციელდება. სავარაუდოდ, აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა "პირველი კავკასიური არხის" ამოქმედებას უკავშირდება.

ასევე "მაუწყებლის შესახებ" კანონში შესატანი ცვლილებების თანახმად, გათვალისწინებულია "საზოგადოებრივი მაუწყებლის" დაფინანსების მიზმა ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტზე. ინიცირებული ცვლილებე-

ბის თანახმად, მაუწყებლის დაფინანსების ოდენობა უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფოს წინა წლის მთლიანი შიდა პროდუქტის არანაკლებ 0.12 პროცენტისა. სამომავლოდ კი, როგორც პროექტშია აღნიშნული, "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ბიუჯეტი მის მიერ გადასახდელმა და კანონმდებლობით ნებადართულმა სხვა შემოსავლებმა უნდა შექმნას, ამასთან "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გადასახდელი ყოველთვიურად მის ანგარიშზე უნდა დაირიცხოს." ცნობისათვის: "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მეტი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით, მისი დაფინანსების ფორმის შეცვლის ინიციატივით გასულ კვირას პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე გამოვიდა.

კანონპროექტის გარდა, როგორც აღნიშნეთ, პარლამენტში უკვე შესულია

პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ საქართველოს "საზოგადოებრივი მაუწყებლის" 15-წევრიან სამეურვეო საბჭოში შვიდ ეკანტურ ადგილზე წარდგენილი კანდიდატების სია.

შემოთავაზებულია 21 კანდიდატი. სია, კანონის თანახმად, თითო ვაკანსიისთვის სამკაცთან ჯგუფებად არის დაყოფილი. პარლამენტმა ყოველი ჯგუფის სამივე კანდიდატს უნდა უყაროს კენჭი და ჯგუფიდან ის ერთი კანდიდატი გახდება საბჭოს წევრი, ვინც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს.

პირველი ვაკანტური ადგილისთვის შემდეგი კანდიდატები დასახელდნენ: მურაზ ბასილია - სამართლებრივი განათლების ასოციაცია ALPE-ს მენეჯერის პოლიტიკოსების მონური დამოკიდებულება საპატრიარქოსა

აციის პროექტის კოორდინატორი; გიგანასარიძე - შპს "ფორმულა პლუსის" სცენარისტი, რომელსაც "რუსთავი 2"-ზე პოლიტიკურ-სატირული შოუ მიჰყავდა.

მეორე სამუშაო: ჯონი კალანდაძე - დროებით უმუშევარი (ტელეკომპანია "იმედის" ყოფილი პროდიუსერი, რომელიც "ქრისტიან-დემოკრატების" კანდიდატად მოიაზრება); ნოდარ სარჯველაძე - არასამთავრობო ორგანიზაცია "ქრისტიან-დემოკრატიული ინსტიტუტის" დირექტორი, ეს ინსტიტუტი ასევე "ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" მიერ დაარსდა; დიანო კაჭკაჭიშვილი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგი და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, სოციოლოგი. ეს უკანასკნელი "მედია კლუბის" მიერ დასახელებულ კანდიდატთა შორისაა.

მესამე სამუშაო: ლევან ფოფხაძე - ტელეკომპანია "იმედის" ინჟინერი, რომლის კანდიდატურასაც, გავრცელებული ინფორმაციით, დეპუტატი ჯონი ნინიაშვილი ლობიერებს; ინგა ბოლოთაური - საქართველოს პარლამენტის მონეული სპეციალისტი; ემზარ გოგუაძე - დროებით უმუშევარი.

მეოთხე სამუშაო: ბადრი სავარამია - თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი; ავთანდილ ანთიძე - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის ყ-4 ლოჯისტიკის დეპარტამენტის სამედიცინო უზრუნველყოფის, დაგეგმვისა და გარემოს დაცვის სამმართველო - ჯანმრთელობის დაზღვევისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში მთავარი

კონსულტანტი; ნანა გოგოჩაშვილი - დროებით უმუშევარი.

მეხუთე სამუშაო: გიორგი მელაძე - თავისუფლების ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი; ლეილა გაფრინდაშვილი - "ქალების ინიციატივა თანასწორობისთვის" თავმჯდომარე; ნინო დანელია - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროგრამის კოორდინატორი და მედიამკვლევარი. დანელია და გაფრინდაშვილიც "მედია კლუბის" მიერ დასახელებული კანდიდატები არიან.

მეექვსე სამუშაო: ლია ჩახუნაშვილი - კავკასიის უნივერსიტეტის მედიის სკოლის დეკანი ("მედია კლუბის" კანდიდატი); მზია გოგინაშვილი - ჟურნალისტი; მათა მიშველაძე - გაზეთ "ვერსის" ჟურნალისტი.

შემდეგი სამუშაო: მიხეილ აიფინოვი - ჟურნალისტთა ასოციაცია "მრავალეროვანი საქართველოს" თავმჯდომარე; შორენა შავერდაშვილი - ჟურნალ "ლიბერალის" მთავარი რედაქტორი და თანადამფუძნებელი ("მედია კლუბის" კანდიდატი); თამაზ ბიბილური - საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის "სხივის" პრეზიდენტი, გაზეთ "სხივის" მთავარი რედაქტორი.

პარლამენტი შემოთავაზებულ კანდიდატებს დეკემბერში უყრის კენჭს.

ამით დასრულდება "საზოგადოებრივი მაუწყებლის" საბჭოს დაკომპლექტების საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი. წინასწარ გავრცელებული ინფორმაციით, ამ პროცესის პარალელურად, ოპოზიციის ნაწილი "საზოგადოებრივი მაუწყებლის" წინ აქციების განახლებას გეგმავს.

პასუხის პასუხი

მიმართვა საპატრიარქოს და პოლიტიკოსებს

მარი ახსიაშვილი

გუშინ სამოქალაქო საზოგადოების ნაწილმა საპატრიარქოს პოზიციის შეხახებ სპეციალური მიმართვა გამოაქვეყნა. მიმართვის ავტორებმა გუშინ "არტ კაფეში" პრესკონფერენცია გამართეს. მიმართვის ავტორთა პროტესტის მიზეზი გახდა რამდენიმე დღის წინ, საზოგადოების ერთი ნაწილის მიერ საპატრიარქოსა და ხელისუფლებისთვის გაზავნილ შეკითხვებზე საპატრიარქოს წარმომადგენლების კომენტარი. კერძოდ, საპატრიარქოს პრესსამსახურის უფროსმა დავით შარაშენიძემ განაცხადა, რომ "ჩვენ შეკითხვების ავტორებს საზოგადოების ნაწილად არ მივიჩნევთ და პასუხების გაცემას არ ვაპირებთ".

მიმართვის ერთ-ერთმა ავტორმა, ფსიქოლოგმა დავით ამირეჯიბმა "24 საათთან" საუბრისას განაცხადა, რომ საპატრიარქოს მხრიდან ამგვარი პოზიციის დაფიქსირება საზოგადოების კითხვების თავიდან არიდების აბსურ-

დული და არასერიოზული მცდელობაა. "ჩვენ, ყველა ხელმომწერი, საქართველოს მოქალაქეები ვართ და ამავე დროს სხვადასხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტის წევრები. ძალიან არასერიოზულია მათი მხრიდან იმის თქმა, რომ 235 ადამიანი არ არის საზოგადოების წევრი. ამით საპატრიარქო გვეუბნება, რომ არ აპირებს სიმართლის თქმას და საბჭოთა მემკვიდრეობისგან გაათავისუფლებას," - აღნიშნა დავით ამირეჯიბმა.

როგორც ამირეჯიბმა აღნიშნა, მათ ხელისუფლების მხრიდან მიიღეს წერილი, რომ ეცნობიან პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვის განკუთვნილ კითხვებს და პასუხები აუცილებლად გამოქვეყნდება.

თავისუფლების ინსტიტუტის წევრთა თუთბერიძის განცხადებით, არავის აქვს უფლება, ვინმეს საზოგადოების წევრობის უფლება ჩამოართვას. "სწორედ ეს არის ანტიქრისტიანული ქმედება. საპატრიარქო, ქრისტეს სახელს ამოფარებული, ადამიანებს შეურაცხყოფას აყენებს, როდე-

საც ამბობს, რომ არ მიიჩნევს მათ საზოგადოების წევრებად და სიმართლეს უმაღლავს," - განაცხადა თუთბერიძემ ჩვენთან საუბარში.

"ტოლერანტობის ცენტრის" ხელმძღვანელ ბექა მინდიაშვილის თქმით, საპატრიარქოს პოზიცია შემამოთხებელია, რადგან ეს არის ადამიანების სეგრეგაციის მცდელობა და ქმნის საზოგადოების გახლეჩა-დაპირისპირების საშიშროებას.

"საპატრიარქო ადამიანებს ყოფს საზოგადოების წევრებად და ანტიწევრებად. მან, ფაქტობრივად, გამოთქვა სურვილი, რომ ეს 235 ადამიანი არ იყოს აქტიური, არ სვამდეს კითხვებს, იყოს ჩუმად. საპატრიარქოს ეს პოზიცია აცდენილია ქრისტიანულ საფუძველს და არაჰუმანურია. ჩვენ ვიბრძვით სიმართლისთვის, ჯანსაღი ქრისტიანობისა და მართლმადიდებლობისთვის. ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება, იცოდეს თავისი ეკლესიის წარსული, გააპროტესტოს პოლიტიკოსების მონური დამოკიდებულება საპატრიარქოსა

და პატრიარქის მიმართ," - განუცხადა მინდიაშვილმა "24 საათს".

მისი განმარტებით, მიმართვა იმ პოლიტიკოსებსაც ეხებათ, რომლებიც "საზოგადოების ნაწილზე სიტყვიერ აგრესიას ახორციელებდნენ", რადგან დაუშვებელია, რომ სეკულარულ-სამართლებრივ სახელმწიფოში პოლიტიკოსები ადამიანებს კონფესიურ ბრალდებას უყენებდნენ და ამით მათ მარგინალიზაციას ცდილობდნენ.

"დეპუტატებმა და პოლიტიკოსებმა დაგმეს კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით შედგენილი კითხვები. გვიწოდეს "ერთი მუჭა მწვალებლები", "ქრისტეს ძვლის მკვნეტლები", "შეკითხვებით პატრიარქის მკვლელები". მათ სურთ ხელმომწერების სამართლებრივი დევნა. მართლმადიდებლობით ხელისუფლებისა და ოპოზიციის მანიპულირებაში საქართველოში საშუალო ხასიათი მიიღო, რამაც შეიძლება მძიმე შედეგები გამოიწვიოს," - აღნიშნა მინდიაშვილმა და დასძინა, რომ მის პირად პროტესტს ასევე იწვევს ედპ-ს განცხადება, რომლის თა-

ნახმადაც სოზარ სუბარს არ უნდა მიეცეს საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის უფლება. ამ მოთხოვნის მიზეზად კი ედპ ყოფილი სახალხო დამცველის მიერ რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვას ასახელებს.

სამოქალაქო საზოგადოების ნაწილი გუშინდელი მიმართვით საპატრიარქოსგან მოითხოვს იმის განმარტებას, თუ რა ნიშნით არჩევენ ერთმანეთს და არანეგრებს და მიაჩნიათ თუ არა, რომ მათი კომენტარი საზოგადოების გახლეჩისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია.

გარდა ამისა, მიმართვის ავტორების ზრით, ლიბერალურ-დემოკრატიულ საზოგადოებაში არ უნდა ჰქონდეს ადგილი სახელმწიფო და პოლიტიკური ინსტიტუტების კლერიკალიზაციას და პოლიტიკოსების მხრიდან მართლმადიდებლურ-პატრიოტული სლოგანების გამოყენებით საზოგადოებაში კონკრეტული ადამიანების მიმართ სიძულვილის გავლივებას.

გაზეთი "24 საათის" გამოცემა ივანე შავს "გვპ". რედაქტორ-გამომცემელი: მამუკა ფარქაშვილი, პაატა მუხამიძე.

რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მათა ჭალაგანიძე (საზოგადოება, Weekend), ინგა ალაიძე (სამართალი), დავით ნინიაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)

სოფო კილაშინა (რევიუ), კახა ფარქაშვილი (სპორტი). რედაქციის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეუვა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული მენეჯერი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქორია, ნინო ყაველაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ომის ნაბართვა

პირველი გვერდიდან

რუსეთის კონსტიტუციის მიხედვით, შეიარაღებული ძალების საზღვარგარეთ გამოყენების ნებისმიერ შემთხვევაში ფედერაციის საბჭოს სანქციაა საჭირო. გასული წლის აგვისტოში რუსეთის ხელისუფლებამ საკუთარი კონსტიტუცია უხეშად დაარღვია - სანქცია საქართველოს წინააღმდეგ ომზე ზედა პალატამ "უკანა რიცხვით", 25 აგვისტოს გასცა. მაშინ ფედერაციის საბჭოში ეს იმით ახსნეს, რომ საქართველოსთან ომში რუსეთი არა სამხედრო ოპერაციას, არამედ "სამშვიდობო ძალების კონტინგენტის დახმარების ღონისძიებებს" ახორციელებდა.

როგორც რუსული ინტერნეტ-გამოცემა "გრანი.რუ" აღნიშნავს, მედვედევის გადაწყვეტილება გაუგებარია, თუ გავითვალისწინებთ, რომ კანონში ბოლო ცვლილებების შესაბამისად, ამგვარი გადაწყვეტილების მიღება სწორედ პრეზიდენტის პრეროგატივაა, ახლანდელი პარლამენტი კი მის ნებისმიერ ბრძანებას ხელს მოახერხებს.

"თუმცა, როგორც დეკორატიული ორგანოც არ უნდა

იყოს ფედერაციის საბჭო, ის, ფორმალურად მაინც, პრეზიდენტზე საზოგადოების რაღაც კონტროლს ნიშნავს," - წერს გამოცემა. მედვედევის გეგმით კი, "დამყარდება აბსოლუტურად ერთპიროვნული მმართველობა ქვეყნისთვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხში, როგორც არის არმიის გამოყენება საზღვარგარეთ. იმ ამოცანების ჩამონათვალი კი, რომელთა შესრულების უფლებაც ამას წინათ რუსეთის შეიარაღებულ ძალებს მისცეს, შეიარაღებულ კონფლიქტებში ქვეყნის ჩართვისთვის უამრავ შესაძლებლობას იძლევა."

მედვედევის ინიციატივის კომენტარებისას რუსეთში მოქმედი პოლიტიკური და სამხედრო ანალიზის ცენტრის დირექტორმა ალექსანდრ ხრამჩინმა განაცხადა, რომ ფორმალური თვალსაზრისით ეს გადაწყვეტილება მოსახერხებელი ჩანს, რადგან რუსეთის ხელისუფლება თავიდან აიცილებს ზედმეტ ბიუროკრატიულ პროცედურებს. "თუმცა, დღევანდელ სიტუაციაში რუსეთში პარლამენტი პრაქტიკულად არ არსებობს - ის ნებისმიერ შემთხვევაში პრეზი-

დენტს დაუჭერს მხარს. ასე რომ, ასეთი ზომები ზედმეტად მეჩვენება," - აღნიშნა ხრამჩინმა. მისი აზრით, მედვედევის წინადადება უფრო მეტად "ყველაფერში აშშ-ს მიზანმიმართულ სურვილს" ნარმოადგენს.

აშშ-ს პრეზიდენტს ომის გამოცხადების უფლება მხოლოდ კონგრესის თანხმობით აქვს. თუმცა, ეს უფლება გასულ საუკუნეში მხოლოდ ორჯერ იქნა გამოყენებული - პირველი და მეორე მსოფლიო ომებში ამერიკის ჩართვის დროს. ყველა სხვა სამხედრო ოპერაციას აშშ საკანონმდებლო ხელისუფლების თანხმობის გარეშე იწყებდა.

მედვედევის გადაწყვეტილებას - მოხსნას უკანასკნელი ფორმალური ბარიერი სხვა ქვეყნებში ახალი ომების საწარმოებლად - წინ უძღოდა მთელი რიგი გადაწყვეტილებები. ოქტომბერში, სწორედ მაშინ, როდესაც სახელმწიფო სათათბირო თავდაცვის შესახებ კანონში ცვლილებებს იღებდა, რუსეთის პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანებულება, რომლითაც პრეზიდენტის 1993 წლის 2 აპრილის ბრძანებულების ერთ-ერთი პუნქტი გააუქმა. ამ პუნქ-

ტის თანახმად, საზღვარგარეთ ნევეამდელელების გაგზავნა მხოლოდ ნებაყოფლობით საფუძველზე ხდებოდა. შესაბამისად, მედვედევა ჯარში განვეულთა "ცხელ ნერტილებში" გაგზავნაზე შეზღუდვა მოხსნა. ბრძანებულების გამოსვლისთანავე რუსეთის გენშტაბის უფროსის მოადგილემ ვასილ სმირნოვმა პირდაპირ განაცხადა, რომ 2009 წლის შემოდგომაზე განვეული რუსეთის მოქალაქეები შეიძლება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში გაიგზავნონ.

ნევეამდელთა ომში მონაწილეობა 2008 წლის აგვისტოშიც აკრძალული იყო. თუმცა, კანონის არსებობამ ხელი ვერ შეუშალა რუსეთის ხელისუფლებას, საქართველოს წინააღმდეგ ომში ნევეამდელეები გაგზავნა, რომელთა ნაწილი ამ ომში დაიღუპა, უმეტესობა კი საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე გახსნილ სამხედრო ბაზებში, ხშირად გაუსაძლის პირობებში დარჩა. დღეს კი, როგორც ჩანს, მოსკოვში გადაწყვიტეს, შეეცვალებათ კანონები, რომელთა შესრულებას ისედაც არ აპირებდნენ.

დიმიტრი შაშკინი განათლების სამინისტროს თანამშრომლებს პრემიერ-მინისტრმა წარუდგინა



განათლებისა და მეცნიერების ახალი მინისტრი დიმიტრი შაშკინი სამინისტროს თანამშრომლებს პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა წარუდგინა. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, განათლების სექტორი ქვეყნის მთავარი პრიორიტეტია, რასაც ის ფაქტიც ადასტურებს, რომ 2010 წლის ბიუჯეტში განათლება და ჯანდაცვა არის ის სფეროები, რომლებსაც დაფინანსება გაეზარდა.

მანვე განათლების უკვე ყოფილ მინისტრს მადლობა გადაუხადა. "მადლობას ვუხდით ნიკა გვარამიას, ვინაიდან ის იყო ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მინისტრი მინისტრთა კაბინეტში. ვიტყვებ იმედს, რომ დიმიტრი შაშკინი კიდევ უფრო უკეთ გაართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობებს, ვიდრე ამას ახერხებდა გვარამია," - აღნიშნა გილაურმა.

თავის მხრივ, ნიკა გვარამიამ მადლობა გადაუხადა სამინისტროს თანამშრომლებს ერთი წლის განმავლობაში განეული თანამშრომლობისთვის, ასევე ყველა მასწავლებელსა და მოსწავლეს.

რაც შეეხება დიმიტრი შაშკინს, მისი განცხადებით, განათლების სისტემაში გაგრძელდება რეფორმები, იქნება ახალი იდეებიც. ახალი თანამდებობის დაკავებისთანავე შაშკინი შეხედრებს გამართავს სკოლებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან და მეცნიერებთან. "ჩვენი მთავარი პრიორიტეტი იქნება მასწავლებელი და მოსწავლე. უნდა იყოს იმის შესაძლებლობა, რომ მასწავლებელმა ასწავლოს და მოსწავლემ ისწავლოს", - განაცხადა შაშკინმა.

ოფიციალური ინფორმაციით, განათლების ყოფილმა მინისტრმა, ნიკა გვარამიამ თანამდებობა უცხოეთში სასწავლებლად გამგზავრების მიზეზით დატოვა.

"რესპუბლიკელები" განათლებისა და მეცნიერების სფეროს დაფინანსების პრობლემებზე საუბრობენ

"რესპუბლიკური პარტიის" წარმომადგენლები 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში განათლებისა და მეცნიერების სფეროს დაფინანსების პრობლემებზე საუბრობენ. ბიუჯეტში გამოყოფილი ასიგნებების კრიტიკული ანალიზი პარტიის განათლებისა და მეცნიერების კომისიის თავმჯდომარის გელა კვაჭანტირაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე წარადგინა. კვაჭანტირაძის განცხადებით, ხელისუფლების მიერ გამოცხადებული განათლებისა და მეცნიერების პრობლემები აშკარად არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან ამ სფეროს დაფინანსება მშპ-ს 2,5 პროცენტზე ნაკლებია, მაშინ როცა ეს მაჩვენებელი 2-3-ჯერ მეტი მაინც უნდა იყოს. მისივე თქმით, ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული პედაგოგთა ხელფასების ზრდა, გაუქმებულია პრეზიდენტის სტიპენდიები წარმატებული პედაგოგებისთვის, მცირდება სამეცნიერო კვლევისა და რუსთაველის ფონდის პროგრამების, ასევე სამოქალაქო ინტეგრაციისთვის დაგეგმილი ქართული ენის პროგრამის დაფინანსება.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, კვაჭანტირაძემ პარტიის სახელით რამდენიმე გადაუდებელი მოთხოვნა დააყენა. კვაჭანტირაძის განმარტებით, საგანგაშო მდგომარეობაშია ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, სახელმწიფო არაფერს აკეთებს ქართული ენის რეალური დამკვიდრებისთვის არაქართულენოვან მოსახლეობაში. "რესპუბლიკელები" ხელისუფლებას საქმიან წინადადებებს სთავაზობენ და ზოგად საგანმანათლებლო სკოლებისთვის, მეცნიერების განვითარებისთვის და ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსის განმტკიცებისთვის აუცილებელ პირობად ინსტიტუციური რეფორმების დაუყოვნებლივ გატარებას მიიჩნევენ, მათ შორის სკოლის სტატუსის ამაღლებას და საშუალო განათლების ატესტაციის ნიშნის გავალისწინებას უმაღლეს სასწავლებლებში აბიჯურიენტის მიღებისას. ასევე, პედაგოგის სოციალურ დაცვას და შრომით კანონმდებლობაში დისკრიმინაციული 37-ე მუხლის შეცვლას, რომლის თანახმადაც, დირექტორს აქვს უფლებამოსილება, პედაგოგი სამსახურიდან უმიზეზოდ გაათავისუფლოს.

მეცნიერების განვითარებისთვის კი "რესპუბლიკელები" მეცნიერების საგრანტო ფონდის, სამეცნიერო დაწესებულებების და რუსთაველის ფონდის პროგრამების დაფინანსების 2-ჯერ გაზრდას ითხოვენ.

სამებროლო-აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან მავთულხლართებს გაავლან

ნათია მსხილაძე

რუსეთის საოკუპაციო ჯარები ოკუპირებულ აფხაზეთში სამეგრელო-აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან დეკემბრის ბოლომდე 6 მწკრივად 15 მეტრ სიგანეზე მავთულხლართების გაკეთებას გეგმავენ. კერძოდ, რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის თანამშრომლები მავთულხლართებს იმ სოფლებთან გაავლანენ, რომლებიც დანარჩენ საქართველოს სახმელეთო საზღვრით უკავშირდება.

ამის შემდეგ ფიჩორის, ოტობაიას, განმუხურის, ნაბაკევის, ხურჩისა და საბერიოფახლანის შემოვლითი გზები საბოლოოდ ჩაიკეტება და მოსახლეობა სრულ იზოლაციაში მოექცევა, რადგან ენგურის ცენტრალური ხიდით გადაადგილება სხვადასხვა მიზეზების გამო ყველასთვის ხელმისაწვდომი არ იქნება.

თავიდანვე ცხადი იყო, რომ რუსეთის საოკუპაციო ჯარები საზღვარს სრულად გააკონტროლებდნენ, რადგან მათ აფხაზი მებრძოლები ეტაპობრივად ჩაანაცვლეს.

აფხაზი მებრძოლებისგან მხოლოდ საზღვრის გადმოკვეთის ტარიფი დარჩა, რომელიც მათ დაანესეს და 50 ლარის ფარგლებში მერყეობს. ეს თანხა ამჟამად რუსული საოკუპაციო ჯარის ჯიბეში მიდის. "რუსეთის საოკუპაციო ჯარები თავიდანვე აცხადებდნენ, რომ ეტაპობრივად მოხდებოდა მათ მიერ

ე.წ. საზღვრის გაკონტროლება, აქედან გამომდინარე კი უკვე იდგა იყო ნაგულისხმები, რომ ისინი აბსოლუტურ კონტროლს დაამყარებდნენ. სწორედ ამის ერთ-ერთი ნიშანია იყო იქიდან აფხაზი მებრძოლების გაყრა, რომლებიც ახდენდნენ არა საზღვრის კონტროლს, არამედ დაკავებულები იყვნენ ფულის აღებით გადასვლა-გადმოსვლაში. სხვადასხვა შემთხვევიდან გამომდინარე, თანხაც სხადასხვა იყო," - განაცხადა გაზეთ "24 საათთან" საუბრისას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის უფროსმა ბესიკ სილაგაძემ.

საზღვარზე მავთულხლართების გავლენის მიუხედავად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განმარტებით, მოძრაობა რაღაცა ფორმით მაინც იქნება. ამაზე ეკონომიკური ფაქტორიც მოქმედებს, რადგან ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას საზღვარს აქეთ პროდუქტის ყიდვა უფრო იაფად შეუძლია. თავად აფხაზები საზღვარზე გადმოსვლას უფრო ხიან და პროდუქციის დაბალ ფასად შესაძენად გალის ქართულ მოსახლეობას უკავშირდებიან.

მავთულხლართების გავლენა რუსმა საოკუპაციო ჯარმა გეგმის მიხედვით დეკემბრის ბოლომდე უნდა დაასრულოს. ამ პროცედურის დამთავრებამდე აფხაზეთიდან საზღვარს აქეთ საცხოვრებლად უკვე გადმოვიდა ხუ-

თი აფხაზური ოჯახი, 60 აფხაზი ქართული პასპორტის აღებას ითხოვს. რა პირობებს სთავაზობს ქართული მხარე აფხაზ მოსახლეობას საზღვრის აქეთ საცხოვრებლად გადმოსვლის შემდეგ, ამ ინფორმაციას უსაფრთხოებიდან გამომდინარე ვერ ვეროობით საჯაროს არ ხდია. "აფხაზები რეალურად ხედავენ, რომ მათ მიმართ გენოციდი ხორციელდება, გახშირდა ადამიანთა გატაცებების ფაქტები. ამიტომ აფხაზები ტოვებენ რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიას და საქართველოში გადმოდიან," - განაცხადეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში.

აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობა პასპორტების აღების პროცედურის შესახებ სულ სხვა ინფორმაციას ავრცელებს. სოხუმის მარიონეტული რეჟიმის შს-ს საპასპორტო-სავიზო სამსახურის ხელმძღვანელ ვალერი მალიას განცხადებით, აფხაზეთში მცხოვრები 85 ეროვნების მოქალაქეებზე სულ გაცემულია 146 121 პასპორტი. მათ შორის აფხაზური პასპორტი 73 622-მა აფხაზმა, 32 363-მა სომეხმა, 17 795-მა რუსმა, 12 156-მა ქართველმა, 2 430-მა უკრაინელმა, 1 500-მა ბერძენმა და 2 138-მა აბაზინმა მიიღო.

აფხაზეთის ოკუპირებულ სოფლებში - ფიჩორში, ოტობაიასა და თავილონში ჩქარი ტემპით მიმდინარეობს რუსეთის სამხედრო ბაზების მშენებლობაც. სამეგრელო-ზემო სვანეთში აფხაზეთის დევნი-

ლი მთავრობის წარმომადგენლობის უფროსი თორნიკე კილანავა ოკუპირებულ სოფლებში სამხედრო ბაზების მშენებლობას ადასტურებს. რუსი სამხედროები ყოველდღიურად ეზიდებიან სამშენებლო მასალებს ოჩამჩირის ნავსადგურიდან ბაზების მშენებლობისთვის. მუშებზე მათ ყაბარდოელი ახალგაზრდები ჰყავთ ჩამოყვანილი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა მიიჩნევს, რომ აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად საჭიროა საერთაშორისო თანამეგობრობის გააქტიურება და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მათი მხრიდან კონტროლის განხორციელება. "აფხაზეთის მთავრობა ყველა დონის შეხვედრაზე აფიქსირებს, რომ აუცილებელია საერთაშორისო თანამეგობრობამ მტკიცე პოზიციები დაიკავოს ანუ დაითანხმონ რუსეთი, რომ ევროკავშირის საპოლიტიკო ძალები ოკუპირებულ ტერიტორიებზე შევიდნენ და კონტროლი განახორციელონ. საერთაშორისო ორგანიზაციების პოზიცია ის არის, რომ ამ ყველაფერს ფრთხილი და ეტაპობრივი მიდგომა სჭირდება," - აღნიშნა ბესიკ სილაგაძემ.

აფხაზეთის მთავრობა სახალხო დიპლომატიის გაძლიერებას აპირებს და ერთს პლუს ერთის ფორმატის ამოქმედებას ანუ აფხაზეთთან პირდაპირ შეხვედრებს იწყებს.

ნავთობის ფასები ვარდნას განაგრძობს

მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასები ვარდნას განაგრძობს. სააგენტო "ფრანს პრესის" ინფორმაციით, ნიუ-იორკის ბირჟაზე Light Sweet Crude მარკის ნავთობის ფასი ბარელზე 1.54 აშშ დოლარით შემცირდა და 73,93 აშშ დოლარი შეადგინა.

ნიუ-იორკის ბირჟაზე კი Brent Crude მარკის ნავთობის ფასმა ბარელზე 1.09 აშშ დოლარით მოიმატა და 76.43 აშშ დოლარზე დაფიქსირდა. ინტერპრესნიუსი

საფონდო ბირჟაზე "სახალხო ბანკის" აქციებზე მოთხოვნა და ფასი შემცირდა

საქართველოს საფონდო ბირჟაზე "სახალხო ბანკის" აქციებზე მოთხოვნა და ფასი შემცირდა.

გუშინდელ ვაჭრობაზე ბანკის აქციებზე 3 გარიგება დაიდო, გაიყიდა 91 428 ფასიანი ქალაქი, გაყიდული აქციების ჯამურმა ღირებულებამ კი 6 050 ლარი შეადგინა.

"სახალხო ბანკის" აქციის მინიმალური ფასი - 0.065 ლარით, მაქსიმალური - 0.070 ლარით, ხოლო საშუალო შენონილი 0.066 ლარით განისაზღვრა.

საფონდო ბირჟაზე ნოემბრის განმავლობაში "სახალხო ბანკის" 2 697 427 ფასიანი ქალაქი გაიყიდა, რომელთა ჯამურმა ღირებულებამ 165 211 ლარი შეადგინა.

"სახალხო ბანკი" სულ 1 572 110 000 ფასიანი ქალაქი ფლობს, საიდანაც 1 434 047 240 აქცია ანუ 91.218 პროცენტი ახლად დაარსებულმა საინვესტიციო ფონდმა "Liberty Investment" 15 მლნ აშშ დოლარად შეიძინა. ინტერპრესნიუსი

რეგიონული მალალი ძაბვის გადამცემი ხაზის მშენებლობისთვის გერმანია საქართველოს 100 მლნ ევროს გამოუყოფს

რეგიონული მალალი ძაბვის გადამცემი ხაზის მშენებლობისთვის გერმანია საქართველოს 100 მლნ ევროს ოდენობის დახმარებას გამოუყოფს. ამის შესახებ ფინანსთა მინისტრის მოადგილემ დიმიტრი გვინდაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომელსაც საქართველოში გერმანიის სრულუფლებიანი ელჩი პატრიცია ფლორიც ესწრებოდა.

გვინდაძის განცხადებით, აღნიშნული გადამცემი ხაზის მშენებლობისთვის გერმანიის მთლიანი ღირებულება 260 მლნ ევროს შეადგენს. მათგან 80-80 მლნ-ს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი და ევროპის საინვესტიციო ბანკი გამოუყოფენ.

ამასთან, აღნიშნული თანხიდან მხოლოდ 25 მლნ ევრო არის გრანტი, დანარჩენი კი სესხია. თუმცა მინისტრის მოადგილის მტკიცებით, კრედიტი გრძელვადიანია და საპროცენტო განაკვეთიც - საკმაოდ დაბალი.

აღნიშნული პროექტი გათვალისწინებული გადამცემი ხაზის მშენებლობა 2010 წელს დაიწყება. პირველი

თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოძიება ინტერნეტის მეშვეობით იქნება შესაძლებელი

თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოძიება ინტერნეტის მეშვეობით იქნება შესაძლებელი.

საჯარო სამსახურის ბიურომ თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების ელექტრონული საძიებო სისტემა შეიმუშავა, რომლის მეშვეობით შესაძლებელია ნებისმიერი დეკლარაციის მოძიება და უფასოდ ჩამოტვირთვა.

ელექტრონული საძიებო სისტემის პრეზენტაცია გუშინ საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსმა ირაკლი კოტეტიშვილმა გამართა.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული სისტემის ამოქმედებამდე მოქალაქეებს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მისაღებად განცხადების დანერა უხდებოდათ. ამის შემდეგ განცხადების განხილვა ხდებოდა, რაც თავისთავად დროში განელილი პროცესია. ამასთან, ინფორმაციის გაცემა მხოლოდ ასლის მოსაკრებელის გადახდის შემდეგ ხდებოდა. პირველი

მეორადი ბაზარი - გამოსავალი

პირველი გვერდი

ახალი და მეორადი ნივთების თანაფარდობა დედაქალაქისა და სოფლის მოსწავლეებს შორის მნიშვნელოვნად განსხვავდება: სოფლებში ძირითადად მეორადი ნივთები ქარბობს. რეგიონებში მოსწავლეების დაახლოებით 46 პროცენტს მეორადი ნივთები აქვს, მაშინ როცა დედაქალაქში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 2,4 პროცენტის ტოლია.

სახელმძღვანელოების სრული კომპლექტის შეძენისთვის საჭირო თანხის უკმარისობის დროს გამოსავალი ძირითადი საგნების სახელმძღვანელოების შეძენაა. გარდა ამისა, მოსწავლეები ხშირად იძენენ იმ საგნების სახელმძღვანელოებს, რომლებიც მოსწონთ. ანალოგიური სურათია სკოლებში, სადაც სწავლება რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე მიმდინარეობს.

სკოლებში, სადაც სწავლება ორ ენაზე მიმდინარეობს, გაცილებით იშვიათად იძენენ ნივთებს საყვარელი საგნების მიხედვით და უპირატესობას ძირითად საგნებს ანიჭებენ. 9 "არაძირითადი" საგნის სახელმძღვანელოებში იგულისხმებოდა: "ხელოვნება", "რელიგიის ისტორია", "შრომითი სწავლება", "მუსიკა", "ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია", "საგზაო მოძრაობის წესები", "სამოქალაქო თავდაცვა" და "ინფორმატიკა".

სახელმძღვანელოების შეძენას, მაღალი ფასის გარდა, ხშირად ზოგიერთი ნივთის დეფიციტაც ართულებს. სასკოლო ნივთების დეფიციტის მთავარი მიზეზი კი მათი მცირე ტირაჟებია. 2008-2009 სასწავლო წელს გამოცემლობებმა სულ 267 სახელმძღვანელო დაბეჭდეს. აქედან 34 სახელმძღვანელოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ რეკომენდებული სახელმძღვანელოს გრიფი არ ჰქონდა მინიჭებული. ასეთი გრიფით ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი სახელმძღვანელოს სასწავლო გეგმებთან შესაბამისობას განსაზღვრავს. 2009-2010 წელს გრიფი 196 სახელმძღვანელოს მიენიჭა. გრიფის მოქმედების ვადა 5 წლით განისაზღვრება. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე საგანში სასწავლო გეგმა მნიშვნელოვნად შეიცვლება, გრიფის მოქმედების ვადა შესაძლოა 5 წელზე ადრეც ამოიწეროს. სწორედ ეს არის ის ძირითადი მიზეზი, რის გამოც გამოცემლობები სასკოლო სახელმძღვანელოებს



დიდი ტირაჟით არ ბეჭდავენ: "იმის გამო, რომ სახელმძღვანელო სწრაფად იცვლება, მას მცირე ტირაჟით ვბეჭდავთ. დეფიციტი იმიტომ ჩნდება, რომ გამოცემლობამ არასოდეს იცის, მის მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოზე როგორი მოთხოვნა იქნება. გამოცემლობები სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და პედაგოგებს ნივთის რეკომენდების და მასწავლებელთა დატრენინგების ფარგლებში სასწავლო წლის დაწყებამდე 2 კვირით ადრე ხვდებიან. ეს კი მცირე დროა იმისთვის, რომ მასწავლებლები ჩამოყალიბდნენ," - აცხადებს გამოცემლობა "დიოგენეს" გაყიდვების მენეჯერი ნათია შერვაშიაძე.

საქართველოში სასკოლო ნივთების რეალიზაციის ყველაზე გავრცელებული ადგილი ღია ბაზრობაა. ასეთ ბაზრობაზე კი ნივთის დეფიციტის დროს მისი ფასი ორმაგდება. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ვალდებულია, სახელმძღვანელოების ხარისხთან ერთად, მათი ხელმისაწვდომობაც უზრუნველყოს. სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, გამოცემლობებს დაევალებათ ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრისათვის იმ გასაყიდ პუნქტთა სიის მოწოდება,

სადაც სახელმძღვანელოები თავად გამოცემლობების მიერ დადგენილი ფასით გაიყიდებოდა. "გრიფირების პროცედურაზე, სახელმძღვანელოსთან ერთად, გამოცემლობას ევალებოდა, წარმოედგინა სახელმძღვანელოს ანკეტა, რომელშიც უნდა მიეთითებინა ნივთის გასაყიდი ფასი. გრიფირების წესის თანახმად, გრიფირების შემდგომ პირველ სასწავლო წელს გამოცემლობას სახელმძღვანელოების გაყიდვა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ანკეტაში მიითებულ ფასით უნდა უზრუნველყო. გამოცემლობის მიზნით უნდა შეფასდეს პუნქტთა ნუსხა, სადაც ვალდებულნი იყვნენ, სახელმძღვანელოები ანკეტაში და შემდგომ ელექტრონულ კატალოგში მიითებულ ფასად გაეყიდათ. გასაყიდ პუნქტთა სია ელექტრონულ კატალოგთან ერთად დარიგდა სკოლებში და მასწავლებელს ჰქონდა საშუალება, სახელმძღვანელოების ელექტრონულ ნიმუშებთან ერთად, ენახა მათი ფასებიც, რაც სახელმძღვანელოს არჩევისას უშეზღუდვად ეხმარებოდა. გამოცემული ფაქტორი არ არის (ეს 2009 წელს ჩატარებულმა სახელმძღვანელოების ბაზრის კვლევამაც დაადასტურა)," - აცხადებენ ეროვნული

სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი.

თუმცა, ამ ფაქტმა სახელმძღვანელოების დისტრიბუციაში კიდევ ერთი პრობლემა შექმნა: გამოცემლობებმა ნივთებზე ფასი ისე განსაზღვრეს, რომ გაზარდეს ნივთის ფასდაკლების გათვალისწინება დაავიწყდათ. შესაბამისად, ნივთის დისტრიბუციაზე ზოგიერთი გამოცემლობის სახელმძღვანელოს გავრცელებაზე უარი თქვეს. არადა, ბევრ საგანსაც ვაჭრობა სახლს საცალო გაყიდვის პუნქტი არა აქვს.

2008-2009 სასწავლო წლისთვის სახელმძღვანელო ოცდაშვიდმა

გამომცემლობამ გამოცემა. აქედან 3 გამოცემლობა - "საქართველოს მაცნე", "დიოგენე" და "ინტელექტი" სახელმძღვანელოების ბაზარზე ასორტიმენტის მრავალფეროვნების მიხედვით აშკარად გამოხატული ლიდერია. 10 გამოცემლობას კი გასული სასწავლო წლისთვის მხოლოდ ერთი სახელმძღვანელო ჰქონდა გამოცემული. გასულ სასწავლო წელს თექვსმეტმა გამოცემლობამ სახელმძღვანელოების დაბეჭდვაზე უარი თქვა. მათ უმრავლესობას წინა წელს დაბეჭდილი სახელმძღვანელოების ნაშთი ჰქონდა დარჩენილი.

ამჟამად ბაზარზე ქართულენოვანი სკოლებისთვის 400 დასახელების სახელმძღვანელო გამოდის. გამოცემლობა "დიოგენე" 83 სახელმძღვანელოს გამოცემს. როგორც გამოცემლობაში აცხადებენ, წინა წლებში სახელმძღვანელოების რეალიზაციის დიდი ნილი სახელმწიფო შეკვეთებზე მოდიოდა, წელს კი ასეთი შეკვეთების ოდენობამ იკლო. მიუხედავად ამისა, როგორც "დიოგენეში" აცხადებენ, წელს სახელმძღვანელოების გაყიდვის მაჩვენებელი დიდად არ შემცირებულა.

გამომცემლობა "ინტელექტის" დირექტორი კახმე კუდავა კი მიიჩნევს, რომ წელს სახელმძღვანელოების გაყიდვისთვის ცუდი სეზონი იყო. გამოცემლობა "ინტელექტს" სახელმძღვანელოების ბაზრის დაახლოებით 17 პროცენტი უკავია. "ინტელექტი" ქართულენოვანი სკოლებისთვის 58, ხოლო არაქართული სკოლებისთვის 50 სახელმძღვანელოს გამოცემს. "წელს უფრო მეტი მეორადი ნივთი გაიყიდა. გამოცემული ნივთების დაახლოებით 50 პროცენტი არ გაგვეყიდა და გაკოტრებულს დატოვეთ, რადგან," - ამბობს კახმე კუდავა.

“ყველაზე მსხვილი უსხოური ინიციატივა”

ენარბატივის საქმეში ჩაიღებოდა

საქართველოში მიმდინარე წელს ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი უცხოური ინიციატივა ენარბატივის სექტორში ჩაიღებოდა. გუშინ პრეზიდენტის სასახლეში ნამახვანის კასკადის მშენებლობის შესახებ საქართველოს ენარბატივის სამინისტროსა და კორეულ "კეპკოს" შორის მემორანდუმი გაფორმდა.

საუბარია საერთო ჯამში 450 მეგავატი სიმძლავრის ჰესების კასკადზე, რომელიც სამი ჰესისგან შედგება. ჰესის მშენებლობაში 1 მილიონი დოლარის ინვესტიცია ჩაიდება და მას სამხრეთკორეული "კეპკოს" და თურქული "ნუროლისგან" შემდგარი კონსორციუმები დააფინანსებენ. მემორანდუმის ხელმოწერის შემდეგი ეტაპი დეტალური პროექტირებაა, ჰესის მშენებლობა 2011 წელს დაიწყება და 6 წელი გაგრძელდება.

საქართველოს ენარბატივის სამინისტროში განაცხადების მიღება მიდინარე როინზე 450 მეგ-

იანი ნამახვანის კასკადის მშენებლობის ინტერესთა გამოხატვაზე აგვისტოში დამთავრდა. თურქული კომპანია "ნუროლი", კორეული "კეპკო" კონსორციუმში გაერთიანდნენ, რათა აღნიშნული პროექტის განხორციელებაში მონაწილეობა მიიღონ.

ნამახვანის კასკადი სამეტაპიანი კასკადია, ჯამური წლიური გამოუშვავებით 1650 გვტ/სთ, რომელიც რიონის მნიშვნელოვან ჰიდროპოტენციალს იყენებს. იგი სამი ჰესისგან შედგება: ტვიშის ჰიდროელექტროსადგური - დადგმული სიმძლავრე 100 მეგავატი; ნამახვანის ჰიდროელექტროსადგური - დადგმული სიმძლავრე 250 მეგავატი; ფონეთის ჰიდროელექტროსადგური - დადგმული სიმძლავრე 100 მეგავატი.

მემორანდუმის გაფორმების შემდეგ მიხილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ კასკადის მშენებლობაზე 20 ათასი ადამიანი დასაქმდება, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკის განვითარებას.

"ეს ნიშნავს საქართველოში მეორე ენგურის აშენებას. ეს ნიშ-

ნავს იმერეთსა და რაჭაში დასაქმებულ 20 ათას ადამიანს. ვფიქრობ, რომ იქ, სხვა პროექტებთან ერთად, 2011 წლიდან დასაქმების დეფიციტი აღმოიფხვრება. 2011 წლიდან საქართველოში უზარმაზარ საინვესტიციო პროგრამას განახორციელებთ. ეს, გარდა იმისა, რომ ხალხს დასაქმებს, საქართველოს ელექტროენერჯის სახით მუდმივი ექსპორტის წყაროს გაუზრდის. ყველაზე საუკეთესო ენერჯოკომპანია "კეპკო" პირველად ახორციელებს საქართველოში კორეულ ინვესტიციას, ყველაზე წარმატებული სამშენებლო კომპანია "ნუროლი" მისი პარტნიორია.

უახლოეს მომავალში ფარვანის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას ვინცებთ. 1 წელიწადში კი ნამახვანის მშენებლობა დაიწყება. ეს საქართველოს ეკონომიკისთვის ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა და ახალი პარტნიორების დასაწყისია," - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ ნამახვან-

ჰესის მშენებლობის შესახებ განცხადება ნოემბრის თვეში პრემიერ-მინისტრმა გააკეთა. ნიკა გილაურის განცხადებით, ნამახვან-ჰესი საქართველოს ენერჯოუსაფრთხოების 100%-იანი გარანტია და უზარმაზარი საქსპორტო პოტენციალი იქნება. ნამახვან-ჰესის მიერ გამოშვავებული ელექტროენერჯის 100% ზამთარში საქართველოში დარჩება, დანარჩენ თვეებში კი, ძირითადად, თურქეთში გაიყიდება.

ამასთან, როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, ბოლო თვეების მანძილზე საქართველოში ინვესტორების გააქტიურება შეინიშნება. მაგალითისთვის გილაურმა სწორედ ენერჯეტიკის სფერო მოიხსენა. დეკემბრის მეორე ნახევარში სამცხე-ჯავახეთში ფარვანის მშენებლობა დაიწყება, რომელიც 78-მეგავატიანი იქნება. ჰესის მშენებლობას თურქული "ანადოლუ ჯაფუში" შემავალი "ურბან ენერჯი" დააფინანსებს, მშენებლობაში კი 140-მილიონიანი ინვესტიცია ჩაიღებოდა.

საქართველო-ლატვიის ბიზნესფორუმი თბილისში

ინოვაციური ნაბიჯები

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სასტუმრო "რედისონში", საქართველო-ლატვიის ბიზნესფორუმში გახსნა. მან თავის გამოსვლაში არსებული ეკონომიკური ვითარება განიხილა და ქვეყანაში შექმნილი საინვესტიციო გარემო შეაფასა. სააკაშვილის განცხადებით, დღეს საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი ოკუპირებულია, თუმცა ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა ვითარება შეიცვალოს და ქვეყანა წინ წაიხადოს.

მისი თქმით, საქართველოში ამოქმედდა უძრავი ქონების ბაზარი, ასევე შეიქმნა ეკონომიკური მაჩვენებლები და მდგომარეობა სხვა ქვეყნებთან შედარებით უკეთესია. პრეზიდენტის განცხადებით, მომავალ წელს ეკონომიკის გარანტირებული ზრდაა მოსალოდნელი. ამასთან, საქართველო 2010 წელს 2 მლრდ დოლარის ოდენობის ინვესტიციას ელოდება.

სააკაშვილის თქმით, საქართველო (ცდილობს, სინგაპურის გზით იაროს: "ქვეყანას არ აქვს ნათობი, გაზი და სხვა ბუნებრივი რესურსები, თუმცა აქვს კარგი სატრანსპორტო მარშრუტი."

პრეზიდენტის განცხადებით, საქართველოში აღმოიფხვრა კორუფცია, ბიუროკრატია, შემცირდა კრიმინალური ფაქტები. ბიზნესის კეთების რეიტინგით ქვეყანა მე-11 ადგილზეა, ხოლო საქართველო პირველ ადგილზე იმყოფება რეფორმატორ და კორუფციასთან მებრძოლ ქვეყნებს შორის.

ლატვიის პრეზიდენტ ვალდას ზატლერის განცხადებით, ლატვიის დელეგაცია საქართველოში კონკრეტული ბიზნესინიციативებით არის ჩამოსული.

როგორც სასტუმრო "რედისონში" სიტყვით გამოსვლისას ლატვიის პრეზიდენტმა განაცხადა, საქართველოსა და ლატვიას ამ ეტაპზე 53 ერთობლივი სანარმო აქვთ.

ზატლერის თქმით, მიმდინარე



წელს ლატვიასა და საქართველოს შორის ექსპორტი 30 პროცენტით გაიზარდა. ლატვიის პრეზიდენტის განცხადებით, საქართველოში ბიზნესფორუმზე ჩამოსული არიან მენარმეები ბიზნესის თითქმის ყველა სფეროდან და იგეგმება კონკრეტული ბიზნესგეგმების შემუშავება.

"პირველად საქართველოში 17 წლის ასაკში ვიყავი. თქვენი ქვეყანა მის შემდეგ სერიოზულად შეიცვალა. ლატვიასა და საქართველოს შორის ექსპორტი 30 პროცენტით გაიზარდა. ჩვენ 53 ერთობლივი სანარმო გვაქვს. სექტემბერში ლატვიის და საქართველოს ერთობლივი ბიზნესფორუმი ლატვიის ჩატარდა. დღეს კი აქ იმისათვის ვართ, რომ ბევრი ბიზნესშემოთავაზება გავაკეთოთ. ამ ფორუმის მიზანია ორივე ქვეყნისთვის კონკრეტული ბიზნესგეგმების შემუშავება. ჩვენ გვაქვს ძალიან კარგი კონტაქტები, რაც მომავალ თანამშრომლობას ხელს შეუწყობს," - განაცხადა ლატვიის პრეზიდენტმა.

საქართველოს პრეზიდენტის პროგნოზით კი, საქართველოში

2010 წელს ტურისტების რაოდენობა გაორმაგდება. "ომის შემდეგ საქართველოში ტურისტების რაოდენობამ მოიმატა და ის კიდევ უფრო გაიზარდება. ომამდე ბათუმში 500 ათასამდე ტურისტი იმყოფებოდა, ხოლო 2010 წელს ეს რიცხვი 600 ათასამდე გაიზარდება," - განაცხადა სააკაშვილმა.

მისი თქმით, ბათუმში ამ ეტაპზე მილიონ ექვსასი ათას კვადრატულ მეტრზე მშენებლობა მიმდინარეობს. შენდება სხვადასხვა ბრენდების სასტუმროები. გაიხსნა "შერატონი", გაფორმდა ხელშეკრულებები "ჰაიატისა" და "ჰილტონის" მშენებლობასთან დაკავშირებით. ბათუმში სხვა ბრენდების სასტუმროები აშენდება. პრეზიდენტის თქმით, მთლიანად საქართველოში შენდება გზები, ეწყობა თანამედროვე ინფრასტრუქტურა, არის რკინიგზის ხაზი, ვითარდება ახალი პორტები და მუშაობს თავისუფალი ეკონომიკური ზონა ფოთში. მისივე განცხადებით, სამომავლოდ ეკონომიკური თანამშრომლობა და ინფრასტრუქტურა კიდევ უფრო გა-

ფართოვდება და განვითარდება.

მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, საქართველოში ტურიზმის განვითარებისთვის კარგი კლიმატია. გაიზარდება ტურისტების რაოდენობა სამთო-სათბილამური კურორტებზეც. მან ლატვიელ ბიზნესმენებს მოუწოდა, უფრო ხშირად ჩამოვიდნენ საქართველოში და აქ არსებული ვითარება ახლოს გაიცნონ.

პრეზიდენტმა ეკონომიკური თავისუფლების აქტზეც ისაუბრა, რომლის ინიციატივითაც რამდენიმე თვის წინ იგი თავად გამოვიდა. პრეზიდენტმა ლატვიელ ბიზნესმენებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ აღნიშნული აქტით მომდევნო მთავრობის რეფერენდუმის გარეშე ვერ შეძლება გადასახადების გაზრდასა და ახლის შემოღებას. მისი თქმით, ძალიან მნიშვნელოვანია კიდევ ერთი მუხლი, რომელიც გათვალისწინებულია ეკონომიკური თავისუფლების აქტით, სახელმწიფო ხარჯები მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში 30%-ზე მეტი არ უნდა იყოს.

ორი ახალი ავტობასმართი სადგური "ვისოლის" ქსელში

სალონი ძაძაძის

კომპანია "ვისოლმა" ავტოგასამართი სადგურების ქსელს კიდევ ორი ახალი ობიექტი შემატა. ავტოსალონი ახალი ავტოგასამართი სადგურების პრეზენტაციას ევროპის უმსხვილესი ბანკი BNP Paribas, Geneva-ს წარმომადგენლები დაესწრნენ.

"ჩვენს საეჭრო ოპერაციებს მთლიანად ევროპის უმსხვილესი ბანკი BNP Paribas Geneva აფინანსებს. მათთან თანამშრომლობა კომპანიის მუდმივ ზრდაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ამასთანავე BNP Paribas-ის მხარდაჭერა საშუალებას გვაძლევს, ნავთობზე საერთაშორისო ფასების მკვეთრი ცვლილების შემთხვევაში, მაქსიმალურად ხანგრძლივი ვადით შევინარჩუნოთ ოპტიმალური ფასები ჩვენს საცალო ქსელში," - განაცხადა კომპანია "ვისოლის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე სოსო ფხაკაძემ.

2009 წელს კომპანიამ 20 მილიონ ლარზე მეტი ინვესტიცია განახორციელა. მიმდინარე კვირის საცალო ქსელში კიდევ ორი ახალი ავტოგასამართი სადგურს გახსნის ქუთაისში. ხოლო 2010 წლის მანძილზე "ვისოლი" 15-ზე მეტ ახალი ავტოგასამართი სადგურის მშენებლობას გეგმავს.

კომპანია "ვისოლის" გენერალური დირექტორი ვასილ ხორავა: "თითოეული ახალი ავტოგასამართი სადგურის გახსნა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მიუხედავად



მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა, ჩვენ განვითარების ჩვეულ ტემპს მივყევით და ახალ საშუალო ადგილებს ვქმნით. თითოეულ გასამართი სადგურზე საშუალოდ 15-20 ადამიანი დასაქმებულია."

კომპანიის ავტოგასამართი სადგურების მშენებლობა საერთაშორისო სტანდარტებისა და უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით ხორციელდება. "ვისოლის" ქსელში სანავის მინოდების მაღალტექნოლოგიური სისტემა სანავის ზუსტ ჩასმას უზრუნველყოფს.

დღეისათვის მთელი საქართველოს მასშტაბით "ვისოლის" 75 ავტოგასამართი სადგური ფუნქციონირებს, აქედან 35 - თბილისში და 40

- რეგიონებში. "ვისოლს" ავტოგასამართი სადგურების ყველაზე ფართო ქსელი აქვს საქართველოში.

"ვისოლის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე სოსო ფხაკაძე აცხადებს, რომ კომპანიის განვითარებისთვის ეკონომიკური კრიზისის ხელი არ შეუშლია. სწორედ კრიზისის პერიოდში აფართოვდა კომპანია ავტოგასამართი სადგურების ქსელს. ასევე ამ პერიოდში გაიზარდა იტალიური სანავი "აპის" გაყიდვები "ვისოლის" ქსელში.

კომპანია "ვისოლის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე სოსო ფხაკაძე: "მსოფლიო ფინანსური კრიზისის მიუხედავად, წარმატებით არ მოგვკლებია. დასავლეთ ევ-

როპის ქვეყნებისთვის შექმნილი იტალიური სანავი "აპი"-ს წილმა "ვისოლის" საერთო გაყიდვებში 35%-ს მიაღწია. ამასთანავე, კომპანიის საერთო საცალო გაყიდვებში წილი დაახლოებით 15%-ია. ეს იმ ფონზე, როცა ბაზარი არ გაზრდილა. ქსელის გაფართოებაც შეეძლო. 2009 წელს ჩვენს ქსელს 12 ახალი ბენზინგასამართი სადგური შეემატა. წლის ბოლომდე კიდევ 2 ობიექტი ქუთაისში გაიხსნება. მათი უმეტესობა რეგიონებშია. გარდა ამისა, ვაფართოვებთ გაზგასამართი სადგურების ქსელს. ალტერნატიული სანავის 6 მოქმედი სადგური უკვე ფუნქციონირებს მთელი საქართველოს მასშტაბით. 2010 წელს ასეთი სადგურების რაოდენობა კიდევ გაიზარდება. აღსანიშნავია ისიც, რომ 2009 წლის პირველ ნახევარში განვითარებაში ჩადებულმა ინვესტიციების მოცულობამ 25 მლნ ლარამდე შეადგინა.

ეკონომიკური კრიზისის დროს ჩვენ თანამშრომელთა რაოდენობა არ შეგვიმცირებია. პირიქით, ახალი კადრები დაგვემატა. მიუხედავად მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა, "ვისოლი" ჩვეულ განვითარების ტემპს მიჰყვება და ახალ საშუალო ადგილებს ქმნის. თითოეული ახალი ავტოგასამართი სადგურის გახსნა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. თითოეულ ავტოგასამართი სადგურზე საშუალოდ 15-20-მდე ადამიანი საქმდება. ამჟამად 2 000 ერთგული თანამშრომელი "ვისოლი" ყველაზე მსხვილი დამსაქმებელია საქართველოს ნავთობსექტორში."

ჰიბრიდული ჯიშის ვაზის გაჩეხვაში კომპენსირების მოთხოვნით თელავის გამგეობას 62-მა მევენახემ მიმართა

ჰიბრიდული ჯიშის ვაზის გაჩეხვის სანაცვლოდ კომპენსაციის გადახდის მოთხოვნით თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობას უკვე 62-მა მევენახემ მიმართა. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვასილ დავითაშვილმა განუცხადა, გამგეობაში შესული განცხადებები სულ 17 ჰა ვენახს მოიცავს. "ბევრი განცხადებები იმით არ გვაქვს, რომ ჰიბრიდული ჯიშის ვაზის აჩეხვის პროგრამა თელავის რაიონში ცოტა ხნის წინ დაიწყო. ამ სიახლეს მევენახეები სკეპტიკურად უყურებენ, თუმცა ვიცი, რომ მომავალ წელს 100 ჰა-ს გადავაცილებთ," - განაცხადა გამგებელმა. ჰიბრიდული ჯიშის ვაზის გასაჩეხად 1 ჰა ვენახზე სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ 1000 ლარს მევენახეები არასაკმარისად მიიჩნევენ. მათი თქმით, თუ მთავრობის მიზანს მართლაც ჰიბრიდული ჯიშის ვაზის სხვა კულტურული ჯიშებით ჩანაცვლება წარმოადგენს, ამ თანხით ახალი ვენახის გაშენება შეუძლებელია. **ჯი-ეი-ენი**

"საქართველოს ბანკმა"

The Banker-ის ჭილდო მიიღო

"საქართველოს ბანკმა" ჟურნალი The Banker-ისგან ჭილდო - "წლის ბანკი 2009" მიიღო. "საქართველოს ბანკის" გენერალური დირექტორ ირაკლი გილაურის განცხადებით, განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ "საქართველოს ბანკმა" აღნიშნული ჭილდო წელს მიიღო. "The Banker-ის მიერ "საქართველოს ბანკი" მეოთხე წელია ზედიზედ აღიარებული იქნა ქვეყნის წამყვან ბანკად. ამ ჭილდოს მიღება წელს განსაკუთრებით სასიამოვნოა, როდესაც ეკონომიკური რეცესიის დაძლევის შემდეგ ბანკი კიდევ უფრო ძლიერ ფინანსურ ინსტიტუტად მოგვევლინა," - განაცხადა "საქართველოს ბანკის" დირექტორმა ირაკლი გილაურმა. The Banker-ის ჭილდო "წლის ბანკი" 2000 წელს დაარსდა. მას შემდეგ იგი ყოველწლიურად მთელ მსოფლიოში წამყვან და კომერციულ ბანკებს მათი მიღწევებისთვის გადაეცემა. **ინტერპრესნიუსი**

ბაკურ კვეზერელი ორმეთში ციტრუსის მიმღებ-დამხარისხებელი პავილიონის სამუშაო პროცესს დაესწრო

პრეზიდენტის რწმუნებული გურიამი ვალერი ჩიტაიშვილი და სოფლის მეურნეობის მინისტრი ბაკურ კვეზერელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ორმეთში ციტრუსის მიმღებ-დამხარისხებელი პავილიონის სამუშაო პროცესს დაესწრნენ.

წელი სოფელ ორმეთში მდებარე კომპანია "ქართული ციტრუსი" მოსახლეობისგან 7-8 ათას ტონა ციტრუსს ჩაიბარებს.

როგორც "პირველს" გურიის გუბერნატორმა ვალერი ჩიტაიშვილმა განუცხადა, წელს "ქართული ციტრუსი" მოსახლეობისგან 1 კილოგრამ ნაყოფს 42 თეთრად იბარებს.

"აღნიშნულ კომპანიაში 20 ადამიანია დასაქმებული. მსგავსი მიმღებ-დამხარისხებელი პავილიონების გახსნა კიდევ იგეგმება, სადაც ციტრუსის ჩაბარებას მეზობელი ლანჩხუთის რაიონის მეციტრუსეებიც შეძლებენ," - განაცხადა ჩიტაიშვილმა. ანალოგიური პუნქტის გახსნა ხვალ სოფელ ნატანებშიც იგეგმება. **პირველი**

აჭარაში შემოვლითი გზის მშენებლობა 2011 წლისთვის დასრულდება

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ ავტობანის მშენებლობის შედეგად ბაქო-თბილისის სამანქანო გზის ხანგრძლივობა 4 საათამდე შემცირდება.

როგორც მიხეილ სააკაშვილმა გუშინ ავღაბრის რეზიდენციაში საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენელთა დაჯილდოებისას განაცხადა, აჭარაში შემოვლითი გზის მშენებლობა 2011 წლისთვის დასრულდება.

"ჩვენს საზღვრამდე, წითელ ხიდამდე ავტობანი შენდება, რაც ნიშნავს იმას, რომ ბაქოდან თბილისამდე მაქსიმალური სამანქანო გზა 4 საათი იქნება. ასევე, როცა სომხეთიდან გზა გაკეთდება ჯავახეთამდე და შემდეგ უკვე გაგრძელდება ბათუმამდე, მხოლოდ 3-3.5 საათი იქნება სამგზავრო ერეგნიდან ბათუმამდე, რასაც დღეს 8-9 საათი სჭირდება. ეს იმას ნიშნავს, რომ უზარმაზარი მოძრაობა დაიწყება ამ მიმართულებით და დიდი შემოსავალი შემოვა, რაც ხელს შეუწყობს ჩვენს ეკონომიკის განვითარებას. კონკურენცია იზრდება, იმ პირობებში, როცა სომხეთ-თურქეთის საზღვარი იხსნება და შესაძლოა ტვირტების ნაწილი იქით წავიდეს. 2011 წლის ბოლოს აჭარაში შემოვლითი გზა დამთავრებული უნდა იყოს," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა. **ჯი-ეი-ენი**

ცვლილება სისხლის სამართლის კოდექსში

„სისხლის სამართლის“ კოდექსში შესატანი ცვლილებების მიხედვით, გაუფრთხილებლობით ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებისთვის სასჯელი მსუბუქდება.

დღეს მოქმედი ნორმით, ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე. კანონპროექტით კი იგივე დანაშაული დაისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე.

კანონპროექტის ავტორები დეპუტატები ზვიად კუკავა, ლაშა თორდია და კახა ანჯაფარიძე არიან.

ინტერპრესნიუსი

ყალბი საგადასახდო დოკუმენტების დამზადებისა და გასაღების ფაქტზე ორი პირი დააკავეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის იმერეთის, რეჭა-ლენჩხუმისა და გურიის სამმართველოს თანამშრომლებმა ყალბი საგადასახდო დოკუმენტების დამზადებისა და გასაღების ფაქტზე ქუთაისში მდებარე შპს „საპოვნელა+“-ის დირექტორი ბადრი ლომინაშვილი და ბუღალტერი კახაბერ კახიძე დააკავეს.

როგორც საგამოძიებო სამსახურიდან იტყობინებიან, დაკავებულებმა ერთობლივად დაამზადეს და შემდეგ გაასაღეს ყალბი საგადასახდო ანგარიშ-ფაქტურა თანდართული ზედნაღებებით 30 000 ლარის ღირებულების სამშენებლო მასალაზე.

გამყალებლებს გასამართლების სახით 15 000 ლარი უნდა მიეღოთ. ისინი სამართალდამცველებმა თანხის მიღების ფაქტზე დააკავეს. აღნიშნულის გამო სახელმწიფო ბიუჯეტმა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიიღო.

მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ოთხიდან შვიდ წლამდე ვადით.

ანა მეზერიშვილი

პოლიციამ თბილისის სააფთიაქო ქსელის დაყარალებაში ექვმიტანილები დააკავა

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა, აფთიაქის დაყარალების ფაქტზე ექვმიტანილები დააკავეს.

შს-ს ინფორმაციით, დაკავებულები 20 წლის ბორის ნემსაძე და 19 წლის გიორგი მაისურაძე, ექვმიტანილები არიან თბილისში სააფთიაქო ქსელების დაყარალებაში. მათ ჩადენილი დანაშაული აღიარეს. გამოძიება სსკ-ის 179-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს. გამოძიებას თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციის სამმართველო აწარმოებს.

ანა მეზერიშვილი

მთავარი პროკურატურის ანალიტიკური სტატიისტიკა

მთავარ კაცობრივ

საქართველოს მთავარი პროკურატურის ანალიტიკურმა სამმართველომ 2009 წლის 9 თვეში რეგისტრირებული დანაშაულის შესახებ სტატისტიკური ანალიზი გამოაქვეყნა. ანალიზი ჩატარდა საქართველოს მასშტაბით. არსებული მონაცემებით, 2009 წლის 9 თვეში გამოძიების დაწყების მაჩვენებელი 6.8 პროცენტით ნაკლებია 2008 წლის იმავე პერიოდში რეგისტრირებულ დანაშაულთა საერთო რაოდენობაზე.




პროკურატურის ანალიზის მიხედვით, 2008 წლის იმავე პერიოდთან შედარებით მიმდინარე წელს შემცირდა ისეთი დანაშაულები, როგორცაა განზრახ მკვლელობა - 43 პროცენტით, განზრახ მკვლელობის მცდელობა - 21 პროცენტით, განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში - 54 პროცენტით, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება - 46 პროცენტით, ქურდობის მაჩვენებელი 17 პროცენტით, მათ შორის ბინიდან ქურდობა შემცირდა 13, ავტომობილის ქურდობა - 21, პირუტყვის ქურდობა - 5, მობილური ტელეფონის ქურდობა კი - 23, ძარცვის მაჩვენებელი კი შემცირდა 14 პროცენტით, ყაჩაღობა შემცირდა 31 პროცენტით, აქედან ავტომობილის ყაჩაღობა 53, მობილური ტელეფონის ყაჩაღობა - 36 პროცენტით. 17 პროცენტით შემცირდა ხულიგნობის ფაქტები, ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის ფაქტები კი შემცირდა 6 პროცენტით.

მთავარი პროკურატურის მიერ გაკეთებული ანალიზი - 2009 წლის 9 თვის კრიმინოგენური მდგომარეობის განხილვა ხუთი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: პირველ ნაწილში განხილულია გამოძიების დაწყების მაჩვენებლები, როგორც მთლიანად, ასევე, დანაშაულთა კონკრეტული სახეების მიხედვით. მეორე ნაწილი დათმობილი აქვს გამოძიების შეწყვეტის მაჩვენებლებს, შემდეგ განხილულია დევნის დაწყების მაჩვენებლები, გაანალიზებულია ალკევის ღონისძიებები და საბოლოო, მესამე ნაწილი ეთმობა არასრულწლოვანთა მიერ და არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებს. დანაშაულთა მიხედვით გამოძიების დაწყების მაჩვენებლები ამგვარია - 2009 წლის 9 თვეში გამოძიება დაიწყო 39 ათას 845 დანაშაულზე, ხოლო 2008 წლის 9 თვეში სულ რეგისტრირებული იყო - 42 ათას 767 დანაშაული. შესაბამისად, 2009 წლის 9 თვეში გამოძიების დაწყების მაჩვენებელი 6.8 პროცენტით ნაკლებია 2008 წლის იმავე პერიოდში რეგისტრირებულ დანაშაულთა საერთო რაოდენობაზე.

მიმდინარე წლის 9 თვეში საქართველოში დაწყებული გამოძიებებიდან განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაული იყო 2 ათას 845 ანუ 7 პროცენტი, მძიმე კატეგორიის დანაშაული იყო 7 ათას 157 - 18 პროცენტი, ხოლო ნაკლებად მძიმე კატეგორიის - 29 ათას 843, ანუ 75 პროცენტი.

2009 წლის 9 თვეში წინასწარი გამოძიების დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა თბილისში - 18 ათას 305, ხოლო ყველაზე დაბალი - სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურაში - 807.

2009 წლის 9 თვეში გამოძიების დაწყების მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო ისეთ დანაშაულებზე, როგორცაა: ქურდობა 9



ათას 687 (დანაშაულთა საერთო რაოდენობის 24 პროცენტი), ნარკოტიკული დანაშაულები 5 ათას 121 - 13 პროცენტი, სატრანსპორტო დანაშაულები 4 ათას 336, ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება 4 ათას 200, ყალბი დოკუმენტაციის დამზადება გამოყენება 1854, თაღლითობა 1805, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარება 1259, ძარცვა 840, ყაჩაღობა 546, (ანუ დანაშაულთა საერთო რაოდენობის ერთი პროცენტი) და ხულიგნობა 496 (დანაშაულთა საერთო რაოდენობის ერთი პროცენტი).

2009 წლის 9 თვეში, წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, მნიშვნელოვანად დაიკლო სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულმა დანაშაულებმა. კერძოდ, განზრახ მკვლელობა შემცირდა 43 პროცენტით, განზრახ მკვლელობის მცდელობა - 21-ით, ხოლო განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში - 54 პროცენტით.

საანგარიშო პერიოდში, წინა წელთან შედარებით, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება შემცირდა 46 პროცენტით, ხოლო ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება გაიზარდა მხოლოდ ერთი ერთეულით - აღირიცხა 4 ათას 200 დანაშაული.

რაც შეეხება თავისუფლების უკანონო აღკვეთას. ამ კატეგორიის დანაშაული 6 პროცენტით

შემცირდა. გაუპატიურების დანაშაულზე კი გამოძიების დაწყების მაჩვენებელი მიმდინარე წლის 9 თვეში და წინა წლის იმავე პერიოდში თანაბარი იყო და შეადგენდა 118 ფაქტს.

საქართველოს მასშტაბით, წინასწარი გამოძიების დაწყების მაჩვენებელი ყველაზე მაღალია ქურდობის დანაშაულებზე. საანგარიშო პერიოდში, წინა წელთან შედარებით, სულ ქურდობის მაჩვენებელი შემცირდა 17 პროცენტით, მათ შორის ბინიდან ქურდობის ერთი პროცენტი) და ხულიგნობა შემცირდა 13 პროცენტით, ავტომობილის ქურდობა - 21, პირუტყვის ქურდობა 5, მობილური ტელეფონის ქურდობა კი 23 პროცენტით.

კლება შეინიშნება ძარცვის ფაქტებზე დაწყებულ გამოძიებებშიც. კერძოდ, მიმდინარე წელს, წინა წელთან შედარებით, სულ ჩადენილი ძარცვის მაჩვენებელი შემცირდა 14 პროცენტით, მათ შორის ავტომობილის ძარცვა შემცირდა 31 პროცენტით, ხოლო მობილური ტელეფონის ძარცვა გაიზარდა 1 ერთეულით და მთლიანობაში დაფიქსირდა 178 ფაქტი. წინა წელთან შედარებით, კლების ტენდენციით ხასიათდება ყაჩაღობა, რომელიც მთლიანად 31 პროცენტით შემცირდა.

სამაგიეროდ გაიზარდა ისეთი დანაშაულები როგორცაა თაღლითობა და გამოძალგვა. მიმდინარე წელს, წინა წელთან შედარებით, თაღლითობის მაჩვენებელი

გაიზარდა 28 პროცენტით, ხოლო გამოძალგვის მაჩვენებელი 39 პროცენტით.

გაზრდილია ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარების ფაქტებიც - 34 პროცენტით და ცივი იარაღის უკანონო ტარება 223 პროცენტით - 93-დან 300-მდე.

როგორც პროკურატურის მიერ გაკეთებული ანალიზით ირკვევა, 2009 წლის 9 თვეში გამოძიება შეწყდა 16 ათას 668 დანაშაულზე. აქედან 10 ათას 866 დანაშაულზე (65 პროცენტი) გამოძიება დაწყებული იყო მიმდინარე წელს.

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე დევნა დაიწყო 2 ათას 533 პირის მიმართ. აქედან, მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე 3 ათას 770 პირის მიმართ, ხოლო ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე 9 ათას 216-ის მიმართ.

ოფიციალური სტატისტიკით, საინტერესოა განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე საპატიმრო და არასაპატიმრო ალკევის ღონისძიების გამოყენების მაჩვენებლები. კერძოდ, 2009 წლის 9 თვეში განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე საპატიმრო ალკევის ღონისძიება გამოყენებული იყო 1963 პირის, ანუ 90 პროცენტის მიმართ, ხოლო არასაპატიმრო ალკევის ღონისძიება - 230 პირის, 10 პროცენტის მიმართ. მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე კი საპატიმრო ალკევის ღონისძიება შეეფარდა 2202 (71 პროცენტი), ხოლო არასაპატიმრო ალკევის ღონისძიება 878 (29 პროცენტი) პირს. რაც შეეხება, ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე საპატიმრო ალკევის ღონისძიების შეფარდების მაჩვენებელი უფრო დაბალია, კერძოდ, საანგარიშო პერიოდში პატიმრობა შეეფარდა 2232 პირს, ანუ 34 პროცენტს, ხოლო არასაპატიმრო ალკევის ღონისძიება შეეფარდა 4350 ბრალდებულს, ანუ 66 პროცენტს.

პროკურატურის ანალიზის მიხედვით, მიმდინარე წლის პირველ 9 თვეში არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილია 563 დანაშაული, აქედან 19 დანაშაული ჩადენილია 12-დან 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთა მიერ. არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულებიდან განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის იყო 51 დანაშაული, მძიმე კატეგორიის იყო 235, ხოლო ნაკლებად მძიმე დანაშაული. ჩადენილ დანაშაულებში ჭარბობს ქურდობა - აღრიცხულია 258 ფაქტი. შემდეგ მოდის ცივი იარაღის ტარება, ხულიგნობა, ყაჩაღობა, ძარცვა. რეგიონების მიხედვით, არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულები ყველაზე მაღალი იყო თბილისში - 194 დანაშაული.

მაღალია არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების რაოდენობაც. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში აღრიცხულია 290 ამ სახის დანაშაული, აქედან 42 შემთხვევა იყო განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის, მძიმე - 83, ხოლო ნაკლებად მძიმე იყო 165 დანაშაული.

მოზარდების მიმართ ჩადენილ დანაშაულებში ჭარბობს ისეთი დანაშაულები როგორცაა თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, ქურდობა, თაღლითობა,

არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი დანაშაულები ყველაზე მაღალი იყო თბილისში, აღრიცხულია 159 დანაშაული, ხოლო ყველაზე დაბალი - სამეგრელო-ზემო სვანეთში - 5.

„წლის პენსია“ – „სახალხო ბანკის“ საჩუქარი პენსიონერებს

დღეს „სახალხო ბანკის“ ცენტრალურ ოფისში გაიმართა პენსიონერთა დაჯილდოება.

ფინანსთა სამინისტროსა და ბანკის წარმომადგენლებისგან შემდგარმა კომისიამ ლოტოტრონის მეშვეობით გამოავლინა 16 გამარჯვებული პენსიონერი:

მენაბრე	ბილეთის # (საიდენტიფიკაციო #)
ნინა ბუხიშვილი	480-10931
ნათელა კიკნაძე	437-1598
იათამიშვილი თინათინა	480-13393
ნინო ნავერაშვილი	415-799
ივანე მისაილოვი	402-7992
სუციშვილი ჯულიეტა	406-4890
გოცირიძე ლეილა	480-12993
ბერიძე სერგო	476-4819
კლდიაშვილი მანინი	480-13659
მილაძე ნელი	402-5619
სურცილაძე ანა	480-13451
მხია შაქარაშვილი	402-9069
ფონხაძე ისრაელ	480-13868
გოგილაშვილი მერი	488-5371
ჯანაშვილი მერი	476-4763
შეკველია ანზორი	420-2053

აღნიშნული პენსიონერები ერთი წლის განმავლობაში, ყოველთვიურად კუთვნილ პენსიასთან ერთად მიიღებენ ფულად ჯილდოს 70 ლარის ოდენობით.

აქცია „წლის პენსია“ კვლავ გრძელდება და რიგით მე-3 გათამაშების 16 გამარჯვებული გამოვლინდება 2010 წლის 29 მაისს.

კოპენჰაგენის სამიტი

კლიმატის პრობლემებზე გაერო-ს კონფერენცია საკუთარ მიზნებს ეწინააღმდეგება

მარიკა იაშვილი



გაერო-ს მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში, რომელიც კლიმატის ცვლილებას ეხება, სახელმწიფოთა ოფიციალური წარმომადგენლები და ეკოლოგიური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრები მონაწილეობენ. - სულ, დაახლოებით, 15 ათასი ადამიანი.

გეგმის მიხედვით, დანიის სტუმრებმა გარემოში გამოწვევების გამოყოფის შემცირების შესახებ ახალი შეთანხმება უნდა შეიმუშაონ, რომელიც კიოტოს პროტოკოლს ჩაანაცვლებს.

კიოტოს პროტოკოლს მოქმედების ვადა 2012 წელს ეწურება და მისი შემცვლელი დოკუმენტი სამიტის პირველი ათი დღის განმავლობაში ექსპერტების დონეზე განიხილება. 17-18 დეკემბერს კი კოპენჰაგენში 100-ზე მეტი სახელმწიფოს ლიდერებს ელოდებიან. ისინი ათდღიანი მუშაობის შედეგებს შეაჯამებენ.

გაერო-ს უწყებთაშორის კომისიის თანახმად, თუ სამიტის მონაწილეები ახალი ხელშეკრულების გაფორმებას ვერ შეძლებენ, დედამიწას უახლოეს პერიოდში კატასტროფა ელის. მეცნიერული კვლევების თანახმად, გლობალური დათბობის ასეთი ტემპები სწორედ ადამიანის საყოფაცხოვრებო საქმიანობით არის გამოწვეული.

თუმცა კოპენჰაგენის სამიტს წინ სკანდალი უძღოდა, რომელსაც "კლიმატური უოტერგეიტი" უწოდეს. ჰაკერებმა ბრიტანეთის აღმოსავლეთ ინგლისის უნივერსიტეტის საიტი გატეხეს და გამოაქვეყნეს ათასობით წერილი, რომლებშიც ნათქვამია, რომ გლობალური დათბობა მხოლოდ მითია.

თუმცა მეცნიერთა დიდი ნაწილი ამ ინფორმაციას ოფიციალურად უარყოფს და არგუმენტად იმ ფაქტს იშველიებს, რომ 2009 წელი ბოლო 160 წლის განმავლობაში ყველაზე ცხელი მეხუთე წელია.

კოპენჰაგენის სამიტი, რომელიც კლიმატზე ხელოვნური გზებით მიყენებული ზიანის შემცირე-

ბას ეძღვნება, გარემოს დაბინძურების მიზეზი თავად გახდა.

დასავლური პრესა აქვეყნებს პარადოქსულ მონაცემებს, რომელთა მიხედვითაც, გაერთიანებული ერების კონფერენცია ბუნებაში 40.500 ტონა ნახშირორჟანგის გამოყოფის მიზეზი გახდა.

ყველაზე მოკრძალებული გამოთვლების მიხედვით, სამიტისთვის 8 მილიონი ფურცელი დაიბეჭდა, გასტრონომიულ მოთხოვნებს 15 ტონა კარტოფილი მოხმარდა, გადაიჭიმა 1200 კილომეტრის სიგრძის ელექტროსადენები და დაფიქსირდა ერთდროულად განხორციელებული 80 ათასი სატელეფონო ზარი.

და ეს მაშინ, როდესაც კოპენ-

ჰაგენი მზად არის, დადებითი მაგალითი პირველმა თავად აჩვენოს: 2025 წლისთვის ქალაქი გამოწვევებისგან სრულად გათავისუფლებას გეგმავს. უკვე დღეს მისი თითქმის ყოველი მეათე მცხოვრები სამსახურში ველოსიპედით მიდის. კომბინირებული ელექტროსადგურები, რომლებიც ბიო-მასებსა და ნარჩენებზე მუშაობს, სახლებს ეკო-ენერჯით ამარაგებს.

დღეს კოპენჰაგენი ავტომობილებით არის გადატვირთული, თუმცა არსებული ინფორმაციით, სამიტის მონაწილეები გაეროსთვის ბევრად უფრო უსაფრთხო ელექტრომობილებით გადაადგილდებიან.

კონფერენციის გახსნის დღეს გაერო-ს სამეცნიერო ქსელის წარმომადგენელი რაჯენდრა პაჩაური აცხადებს, ამ გზით ობამას ადმინისტრაცია იმის დემონსტრირებას ცდილობს, "თუ როგორი შესაძლებლობები გააჩნია თუნდაც მიუღებელი კანონის პირობებშიც."

არსებობს შეხედულება, რომ გამოწვევების შემცირების შესახებ გადაწყვეტილება, რომელსაც უკვე დიდი ხანია ელოდნენ, ამერიკამ სწორედ კოპენჰაგენის სამიტის წინ შეგნებულად გამოაქვეყნა, რათა ამით კლიმატზე ზემოქმედების მიმართ თავისი პოზიცია კიდევ უფრო გაემყარებინა.

ევროკავშირი აშშ-ს ცენტრალურ სადაზვერვო სამსახურს დახმარებაზე დათანხმდა

ამერიკის შეერთებული შტატების სადაზვერვო სამსახურმა ევროკავშირისგან ბრიტანეთისა და ევროკავშირის სხვა ქვეყნების მილიტარული მოქალაქის საბანკო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლება მიიღო.

ტერორიზმთან ბრძოლის ფარგლებში, ბრიუსელი დათანხმდა, ცენტრალურ სადაზვერვო სამსახურს შეატყობინოს ინფორმაცია, ევროპელების საბანკო ანგარიშებისა და ფინანსური ოპერაციების შესახებ. თუმცა, თავად ევროკავშირის ამერიკული საბანკო ანგარიშების გაკონტროლების უფლება არ აქვს. უთანახსორო შეთანხმების წინააღმდეგ ავსტრია და გერმანია გამოვიდნენ, თუმცა, საბოლოოდ, ვაშინგტონს მათაც დაუთმეს.

ინფორმაციამ იმის თაობაზე, რომ ევროპელები ამერიკის დაზვერვის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ, ევროკავშირის ქვეყნების წარმომადგენელთა აღშფოთება ჯერ კიდევ 2006 წელს გამოიწვია. მაშინ, გაირკვა, რომ ცენტრალური

სადაზვერვო სამსახური და ამერიკის შეერთებული შტატების სხვა სადაზვერვო სამსახურები ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეების საბანკო ანგარიშების თაობაზე ინფორმაციას უკანონოდ, საბანკო საერთაშორისო ტელეკომუნიკაციური ორგანიზაციის SWIFT-ის მეშვეობით იღებდა. ორგანიზაცია SWIFT-ში რვა ათასზე მეტი საფინანსო ინსტიტუტია გაერთიანებული, რომლებიც 200-ზე მეტ ქვეყანაში მუშაობენ. ორგანიზაცია, რომლის სათაო ოფისიც ბელგიაში მდებარეობს, საერთაშორისო ფინანსურ ინფორმაციებს ფლობს. SWIFT-ის კომპიუტერულ ბაზაში ყოველდღიურად, 5 ტრილიონი ევროს ბრუნვის თაობაზე, მილიონობით ფინანსური ინფორმაცია გროვდება. მართალია, ორგანიზაცია ბელგიაშია დარეგისტრირებული, თუმცა ორიდან ერთ-ერთი მთავარი კომპიუტერული სერვერი ამერიკის შეერთებულ შტატებშია.

2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ, როდესაც ვაშინგტონმა პოტენციურ ტერორისტებზე ნადირობა დაიწყო, SWIFT-ის სერვერი

ძალიან სასარგებლო აღმოჩნდა. ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის, საგამოძიებო ფედერალური ბიუროსა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების ზენოლის შედეგად, ორგანიზაციამ "ნებაყოფლობით" გადასცა მათ მილიონობით შეტყობინება. ინფორმაცია, ნებისმიერი გადახდელის და თანხის მიმღების თაობაზე, მათი მისამართები, საიდენტიფიკაციო ნომრები, ანგარიშებისა და გაგზავნილი თანხების მოძრაობის მაჩვენებლები.

2006 წელს ამ ინფორმაციის გავრცელებას, ამერიკულ პრესაში დიდი რეზონანსი მოჰყვა. სწორედ მაშინ გაირკვა, რომ თვალყურს ადევნებდნენ არა მხოლოდ ტერორისტებს, არამედ ამერიკული სპეცსამსახურის ინტერესის ობიექტი, ევროკავშირის ქვეყნების ნებისმიერი მოქალაქე შეიძლება გამხდარიყო. ამ ინფორმაციამ არა მხოლოდ რიგითი მოქალაქეები შეანუხა.

"რატომ უნდა იცოდეს დონალდ რამსფელდმა (პენტაგონის მაშინდელმა ხელმძღვანელმა),

ერთი ბანკიდან მეორეში როდის გადაიტანა ფულს," - განაცხადა ლუქსემბურგის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟან ასელბორნმა. ასეთი თვალთვალზე პასუხი გერმანელმა პოლიტიკოსებმაც, მათ შორს გერმანიის ახლანდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა გიდო ვესტერველმაც მოითხოვა.

როგორც Sunday Times წერს, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა პილარი კლინტონმა ევროპელ კოლეგებს განუცხადა, რომ დასავლეთის ბედი ფინანსების კონტროლის ოპერაციის გაგრძელებაზე დამოკიდებული. პარალელურად, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩები ევროკავშირის ქვეყნებში არწმუნებდნენ ხელისუფლების წარმომადგენლებს, ფინანსური ბრუნვის მონაცემთა ბაზის ხელმისაწვდომობის აუცილებლობაზე.

Sunday Times წერს, რომ ამერიკელები ამტკიცებდნენ, თუ ამერიკულ სპეცსამსახურებს ევროპელი მოქალაქეების ფინანსური ოპერაციების ხელმისაწვდომობის თაობაზე პრობლემები შეექმნებოდათ,

უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის დონე დაეცემოდა, ხოლო ტერორისტების შეტევები გახშირდებოდა. რაც არავის უნდოდა. ამიტომ 27 ქვეყნის მთავრობა ვაშინგტონის წინადადებას დათანხმდა. ვაშინგტონის ყველაზე დიდი მონინალმდგე გერმანია და ავსტრია იყო, თუმცა გასულ კვირას, ორშაბათს გამართულ ევროკავშირის შინაგან საქმეთა მინისტრთა შეხვედრისას გაირკვა, რომ გერმანია აღარ დაბლოკავდა ვაშინგტონის წინადადებას.

როგორც გერმანულმა ჟურნალმა Spiegel-მა დაწერა, "ევროპას არ უნდოდა, მაგრამ თავის ბანკების კლიენტების ფარულ მეთვალყურეობას მაინც დათანხმდა". ევროკავშირის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციები პროტესტს გამოთქვამენ.

"ეს არის ადამიანის უფლებების, მისი ცხოვრების, თავისუფლების დარღვევა. ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევა," - აცხადებენ ინგლისური ორგანიზაციის Liberty-ს წარმომადგენლები.

მოლდოვას პოლიტიკური კრიზისის ახალი ფაზა

თამაზ ახაია



მარიან ლუპუ ჯერ პრეზიდენტი ვერ გახდა

7 დეკემბერს მოლოდვის პარლამენტი კიდევ ერთხელ შეეცადა პრეზიდენტის არჩევას, თუმცა ისევ უშედეგოდ. "კომუნისტებმა" გადმოიღეს ლიბერალური პარტიების აპრობირებული მეთოდი, როდესაც მათ გაზაფხულზე "კომუნისტებს" პრეზიდენტის არჩევის საშუალება არ მისცეს და კონსტიტუციით გათვალისწინებულ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას მიადნეს.

2009 წელს მორიგი არჩევნები 5 აპრილს ჩატარდა. მაშინ "კომუნისტებმა" პარლამენტში 101-დან 60 მანდატი მიიღეს (პრეზიდენტის ასარჩევად კი 61 ხმაა საჭირო). მათ გარდა, პარლამენტში სამი ოპოზიციური პარტია მოხვდა. თუმცა, პარლამენტმა ქვეყნის პრეზიდენტის არჩევა ვერ შეძლო და, კანონის შესაბამისად, დათხოვნილ იქნა. ამჯერად უკვე რიგგარეშე არჩევნები 29 ივლისს გაიმართა, "კომუნისტებმა" მანდატების ნაწილი დაკარგეს და ამჯერად მხოლოდ 48 მანდატი ერგოთ. პარლამენტში გასულმა კიდევ ოთხმა პარტიამ მმართველი კოალიცია შექმნა. თუმცა, პრეზიდენტის ასარჩევად არც აღნიშნულ კოალიციას ჰყოფნიდა ხმები. 2 სექტემბერს "კომუნისტური პარტიის" ლიდერი ვლადიმერ ვორონინი პრეზიდენტის თანამდებობიდან გადადგა. 25 სექტემბერს დეპუტატებმა ახალი მთავრობა დაამტკიცეს, რომლის სათავეშიც "ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის" ხელმძღვანელი ვლად ფილატი

მოექცა. 10 ნოემბერს დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნები კი კვლავ არ შედგა, ამჯერად "კომუნისტი" დეპუტატების "დამსახურებით". 7 დეკემბერს კი ამ პარლამენტისთვის "გამოყოფილი" მეორე ცდა ჩავარდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მოლდოვის ამჟამინდელი ხელისუფლება კონსტიტუციის შეცვლაზე ლაპარაკობს, რამაც შესაძლოა მთლიანად შეცვალოს ქვეყნის პრეზიდენტის არჩევის კანონი. მმართველი კოალიცია "ალიანსი ევროპული ინტეგრაციისთვის" ვარაუდობს, რომ "კომუნისტურ პარტიაში" განხეთქილება მოსალოდნელი. როგორც ალიანსის ლიდერები აცხადებდნენ, მათ

შეიძლება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ "კომუნისტური პარტიის" ზოგიერთი წარმომადგენელი მზად იყო, მარიან ლუპუსთვის მიეცათ ხმა, თუმცა პარტიის ხელმძღვანელობა მათ ამას უკრძალავდა. მარიან ლუპუს განცხადებით (პრეზიდენტობის კანდიდატი), მისი "დემოკრატიული პარტია" მზად არის "კომუნისტური პარტიიდან" ნამოსული წევრების მისაღებად. ალიანს "ჩვენი მოლდოვის" ერთ-ერთ ლიდერ ლეონიდ ბუჟორის განცხადებით, არჩევნების ბოიკოტირებით "კომუნისტებმა" კიდევ ერთხელ გამოაჩინეს, რომ მათ აინტერესებთ პირადი, პარტიული და არა ეროვნული ინტერესები.

მოლდოვის სტრატეგიული ანალიზისა და პროგნოზის ცენტრის ხელმძღვანელმა სერგეი ნაზარია განაცხადა, რომ "არ არსებობს ლოგიკური ახსნა იმისა, თუ რატომ გამოუცხადა "კომუნისტურმა პარტიამ" არჩევნებს ბოიკოტი." ძნელად ასახსნელია, რას მოიგებს ამით "კომუნისტური პარტია", გარდა იმისა, რომ სახელისუფლებო უწყებებში მოხედრის მანქანის მომავალში უფრო შეუძლიერდება.

ნესით, ახალი არჩევნები მათ არ უნდა აძლევდეთ ხელს, რადგან აღარ ფლობენ ადმინისტრაციულ რესურსს, სახელმწიფო ტელევიზიას და არც იმდენი ფინანსების მოზიდვის საშუალება აქვთ, რაც ხელისუფლებაში ყოფნისას ჰქონდათ.

როდის დაინიშნება მომავალი არჩევნები? ამ კითხვაზე კონკრეტული პასუხი არ არსებობს. კონსტიტუციის მიხედვით, საპრეზიდენტო არჩევნების მეორედ ჩაშლის შემდეგ პრეზიდენტმა პარლამენტი უნდა დაითხოვოს, ამასთანავე ერთი წლის განმავლობაში პარლამენტის მხოლოდ ორი არჩევნების გამართვა შეიძლება. როდის იწყება წლის ათვლა, ამაზე სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. შეიძლება ზოგმა კალენდარული წელი იგულისხმოს, თუმცა უფრო მოსალოდნელია, რომ ათვლა წინა დათხოვნისაგან ანუ 2009 წლის 16 ივნისიდან დაიწყოს. აქედან გამომდინარე, მორიგი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები შესაძლოა მხოლოდ 2010 წლის შემოდგომაზე ჩატარდეს (მომზადებასაც თვენახევარი

რი სჭირდება).

პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელ მიხაი გიმპუს განცხადებით, მოლდოვაში ახალი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები საერთოდ არ შედეგება. მისი თქმით, ქვეყანა აპირებს საკონსტიტუციო რეფორმის ჩატარებას, რომელიც პრეზიდენტის არჩევის წესის შეცვლას ითვალისწინებს. საკონსტიტუციო რეფორმებზე უკვე მუშაობს სპეციალური ჯგუფი. ივარაუდება, რომ თუ საკონსტიტუციო რეფორმის საკითხზე რეფერენდუმის შედეგები დადებითი იქნება, მაშინ პრეზიდენტის არჩევა შესაძლებელი გახდება უბრალო უმრავლესობის (50+1 ხმა). მმართველ კოალიციას "ალიანსი ევროპული ინტეგრაციისთვის" პარლამენტში 53 მანდატი აქვს. ხოლო "კომუნისტებს" ჯერჯერობით - 48 მანდატი. გიმპუს სიტყვებით, "დემოკრატიული პარტიის" ლიდერი მარიან ლუპუ ადრე თუ გვიან მაინც გახდება ქვეყნის პრეზიდენტი.

თუმცა, ზუსტი თარიღი, როგორც ზემოთ ვთქვით, დადგენილი არ არის და საინტერესოა, რას გადამწყვეტს მმართველი კოალიცია, რომელსაც არსებულ სიტუაციაში ლავირების მეტი საშუალება აქვს. თუმცა, ერთი რამ ალბათ ყველასათვის ნათელია - არჩევნების ხელმოწერა ბოიკოტირების შემდეგ შეუძლებელია, "კომუნისტების" მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვალოს.

ტერაქტების სერია ბაღდადში

თამაზ ახაია



ბაღდადში აფეთქებების ძლიერი სერიის შედეგად, სულ მცირე, 118 ადამიანი დაიღუპა და 197 დაშავდა.

ერაყის დედაქალაქში გუშინ ხუთი აფეთქების ხმა გაისმა. პირველი აფეთქება საცხოვრებელ კვარტალ დორამში მოხდა, სადაც ძირითადად სუნიტები ცხოვრობენ, იქვე ახლოს პოლიციის შენობაც მდებარეობს.

რამდენიმე წუთში მას დანარჩენი ოთხი აფეთქება მოჰყვა, რომელთაგან სამი ქალაქის ცენტრში განხორციელდა. ერთი ჯანმრთელობის სამინისტროსთან ახლოს, მეორე იმავე ქუჩაზე პოლიციის აკადემიასა და ნავთობის მრეწველობის შენობასთან და მესამე - შინაგან საქმეთა სამინისტროსთან. მეხუთე აფეთქება კი ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან მოხდა, რომლის დროსაც 12 ადამიანი დაიღუპა. ყველა შემთხვევაში ასაფეთქებელი მასალით დატენილი ავტომობილები გამოიყენეს.

ერაყის დედაქალაქში ყველა გამშვები პუნქტი დახურულია. მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში მოვალეობა რუბაი აცხადებს, რომ ყველა აფეთქებაზე პასუხისმგებელი ინტერესები.

ბელი "ალ კაიდას" ბოვეიკები არიან. თუმცა მომხდარი თავის თავზე ჯერ არავის აუღია.

როგორც აცხადებენ, კარგად დაგეგმილი ტერორისტული შეტევის მიზანი იყო თებერვალში დადგეგმილი საყოველთაო არჩევნების მოსამზადებელ პერიოდში ქვეყანაში დესტაბილიზაციის გამოწვევა.

ბოლო დროს "ალ კაიდა" ბაღდადში ძალიან გააქტიურდა. იგი ცდილობს, გამოაშკარავოს ხელისუფლების სისუსტე, რომ მას თავისი მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა არ შეუძლია. მათ სურთ ამომრჩეველებს.

შენობები ერთმანეთისგან 30 მეტრის დაშორებით მდებარეობს - ერთი ბაზრის ცენტრში, მეორე კი მის განაპირას.

პენჯაბის პროვინციის იუსტიციის მინისტრის განცხადებით, ასაფეთქებელი მოწყობილობები, სავარაუდოდ, დისტანციურად იმართებოდა.

ლაჰორის ინციდენტამდე რამდენიმე საათით ადრე აფეთქება მოხდა პაკისტანის მეორე ქალაქშიც - ფეშავარში. ასაფეთქებელი მოწყობილობა თვითმკვლელმა ტერორისტმა სასამართლოს შენობასთან ამოქმედა. შემთხვევას 10 ადამიანი ემსხვერპლა.

ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში შეიარაღებულ ისლამისტთა ქმედებებს 400 ადამიანი ემსხვერპლა. პაკისტანის მთავრობა ბოვეიკების წინააღმდეგ კვლავ აწარმოებს აქტიურ საომარ მოქმედებებს ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთში, ავღანეთის საზღვრის სიახლოვეს მდებარე მთიან რაიონებში.

გენცივილებული აფეთქება ლაჰორში

მარიკა იაზვილი

ლაჰორის ცენტრში, რომელიც სიდიდით პაკისტანის მეორე ქალაქია, ხალხით სავსე ბაზარში მომხდარი ორი აფეთქებას თითქმის 50 ადამიანი ემსხვერპლა. დაჭრილია, დაახლოებით, 100 ადამიანი.

ორშაბათს ადგილობრივი დროით 21:00 საათზე მომხდარი აფეთქებების შედეგად დაიწვა თავად ბაზარიც, რომელიც განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ქალებში. განადგურდა აგრეთვე მის მახლობლად გაჩერებული მანქანებიც.

ქალაქის ხელმძღვანელობა თავდაპირველად ინფორმაციას 36 გარდაცვლილსა და 100 დაჭრილზე ავრცელებდა, თუმცა ინციდენტის მეორედ დღეს საავადმყოფოებში კიდევ 12 ადამიანი გარდაიცვალა.

ტერაქტზე კომენტარი გააკეთეს პაკისტანის პრეზიდენტმა ასიფ ალი ზარდარმა და პრემიერ-მინისტრმა იუსუფ რაზა გილანიმ და მომხდარი

დაგმეს. ამავე დროს ზარდარმა განაცხადა, ეს ფაქტი გავლენას ვერ მოახდენს მთავრობის გადაწყვეტილებაზე - ებრძოლოს ტერორიზმს.

ადგილობრივი პოლიციის მაღალჩინოსანი წარმომადგენელი შაფიკ აჰმადი ჰყვება, რომ ცეცხლის ალმა ბაზრის შენობა და ახლოს მდებარე ჯიხურები მოიცვა. მისივე თქმით, აფეთქებები 30 წამის ინტერვალით გაისმა: ერთი ბანკის შესასვლელთან, ხოლო მეორე პოლიციის განყოფილების მახლობლად.



FREE INDUSTRIAL ZONE
RAKIA GEORGIA



არანაირი შეზღუდვები

აბსოლუტური თავისუფლება თქვენი ბიზნესსათვის

პირველი თავისუფალი ინდუსტრიული ზონა კავკასიაში
სტრატეგიული მდებარეობა ფოთის საზღვაო პორტთან
არანაირი მოგების გადასახადი
ბიზნეს-საქმიანობის დაწყების მარტივი პირობები



POTI FIZ

www.rakiageorgia-freezone.com

შპს Rakia Georgia FIZ (წმინდა ნაბიბი ოზობი)
სადარბეზლო, შოთო, 4400, აზნაურგაბლის ქ. 47
ტელ: (995 393) 25 25 4/5/6
ფაქსი: (995 393) 25 25 1/9

შპს Rakia Georgia FIZ (წარმოებისა და ტვირთის)
სადარბეზლო, თბილისი, 0103, თბილისი ქ. 20
ტელ: (995 32) 27 77 33
ფაქსი: (995 32) 27 73 66

E-mail: info@rakiageorgia-freezone.com
drskc@rakiageorgia-freezone.com
www.rakiageorgia-freezone.com

საგადასახადო უპირატესობების შესახებ ინფორმაციისთვის გთხოვთ დაუკავშირდეთ ქ.ნ. ნატო უიციას – n.pipia@rakiageorgia-freezone.com

ოთხშაბათიდან ორშაბათამდე კვირის რათვლით

თანამედროვე ხელოვნების გამოფენა Never on Sunday თბილისში

ნაწილი II

აქტიური ბარაბი

აბანო 15-ის ჰანგები



აზერბაიჯანული "მოლა ნასრედინის თავგადასავლიდან" ერთი ამბავი გემასსოვრებათ; აბანოდან ახლადგამოსულ, ამღერებულ მოლას ხალხი მუსიკალურ ნიჭს რომ დაუნუნებს. "არადა, აბანოში რა კარგად გამოდგოდა" - ფრიად განზილებული დარჩა ნასრედინი თავისი შემოქმედებითი ფიასკოს გამო.

არ ვიცი, რამდენად ახლოს იცნობდნენ აზერბაიჯანულ ფოლკლორს Never on Sunday-ის ეგიდით მოღვაწე შევიცარიელი არტისტები, მაგრამ, აბანოთუბნის ერთ-ერთი პრესტიჟული, მე-5 აბანოს აკუსტიკური შესაძლებლობები კი ნამდვილად ნაადგებოდა 3 დეკემბერს მათ მიერ გამართულ მუსიკალურ პერფორმანსს: Beth House Dorm concert.

ენ. ინტერმედიალი ხელოვნების მთავარი მახასიათებელია არტის მეშვეობით ისეთი სფეროების დაახლოება, რომელთაც ერთი შეხედვით, ერთმანეთთან საერთო არაფერი უნდა ჰქონდეთ. მაგალითად: პერფორმანსი, საუნდ-მუსიკა და ლიტერატურული პროზა. ასეთი ტიპის შემოქმედებითი აქტივობა ძირითადად ექსპერიმენტულ ხასიათს ატარებს და რაიმე უნიკალური ხელოვნების ნიმუშის შექმნას ისახავს მიზნად.

საინტერესოა, რა ნაყოფი გამოიღო 3 დეკემბრის აბანოთუბნის ექსპერიმენტმა, მითუმეტეს, რომ არტისტებთან ერთად "რაიმე უნიკალურის" შექმნაში იმ დღეს შეკრებილი დამთვალიერებელიც აქტიურად იღებდა მონაწილეობას.

შევიცარიელიების მიერ შემოთავაზებული სცენარით, პერფორმანსში მონაწილეობისა და შესაბამისად საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენის მსურველებს გარკვეული კომპლექსების დაძლევა უნდა შეძლებოდათ. კერძოდ, მე-5 აბანოს ულამაზესი ინტერიერის ფონზე "განზანება" და არტ-პროცესში ჩართულობას ქალები და მამაკაცები ერთად "ახერხებდნენ". ოღონდ, აქცია მთლად ნუდისტური რომ არ გამოსულიყო, პროექტის ორგანიზატორები უხვად გვამარაგებდნენ თეთრი ზეწრებით, რომლებიც ცოგებებით გვექონდა მოხდენილი და ციფრულ აბანანასაც რომაული გამოცდილების მიხედვით ვიღებდით.

Beth House Dorm concert-ი ორი ნაწილისაგან შედგებოდა. პირველის სცენარის შედარებით მარტივი იყო და ძირითადად "სისინა" და "მიშინა" ბგერების ნარმოთქმით შემოიფარგლებოდა, რომლებიც ექსპერიმენტის მონაწილეებს ერთმანეთის მიყოლებით უნდა გაეჟღერებინათ. ბოლო აკორდი ნამდვილად ფილტვების გამძლეობაზე იყო დამოკიდებული, თუმცა საკმაოდ ეფექტური კი გამოვიდა: წყლის ჩხრიალთან ერთად "მოშიშინე" საზოგადოების რეზონანსი აბანოს კედლებს მიღმა აღწევდა და ისედაც დაბნეული იქაური პერსონალის შემფოთებას იწვევდა.

"საქმე" მოვთავავეთ თუ არა, ისევ დამსახურებულად განვაგრძეთ ნებთვრობა გოგორდოვანი წყლის სტიქიაში. მაგრამ, ვინ გაცალა. დისკოლინებულმა ევროპელებმა ისევ გვიხმეს შემოქმედებითი "წეისა და დავისათვის". ამჯერად, პერფორმანსის სცენარი უფრო რთულად გამოიყურებოდა: გარდა სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტებისა, გამოიყენებულ იყო მცირე პროზაული ნაწარმოები Were you from? ვინაიდან ეს უკანასკნელი ძირითადად საუნდ-ეფექტებზე იყო აგებული, ამიტომ,

მუსიკალური აკორდების ტექსტში მოხერხებულად ჩართვის შემთხვევაში, საერთო ფონი მართლაც ეფექტური შეიძლება გამოსულიყო.

ეჰ, მოლა ნასრედინს არ გაუმართლა, თორემ, მისი ნამღერია აუცილებლად მოახდენდა მსმენელზე შთაბეჭდილებას, ევროპელი არტისტებზე ნმის ჩამწერი მონყობილებით რომ ყოფილიყო ასე უხვად აღჭურვილი.

"ძველო თბილისის გტოვებ, ნახვამდის"

სერიოზული ეჭვი შეიძლება გაგჩენოდა ადამიანს: მართლა იოსებ გრამაშვილის ცხოვრებითა და შემოქმედებით ხომ არ იყვნენ ინსპირირებული Never on Sunday-ის ეგიდით მოღვაწე არტისტები, როდესაც მათი აქტივობა თანამედვერულად მოიცავდა სივრცეებს ძველი თბილისიდან ახალი უბნების მიმართულებით.

კვირას, 6 დეკემბერს ჩატარებული აქციებით დროებით გამოვემშვიდობეთ ქალაქის ისტორიულ ნაწილს და შემოქმედებითი ინტერვენციებით ახლა ელიავას ბაზრობისა და თბილისის ვაგზლის მიმდებარე ტრიტორიების დაპყრობა განვიზრახეთ.

პირველ საათზე არტისტ მარი მუკაის ეკო-ფოლმის პრეზენტაცია იგვემეზობოდა ელიავაზე. აქციას მანქანის ნაწილების ბაზრობა, ენ. "დაშლილების" ტერიტორია მასპინძლობდა. როდესაც, ზეითი გათხიზნილ, "უმარტივეს ერთეულზე" დანაწევრებულ ცნობილ ავტო-ბრენდებს შორის ხელოვნების აქციონერთა პროცესია გაიწვია, მომჩვენა რომ Never on Sunday-ის კონცეფცია ჩემთვის ასე თუ ისე საცნაური შეიქმნა. თუ გავითვალისწინებთ, რომ წლებიდან გამომდინარე ქართული დადაიზმის მემკვიდრეობა ლაიტმოტივად გასდევდა, მაშინ "ელიავას აქცია" საერთო კონტექსტის შემადგენელ ნაწილად შეიძლება ყოფილიყო მოაზრებული.

დადაისტების იდეოლოგია თავისი არსით ანარქისტულ-პოლიტიკური საფუძვლებიდან მოდიოდა და ხელოვნების გაგების რადიკალურ ტრანსფორმაც

ციას ისახავდა მიზნად. მათი თეორიული და შემოქმედებითი მოღვაწეობა გულსხმობდა არტის შესახებ მანამდე არსებული წარმოდგენების დაყვანას "ტაბულა რასასა" (სუფთა დაფა)-ს მდგომარეობამდე. რათა, შემდეგში ახალი, ნულოვანი ნერტილიდან გამზადიყო შესაძლებელი უფრო სიციცხლისუნარიანი და პროგრესული ხელოვნების განვითარება. დადაიზმის ერთ-ერთმა მთავარმა იდეოლოგმა მარსელ ლუშამმა, "ახალი ხელოვნება" სულაც უნიტარისა ("ფანტანი") და ველოსიპედის ბორბლის არტ-ობიექტებად წარმოდგენით დაინყო.

თუკი დადაისტების ამ წარმოდგენებს მაინცდამაინც სარწმუნოდ არ მიიღებთ, მაშინ გირჩევთ ელიავას "დაშლილებში" გაიაროთ და თავად იხილოთ, თითქმის უიმედო მდგომარეობაში მყოფი "მერსედესი" ან "ბე-ემ-ვე" როგორ შეიძლება თვალსადახელშეუა გადაიქცეს ახალი, "ჰიბრიდული" ტიპის სატრანსპორტო საშუალებად.

თუმცა, მარი მუკაის ფილმის "კუნძულების" სიუჟეტი, რომლის ჩვენებაც ერთ-ერთი მანქანის "ჩონჩხზე" მოეწყო, ცოტა უფრო მომთხრობი იყო და ჩვენს დედამიწაზე სულ უფრო ცოტა რაოდენობით დარჩენილი უნიკალური ეკოსისტემების პრეზენტაციას ისახავდა მიზნად.

სავარაუდოდ, მარი მუკაის ნამუშევრის ნახვის შემდეგ, "დაშლილების" პერსონალმა შესაძლოა ეკოლოგიურად სუფთა ავტომობილების შექმნაზე სერიოზულად დაინყოს ფიქრი.

დღის მეორე ნახევარში ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე, გოგოლის 21 ნომერში, ქალბატონ ნელი ცაავას საცხოვრებელი სახლი იყო გათვალისწინებული მორიგი არტ-პროექტისათვის. რკინის ვიწრო კიბების თავზე ერთიციცხლა, ხალხით გადასებული აივანი პირდაპირ ფართე სასტუმრო ოთახში შედიოდა. აქციის დაწყებამდე, თბილისური ჩვეულებისამებრ, აქ მანდილოსნებს მოეკალათებინათ გავარგარებული ელექტროლუმების ირგვლივ. ყურადღების მთავარ ობიექტად ყოფნას

ქალბატონი ნელი არავის უთმობდა და ერთმანეთში ურევდა მისთვის საინტერესო კითხვებს, მოფაშვლებული სახლის სტუმრების სიმრავლით გამოწვეულ შიშსა და საკუთარ ეროდიციას ხელოვნების სფეროში. ამ უკანასკნელის საილუსტრაციოდ კი ნამდვილად გამოდგებოდა ზეთის საღებავებით შესრულებული მიმჩნეარჩიანი სურათების სიმრავლე, შავი როიალი და ტომეზად ჩანკნიკებული უზარმაზარი კარადა. დანარჩენ ორ ოთახს ქალბატონი ნელი აქირავებს ხოლმე. ამჯერად მდგომარეობა იაპონელი ისო კიო შიპირო და მისი მეგობრები არიან. და ერთიც პორტატული კომპიუტერი, რომელიც თანამედროვე იაპონელებისათვის ოჯახის ნამდვილი წევრია.

იაპონელების აპარტამენტის ქერის გასწვრივ, პლასტმასის სამ გაჭვირვალე დაფაზე გაკრული ხელით ნაწენრათ: simple, strong, urban (მარტივი, მყარი, ურბანული). სიტყვების ეს კომბინაცია ნამდვილად გასაგები შეიქნებოდა, როდესაც მაგიდაზე მიმოფანტულ თუნუქის მილებს, ზამბარებსა და ურბანულ სივრცეში ნაპოვნ სხვა ხარახურას შეაგებდით თვალს. ჯვართის ჩამბარებული პუნქტის ასოციაცია ცოტათი გამოფანტა ნორვეგიელი არტისტის მიერ მომზადებულმა, ვგონებ, შინდის გემრიელმა კოქტეილმა, რომელსაც უხვად გვთავაზობდნენ აქციის ორგანიზატორები.

ალსანიშნავია, რომ Never on Sunday-ის აქციები კონცეფციის მრავალფეროვნებით ნამდვილად არ გამოირჩეოდა და ძირითადი აქცენტები მუსიკალურ პერფორმანსებზე კეთდებოდა. მიუხედავად შესრულების განსხვავებული სტილისა, ყველა ეს პროექტი საბოლოოდ ცოტა მომბეზრებელი და ერთფეროვანი გახდა. გოგოლის ქუჩის შემთხვევაშიც, დაცლილი სასმისებისა და "პოლიფუმა" მილების ინსტრუმენტულ მასალად გამოყენებამ, აქციას თანამონაწილეობისა და ჩართულობის საშუალება დაუქარგა. უფრო საინტერესო იყო ბაზელში გამომავალი "ჰობიების ჟურნალის" მე-8 და მე-9 ნომრების პრეზენტაცია, რომელიც ყველგან იყო მი-

მოფანტული და განსაკუთრებით საინტერესო კომბინაციას ქმნიდა ქალბატონი ნელის უროლოგიული ლიტერატურის ფონზე.

ფუნტების რევოლუცია

მაგრამ, ორშაბათს, 7 დეკემბერს თბილისის სამხატვრო აკადემიის ეზოში ჩატარებული აქციის შესაფასებლად, თავისი უკიდურესი პროვოკაციულობისა და მოულოდნელობის გამო, გარკვეული დრო ნამდვილად საჭიროა. მითუმეტეს, რომ ეს აქცია, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, Never on Sunday-ის ეგიდით გაიმართა. მანამდე კი, როგორც იტყვიან, ფაქტების უბრალო კონსტატაციით დაკმაყოფილდეთ.

უცხოელ არტისტებთან წინა დღით საიდუმლოდ განდობილი, სამხატვრო აკადემიის ზუთი სტუდენტი, ხელში აკადემიის რექტორის სახელზე დანერვილი საპროტესტო ნოტითა და ტრანსფარანტული შაბლონით Academy 4art (აკადემია ხელოვნებისათვის) გრიბოდვის ქუჩაზე პირველი საათისათვის გამოჩნდა.

გიორგი კველიშვილი, ვეფხო მანია, დავით იაკობიძე, ლევან ფირცხალავა და გიორგი შანიძე აკადემიის ხელმძღვანელობის მიერ გატარებულ კონსერვატიულ პოლიტიკას აპროტესტებდნენ. მათი თქმით, ქვეყნის უმაღლეს სახელოვნებო დაწესებულებაში სწავლის პროცესი საბჭოთა კავშირის დროს დამკვიდრებული ნომენკლატურული წესებითა და იდეოლოგიური პროცესების გატარებით ხასიათდება. ამის გასაპროტესტებლად სტუდენტებმა ცოტა გაუმართავი ქართული შედეგებით შედეგინილი წერილი წარუდგინეს სასწავლებლის რექტორს, ბ-ნ გია ბულაძეს და აკადემიის ეზოში აქცია-პერფორმანსის ჩატარების უფლებაც გამოთხოვეს.

თუ გავითვალისწინებთ, აკადემიის სტუდენტთა გარკვეული ნაწილის აგრესიულ დამოკიდებულებას "განდგომილი" სუთულის მიმართ, ამ უკანასკნელთა მხრიდან მსგავსი აქტივობის განხორციელება აკადემიის შუაგულ ეზოში მართლა გვარიან გაბედულებას მოითხოვდა. აქცია პირდაპირ იყო მიმართული, მონაწილეთა ბაზრით, სასწავლებელში ბოლო დროს დამკვიდრებული "ლოდის სმის" ტრადიციასთან, რაც ხაზს უსვამს აკადემიაში შემოქმედებით და საგანმანათლებლო პროცესის კრიზისს.

აქციას სათაურიც გაბედულად ჰქონდა შერჩეული: "სმა, სმა, და ფსმა". სპონტანურად შეკონინებულ, ლუდხანის მაგიდის იმიტაციასთან შეკრებილი ოთხ სტუდენტს რუსული წარმოშობის ლული ედვა და გვარიან სიცივეში ქაფიან სასმელს ეჭყობებოდა. მაგიდაზე გადასაფარებლად კი კლასიკური ფიგურებიდან გაკეთებული ჩანახატები ჰქონდათ გამოყენებული. დაბალმა ტემპერატურამ და ცივმა ლუდმა თავისი შედეგი მალე გამოიღო და ბიჭები ერთმანეთს ასწრებდნენ ტუალეტისაკენ მიმავალ გზაზე.

2-7 დეკემბრის გამოფენის ასეთმა უცნაურმა დასასრულმა გაანალიზების ვექტორი ბევრისათვის სხვადასხვა მიმართულებით წაიყვანა და შესაბამისად კითხვებიც ბევრი გააჩინა. მე პირადად, ერთ შეკითხვაზე საამოვნებით მოვისმენდი პასუხს: ყველაფერი ეს, მართლა თაობებს შორის დაპირისპირების ჯვრისალი პროცესია თუ როგორც მოარული ხმები ამბობენ; ისევე და ისევე თანამდებობისათვის ბრძოლის ინტრიგებს ეწირება სამხატვრო აკადემიისა და საერთოდ ჩვენი საზოგადოების ნორმალური განვითარებისათვის საჭირო ძალისხმევა?

პოლიტიკური არქიტექტურა

ინტერვიუ პოლიტოლოგ დავით ასათიანთან (ჰამბურგი)

მარიკა ლაფაური-ბურკ ჰამბურგიდან

- თუ შეიძლება, ორიოდ სიტყვით გვითხარით თქვენი საქმიანობის შესახებ.

- დამთავრებული მაქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი და ჰამბურგის უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერებისა და რომანისტიკის ფაკულტეტი. ვარ დოცენტი ჰამბურგის უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერების კათედრაზე. ამჟამად ვწერ დისერტაციას პოლიტიკური არქიტექტურის სფეროში, თემაზე - ბერლინისა და ვაშინგტონის სინოფისის, მათი ტოპოგრაფიული და არქიტექტურული თავისებურებები.

- რა არის პოლიტიკური არქიტექტურა, რა არის ამ კვლევების ინტერესების სფერო? აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გავიზიარო სიხარული თქვენი ბოლო დროინდელი წარმატებების გამო, როდესაც თქვენ მიგიწვიეს ჰამბურგის უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად. იქნებ ორიოდ სიტყვით გვითხარით, თუ როგორია ინტერესი თქვენი ლექციის და თემის მიმართ.

- პოლიტიკურ არქიტექტურაში გულისხმობენ განაშენიანებულ სივრცესა და ცალკეულ შენობებს, რომლებიც ძირითადად პოლიტიკურ სისტემას ემსახურება და პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული პროცესების ანარეკლს წარმოადგენს. ამ დარგის შესწავლა ხდება ცალკეული განაშენიანებული სივრცისა თუ შენობების, ქალაქგეგმარებისა და ზოგადად პოლიტიკის ვიზუალური ინსცენირების მრავალფეროვანი შესაძლებლობების ინტერპრეტაციით.

პოლიტიკური არქიტექტურის კვლევების ინტერესების სფეროც სწორედ გარკვეული კულტურული და სოციალური ფენომენებით განპირობებული პოლიტიკური განაშენიანებული სივრცეა (როგორც შენობებს გარეთ - მოედნები, ქუჩები, შენობებს შორის სივრცე, ასევე შენობებს შიგნით - რეპრეზენტაციული დარბაზები, ოთახები და ა. შ.), რომელიც სიმბოლოებით წარმოაჩენს საზოგადოებებსა და სახელმწიფოებს და ამ სიმბოლოების დახმარებით კომუნიკაციებს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ პოლიტიკური არქიტექტურის განმარტება არაა ერთმნიშვნელოვანი და ვერც იქნება ბევრი მიზეზის გამო.

რაც შეეხება თემის მიმართ ინტერესს, მოხარული ვარ, რომ კურსის მონაწილეები არა მხოლოდ პოლიტიკური მეცნიერების სტუდენტები არიან, არამედ სხვადასხვა დისციპლინებს წარმოადგენენ. ამის მიზეზი თვითონ თემის არაპოლიტოლოგიური შინაარსია. ვფიქრობ, თემის სწორედ ფართო კონტექსტში განხილვა არის სტუდენტებისათვის მომნიშვნელოვანი, რადგან ასეთი ტიპის სემინარების შეთავაზება გერმანიაში აკადემიური საგანმანათლებლო სისტემის რეფორმირების შემდეგ, სამწუხაროდ, იშვიათობა გახდა.

- ე.ი. შეგიძლია ვთქვათ, რომ თქვენი კვლევების სფერო ფართო ისტორიულ-კულტურულ-ანთროპოლოგიურ კონტექსტშია მოქცეული და პოლიტიკას, მის გავლენას სხვადასხვა კუთხით, ამ შემთხვევაში არქიტექტურაში ასახვით განიხილავთ. არქიტექტურა ეპოქების ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი ფორმაა ადამიანების დამოკიდებულებებისა მათ სოციალურ-სამართლებრივ ურთიერთობებში. შეგიძლიათ ეს უფრო განავრცოთ და მოგვიყვით იმის შესახებ, თუ რატომ არის არქიტექტურის კვლევებისათვის და როგორია მისი მეთოდოლოგია?

- საკვებით მართალია. როგორც სისტემატური დისციპლინა და სამეცნიერო დარგი, პოლიტიკური არქიტექტურა ევროპაში, განსაკუთრებით გერმანიაში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბდა, როდესაც ევროპის შუაგულში მდებარე გერმანიის ურბანული ცენტრების დიდი ნაწილი ომის შედეგად მიწასთან იყო გასწორებული და ქალაქების აღდგენასთან დაკავშირებით საჭირო გახდა ნაციონალ-სოციალიზმისაგან ვიზუალური დისტანცირება. პოლიტიკური არქიტექტურა მოიცავდა სამი ფენის ანალიზს: ქალაქების დაგეგმარებას, ქალაქთა ცალკეული რაიონებისა და არქიტექტურული შენობების კვლევას. მეტ-ნაკლებად ამ სამი დონის (მეტწილად ქალაქთა დაგეგმარების) ანალიზი კეთდება ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. პოლიტიკური არქიტექტურის განსაკუთრებული კვლევის საგანი, რა თქმა უნდა, დედაქალაქებია, როგორც სახელმწიფოებრივი თვითრეპრეზენტაციის სიმბოლოები.

რაც ამ სფეროს ანალიზის მეთოდებს შეეხება, ისინი შეიძლება მკვლევარების ინდივიდუალურ

რობის მიხედვით მკვეთრად განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან. მაგალითად ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ანალიზის ისტორიული პერსპექტივა; ვგულისხმობ იმის აუცილებელ გათვალისწინებას, თუ როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები კონკრეტულ ისტორიულ ეპოქაში, რა ამოძრავებდათ მათ. მათი ქმედებები და გარემოს აღქმა ძალიან განსხვავებულია თანამედროვე ადამიანის ქმედებებისა და გარემოს აღქმისაგან. საჭიროა ამ განსხვავებების მიზეზების გაგება.

საერთოდ მცდარი არ იქნებოდა, თუ გარდასულ ეპოქებს ისტორიულ უწყვეტობაში განვიხილავდით, რაც კაცობრიობის სულიერი განვითარების ასევე უწყვეტი პროცესის ასახვაა. ადამიანთა ცნობიერების ჩამოყალიბება, აზროვნების განვითარების თავისებურებები და რწმენა აუცილებლად ურთიერთკავშირში უნდა განვიხილოთ. იგივე შეიძლება ითქვას პოლიტიკურ არქიტექტურაზეც; ამიტომ ამ სფეროში კვლევა სრულფასოვნად მოხერხდება საკითხისადმი მხოლოდ ინტერდისციპლინარული მიდგომით და დისციპლინებს შორის კავშირების დანახვით. ჩემი სადოქტორო ნამუშევრის მეთოდოლოგიაც ინტერდისციპლინარულ სფეროებს - ისტორიის, ფილოსოფიის, თეოლოგიის, კულტურული ანთროპოლოგიის, ხელოვნების დისციპლინებს შორის კავშირების დანახვის აუცილებლობაზეა აგებული.

- ჩვენი საუბრისას მინდა ასევე შევხვობ ჩვენს სამშობლოში განვითარებულ მოვლენებს. რომელ საყურადღებო მომენტებს გამოყოფდით საქართველოში პოლიტიკური არქიტექტურის თვალსაზრისით ჩვენს უახლეს ისტორიაში? რატომ დენციები თქვენთვის შემამჩნევი საქართველოში ამ მიმართულებით?

- პოლიტიკური არქიტექტურა საქართველოში ბევრი მიზეზის გამო განსხვავებულია დასავლეთში ამ დარგისადმი დამოკიდებულებისაგან. საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესს და ამ საზოგადოებაში აღზრდისა და განათლების ხარისხს, რა თქმა უნდა, თავისი გავლენა აქვს იმაზე, თუ რამდენად ცნობიერი დამოკიდებულება არსებობს პოლიტიკოსებსა და მოქალაქეებში იმ გარემოს მიმართ, სადაც ისინი ცხოვრობენ. ამას პირდაპირი კავშირი აქვს არქიტექტურასთან, როგორც პოლიტიკური კომუნიკაციის კომპონენტთან, მის ხარისხთან.

დიდი ხნის დემოკრატიული გამოცდილების სახელმწიფოში, სადაც სამოქალაქო საზოგადოება არსებობს, სადაც მოქალაქის ცნობიერება მაღალია, არქიტექტურას, როგორც წესი, რამდენიმე ფუნქცია აქვს: ის ცნობიერად შექმნილი სიმბოლოებით ერთგვარ სიგნალს აგზავნის ქვეყნის გარეთ, ასევე ქვეყნის სტრუქტურის მისამართით. ქვეყნის შიგნით კი მას მოქალაქეებისა და ორგანიზაციების თვითიდენტიფიცირებისა და მოტივირების ფუნქცია აქვს. გარდა ამისა, ის ასახავს პოლიტიკურ სისტემაში არსებული ძალების ერთმანეთ-

თან დამოკიდებულებას? რაც მთავარია, თანამედროვე დემოკრატიებში პოლიტიკური მნიშვნელობის მატარებელი არქიტექტურა ამ ფუნქციებს ცნობიერად იძენს მოქალაქეთა მხრიდან საზოგადოებრივი პროცესების მიმართ პასუხისმგებლობის აღებისა და ამ პროცესებში ცივილური ჩართულობის ფონზე. ამას, რა თქმა უნდა, გავლენა აქვს პოლიტიკოსების საქმიანობაზე და ასახავს ჰპოვებს ჩამოყალიბებულ დახვეწილ პოლიტიკურ კომუნიკაციაში. პოლიტიკური არქიტექტურა ასეთ პრობლემაში პოლიტიკოსებისა და მოქალაქეების საქმიანობისა და ქცევების ურთიერთგავლენის შედეგია და, გარდა ამისა, ხშირად იმისთვისაა კონცეპირებული, რომ პოლიტიკურმა არტეფაქტებმა თავისი მრავალფეროვანი არქიტექტურული თუ სხვა კომუნიკაციური ხერხით დიდაქტიკური ფუნქცია შეასრულოს და პოლიტიკურ სისტემასთან მოქალაქეების მაქსიმალურად შესაძლებელი სიახლოვე უზრუნველყოს.

საქართველოს პოლიტიკური არქიტექტურა ბოლო პერიოდში ჩვენი ქვეყნის თვითრეპრეზენტაციის ერთ-ერთი საშუალება გახდა, რაც კარგ ნიშნად მესახება. მიუხედავად ამისა, ის მიდგომები პოლიტიკური არქიტექტურის კვლევაში, რომლებიც დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში აუცილებლობას წარმოადგენს, საქართველოს მაგალითზე შეიძლება ხშირად გამოსადევი არ იყოს, რადგან ამ მიდგომებისათვის დემოკრატიული გამოცდილება არ არსებობს. აგრეთვე არ არსებობს ჩვენი საზოგადოების განვითარების ისტორიაში უწყვეტობა, რაც ზოგადად საზოგადოების ყოველი ისტორიული ეპოქისადმი ცნობიერი დამოკიდებულების აუცილებელი ნიშანია.

ბოლო დროს ჩვენს სამშობლოში ჩნდება თემები, პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებული პოლიტიკურ არქიტექტურასთან, რომლებიც საზოგადოებასა და პოლიტიკურ წრეებში დადებითი ძვრების მომასწავებელია. ვახსენებ მხოლოდ რამდენიმე მათგანს: გახმაურებული დისკუსიები სტალინის ძეგლთან, ბაგრატიის ტაძარსა და ატენის სიონთან დაკავშირებით; შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობების იდეურ-კონცეპტუალურ მიდგომასა და მათ არქიტექტურულ ღირსებებთან დაკავშირებული საუბრები; და რა თქმა უნდა საპრეზიდენტო რეზიდენციის მშენებლობაში ცნობიერად თანდართული ნაციონალური იდენტიფიკაციის სიმბოლოები. იმედი მაქვს, მომავალში ეს სიმბოლოები საქართველოს მოქალაქეთა ცნობიერებაში მათი ღირსების გამოვლენის მედიუმად იქცევა, რაც არის კიდევ პოლიტიკური არქიტექტურის მთავარი დანიშნულება. და ბოლოს, რაც მთავარია, ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს ნაწილობრივ ქუთაისში გადატანის გეგმა და ამასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი იდეა, პირველად საქართველოს ისტორიაში იმის აუცილებლობის წარმოქმნა, რომ მოხდეს ქალაქის, როგორც ქვეყნის მეორე პოლიტიკური ცენტრის რაციონალური დაგეგმვა და დაგეგმარება, როდესაც

განსაკუთრებით ქუთაისის ცენტრალური არეალის, სადაც პარლამენტის პლენარულ სხდომათა დარბაზი განლაგდება, ფუნქციონალური მოწყობისა და არქიტექტურული სიმბოლიკის გააზრებას უნდა ენიჭებოდეს დიდი მნიშვნელობა.

არსებობს კიდევ ერთი თემა, რომელიც საქართველოში ურბანული დაგეგმარებისა და განშენების სოციალურ და ეკოლოგიურ საკითხებს ეხება. ეს თემა გაცილებით რთული გასაანალიზებელია, რაც საქართველოს ამჟამინდელი კულტურული და სოციალური მდგომარეობითაა განპირობებული და ინდუსტრიული დასავლეთის მხრიდან საქართველოსადმი, როგორც განვითარებადი ქვეყნისადმი, გარკვეული პოლიტიკის გატარების შედეგებით აიხსნება.

- ბოლოს, როგორც პოლიტოლოგი, როგორ შეაფასებდით საქართველოში წარმოებულ პოლიტიკურ ბატალიებს გასულ ვაჭაფხულზე და მისი განვითარების აქტუალურ მდგომარეობას?

- ეს უზარმაზარი თემაა. მოკლედ ვიტყვოდი, რომ საპროტესტო ტალღა, რომელმაც ჩვენი საზოგადოების ნაწილი მოიცვა, თავიდანვე განწირული იყო წარუმატებლობისათვის ბევრი მიზეზის გამო, რომელთაგან ძირითადი თვითონ ამ საზოგადოებაშია საძიებელი, მათ შორის სუსტი კონსოლიდაციის ფაქტორიც. საქართველოში არ არსებობს უწყვეტი პარტიული ტრადიციები მყარი იდეოლოგიური საფუძვლებით. ეს შიდაპარტიული განხეთქილებებისა და პარტიულ შორის ნდობის დეფიციტის ერთ-ერთი მიზეზია. შესაბამისად ხშირი იყო ხელისუფლების კადრების ცვლა, რასაც თან სდევდა მთავრობაში რაციონალურობისა და კომპეტენტურობის პრობლემაც. ეს ყველაფერი ზრდიდა საზოგადოების ნაწილში უკმაყოფილოების გრძობას, რომლის საპროტესტო მანიფესტაციებით დაგვირგვინებაც შემდგომ გარკვეული წრეების რევანშისტულ მიზნებს ემსახურებოდა.

დასაწყისში ვახსენე, რომ პოლიტიკური არქიტექტურა ინდიკატორია ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-კულტურული პროცესების დინამიკისა. ვფიქრობ, რომ დღევანდელ დღეს იგივე პროცესები საქართველოშიც ჰპოვებს ახალ პროექტებში თავის ასხვას.

3 აპრილს, საპროტესტო გამოსვლების წინ, მე და ჩემს სტუდენტებს ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, რომლებთანაც მარტის თვეში ერთიანი სემინარი მქონდა პოლიტიკურ არქიტექტურაში, შესაძლებლობა მოგვეცა, მოგვეჩვენებინა მშენებარე საპრეზიდენტო რეზიდენცია. ვიზიტის სურვილის ოფიციალური განაცხადის გაკეთებიდან ამ ვიზიტის შედეგების ჩათვლით ჩემთვის კიდევ ერთხელ ნათელი გახდა, რომ საქართველოში სამოქალაქო შეგნებაში ცვლილებებია. ესაა ჩვენს საზოგადოებაში დადებითი ძვრების განმსაზღვრელი ფაქტორი.

ვენერა სეფიაშვილის გახსენება

ამ წუთიერი სამყოფელიდან სამარადისო განსასვენებელში გადასულთან დამშვიდობებას ყოველთვის განსაკუთრებული სიბოთი ცდილობენ. ვენერა სეფიაშვილი იმსახურებდა ასეთ სიბოთს, რადგან მისი მინიერი ცხოვრება კეთილშობილების, მაღალი პროფესიონალიზმის, სხვისი სამსახურის მაგალითი იყო. ის იყო ადამიანი, მთელი არსებით შეყვარებული საქართველოზე. ღრმად იცნობდა ქართულ მუსიკას, ქართულ ხელოვნებას, ლიტერატურას.

ქალბატონი ვენერა საოცრად გულისხმიერი ექიმი, პატარებზე მზრუნველი და ერთგული მოამბე იყო. განსაკუთრებით გამოირჩეოდა მისი დამოკიდებულება ახალგაზრდა ექიმების მიმართ. ის თავისი მოსწავლეების გულითადი მეგობარი იყო და ცდილობდა მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება მათთვის გადაეცა, რითიც დიდ სიყვარულს იმსახურებდა.

სინანულით, მონატრებითა და პატივისცემით ვიხსენებთ ქალბატონ ვენერას. იგი დიდხანს იცოცხლებს მაღლიერი პაციენტების და კოლეგების მესხიერებაში.

**ნ. გამცემლიძე
ი. ახვლედიანი**

სპორტი

ევროპაში 17 წლამდელთა ჩემპიონატი

შვეიცარიის ქალაქ ნიონში შემდგარი კენჭისყრის შედეგად, ევროპის 2010 წლის ჩემპიონატის ელიტრაუნდში საქართველოს 17 წლამდელთა ნაკრების მეტოქეები გამოვლინდნენ.

გიორგი დევედარიანის შეგირდებს კონტინენტის პირველობის საფურისთვის ჰოლანდიის, ჩეხეთისა და უკრაინის ნაკრებებთან მოუწევთ ბრძოლა.

კენჭისყრის შედეგად მთლიანობაში დაკომპლექტდა 7 ჯგუფი. თითოეულში ოთხი ნაკრებია. დასკვნით ეტაპზე გადიან მხოლოდ ჯგუფის პირველ ადგილზე გასულელები. საუკეთესო შედეგებს ტურნირის მასპინძელი მე-8 ნაკრები დაემატება.

2010 წლის 18-დან 30 მაისამდე ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირს ლიხტენშტაინი უმასპინძლებს.

კენჭისყრის საბოლოო შედეგები:

I ჯგუფი
საქართველო, ჰოლანდია, ჩეხეთი, უკრაინა

II ჯგუფი
პორტუგალია, ხორვატია, რუმინეთი, ბოსნია-ჰერცეგოვინა

III ჯგუფი
ავსტრია, ირლანდია, ფინეთი, საბერძნეთი

IV ჯგუფი

ესპანეთი, პოლონეთი, ჩრდ.ირლანდია, ბელგია

V ჯგუფი
საფრანგეთი, უელსი, თურქეთი, ნორვეგია

VI ჯგუფი
უნგრეთი, შვეიცარია, გერმანია, სერბეთი

VII ჯგუფი
ინგლისი, სლოვაკეთი, შვედეთი, მალტა

ბერძენ-რომაელთა სეზონი ოთხი მადლით დაასრულა

საქართველოს ბერძენ-რომაელი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა სეზონი მინსკში ოლიმპიური ჩემპიონის, ოლეგ კარავაევის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე ოთხი მადლით დაასრულა. არადა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის (ფილა) კალენდარი ბელარუსიულ ტურნირს არ ითვალისწინებდა და შესაბამისად მასში ასპარეზობა საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის გეგმაშიც არ შედიოდა, მაგრამ ბოლოსკენ ბეგი დარჩია საკუთარი სამწყსოთი მაინც ეწვია მინსკურ ხალიჩას.



ვანი ახალგაზრდებზე შეაჩერა. ერთადერთი გამონაკლისი ლაშა გოგიტაძე (55 კგ.) და რევაზ ლაშხია (60 კგ.), რომლებსაც დანარჩენებთან შედარებით მეტი გამოცდილება აქვთ საერთაშორისო ასპარეზზე.

არჩევანი ძირითადად იმ

ახალგაზრდებზე გავაკეთეთ, რომლებმაც 2012 წლის ოლიმპიური თამაშების საფურისთვის უნდა იბრძოლონ. ამ ბიჭებს უკვე რეალურად შესწევთ ძირითად ნაკრებში მოხვედრის ძალა და უნარი, რომელთათვისაც მომავალი სა-

ერთაშორისო ტურნირი გამოცდილების მისაღებად ძალზე მნიშვნელოვანი იქნება. შედეგზე კი ამ ეტაპზე ნაკლებად ვფიქრობთ, მინსკში გამგზავრებამდე აცხადებდა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბეგი დარჩია.

მეტ-ნაკლებად გამოცდილი ვთქვით და აი, დასტურიც, გოგიტაძეც და ლაშხიაც ჩემპიონები გახდნენ. დანარჩენი ორი მედალი კი ვერცხლისა და ბრინჯაოსი, შესაბამისად, სოსო ჯაბიძემ (96 კგ.) და მიხეილ ქაჯაიამ (96 კგ.) დაისაკუთრეს.

და კიდევ, ძიუდოსტების არ იყოს, ბერძენ-რომაელთა და "თავისუფალთა" საქართველოს ჩემპიონატსაც (16-17 იანვარი) ქუთაისი უმასპინძლებს. ამასთან ხალიჩაზე გასვლა ყველა ტიტულოვანი მოჭიდავისთვის სავალდებულო იქნება.

ტაიგარ ვუდსის შესანიშნავი მხიდაული

ბიბა ბარასაშვილი

ყვითელ პრესას საკბილო გაუჩნდა, თანაც, მსოფლიოს უმდიდრესი სპორტსმენისა და მსოფლიო რეპუტაციის მქონე ტაიგარ ვუდსის სახით. ამერიკელი მეგოლფე, რომელმაც ყვანჯით მოპოვებული შემოსავლებით მილიარდობით დოლარს გადააბიჯა, ცულუტობაში ამხილეს. თურმე ნუ იტყვი, კაცი, რომელიც ტაბლოიდებს მასზე საჭიროად იოტისოდენა მიზეზსაც არ აძლევდა, დღეს ყურნალ-ვაზეთების გარეკანებს ხმამაღალი სათაურებით დაეპატრონა.

დასავლური გამოცემებისთვის ბოლო კვირების მთავარი თემა მსოფლიოს უმდიდრესი სპორტსმენის ტაიგარ ვუდსის მეუღლესთან შესაძლო გაყრა, რომლის მიზეზად 33 წლის მე-

გოლფის მრავალრიცხოვანი საყვარლები სახელდება.

12 დღის წინ ტაიგარ ვუდსი ფლორიდაში, საკუთარ სახლთან ახლოს, ავარიში მოყვა. მას ნახევრად უგონო მდგომარეობაში მიაგნეს. სახეზე ნაიარევი ჰქონდა. თავდაპირველად ითქვა, რომ გოლფის დიდოსტატმა საკუთარი "კადილაკით" სახანძრო ჰიდრანტთან შეჯახების შემდეგ ტრაექტორია დაკარგა და ხეს შეასკდა. არაოფიციალური ინფორმაციით კი, იარები ტაიგარის სახეზე მისის ვუდსის დამსახურებაა. კერძოდ, მას შემდეგ, რაც მან შეიტყო ქმრის ლალატი, განრისხებულმა ვუდსი დაკანრა. როდესაც მეგოლფე ყვანჯით დადევნებული ცოლისგან თავის დაღწევას ცდილობდა, ისლა მოახერხა, რომ "კადილაკის" საჭეს მიუჯდა და გაიქცა, მაგრამ, აფექტის მდგომარეობაში მყოფმა, საჭე ვერ დაიმორჩილა და ავარიში მოყვა.

სკანდალებზე მონადირე

ჟურნალისტებმაც არ დააყოვნეს და გამოაქვეყნეს იმ შვიდი ქალის სახელი, რომლებსაც თითქოს სასიყვარულო კავშირი ჰქონდათ ტაიგართან. მეტიც, ტაბლოიდები იმდენად გაიტაცა ვუდსების სკანდალმა, რომ მკითხველს ტაიგარის საყვარლებთან ინტერვიუებს სთავაზობენ და მეტი პიკანტურობისთვის საკუთარ საიტებზე "ნომერ პირველი მეგოლფის" მეგობარი გოგონების თამამ ფოტოებს აქვეყნებენ.

პრეზენტაბელური გამოცემები და ტელეარხები, იმის შიშით, რომ არ დაკარგონ აუდიტორია, ვუდსების ოჯახზე ყოველდღიურად ახალ-ახალ წერილმანებს ამცნობენ.

...ტაიგარ ვუდსი ყოფილ შვედ მოდელსა და მსახიობზე ელი ნორდგერენზე 2004 წელს დაქორწინდა. ჰყავთ ორი შვილი - ქალ-ვაჟი, მაგრამ, როგორც ამბობენ, ოჯახი დანგრევის პირასაა. იმასაც ამბობენ, მოვლენათა განვითარების გარკვეულ შემ-

თხვევაში ტაიგარ ვუდსს რამდენიმე ასეულ მილიონ დოლართან გამოთხოვება მოუწევს.

ტაიგარ ვუდსის შვიდეული:

- რეიჩელ უჩიტელი (34) - ნიუ იორკის ლამის კლუბის მენეჯერი
- ჯეიმი გრაბსი (24) - "სტუდო სიტის" ბარმენი (კალიფორნია)
- მინდი ლოტონი (34) - რესტორან "პერკინსის" მიმტანი (ფლორიდა)
- კალიკა მოქუინი (27) - ლას ვეგასის ლამის კლუბ Jet-ის მენეჯერი
- ჯემი ჯანგერსი (26) - ლას ვეგასის კოქტილ-ბარის მიმტანი
- კორი რისტი (31) - ნიუ იორკის კლუბ "ბათერის" თანამშრომელი
- ჰოლი სემსონი (36) - ლოს ანჯელესში მცხოვრები პორნოვარსკვლავი

ჯანოს მოსკოვერი აღიარება

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და მოსკოვის "სპარტაკის" ქართველი ვუნდერკინდი ჯანო ანანიძე "სახალხო გუნდის" ფანებმა რუსული კლუბის დუბლმემადგენლობის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

"სპარტაკის" ვებგვერდის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად ანანიძემ ხმათა 71 პროცენტი მიიღო და დიდი სხვაობით აჯობა მეორე ადგილზე გასულ იგორ გორბატენკოს, რომელმაც 17 პროცენტი დააგროვა. მესამეზე, 7 პროცენტით, მაქსიმ გრიგორიევი გავიდა.

გასულ სეზონში "სპარტაკის" ძირითადი გუნდის საუკეთესო მოთამაშედ მოსკოველთა გულმემადგენლებმა ბრაზილიელი ლეგიონერი ალექსი ალიარესი.

უკვე დამთავრებულ რუსულ საფეხბურთო სეზონში ჯანოს დებიუტი "სპარტაკის" ძირითად გუნდშიც გაიმართა. რუსული პრემიერლიგის ისტორიაში ანანიძე ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელია, ვისაც გოლი გაუტანია.

ლამს "მანჩესტერში" ელიან

ზამთრის სატრანსფერო პერიოდში "მანჩესტერ სიტი" მიუნხენის "ბაიერნისა" და გერმანიის ნაკრების მცველის ფილიპ ლამის შექმნას შეეცდებოდა. ლამს გაუფუჭდა ურთიერთობა "რეკორდმაისტერის" მესვეურებთან და ფეხბურთელის ტრანსფერზე უკვე აქტიურად საუბრობენ. "ქალაქელები" გერმანულ მცველში 12 მილიონ გირვანქა სტერლინგს იხდიან და ტრანსფერს ალბათ წინ ვერაფერი დაუდგება, თუ, რა თქმა უნდა, "ბაიერნს" უფრო მეტი თანხა არ შესთავაზა "მანჩესტერ იუნაიტედმა", რომელსაც აგრეთვე სურს ლამის გადაბირება.

გოგუს პარიზული პერსპექტივა

საფრანგეთის ნაკრებისა და "ლიონის" ფორვარდს სიდნი გოგუს ჰსე-ში იწვევენ. ფრანგული მედიის ინფორმაციით, პარიზელებს 30 წლის თავდამსხმელის დამატება იანვრის სატრანსფერო ფანჯრის დროს უნდათ.

გოგუს "ლიონთან" კონტრაქტი მომავალი წლის ივნისში ენურება. ამის შემდეგ ფეხბურთელი თავისი უფვალი აგენტის გახდება. ასე რომ, ფორვარდის გასუფთავებ არც მისმა ახლანდელმა კლუბმა უნდა თქვას უარი, რათა გოგუს სანაცვლოდ გარკვეული კომპენსაცია მაინც მიიღოს.

კასერესის ბედი გადაწყდა

22 წლის ურუგვაელი მარტინ კასერესი, რომელიც "ბარსელონას" კუთვნილება და ტურინის "იუვენტუსში" იჯარის წესით თამაშობს, იტალიურ გრანდში გააგრძელებს კარიერას. ტურინელებს კასერესის ტრანსფერის გამოსყიდვის უფლება ექნებათ საიჯარო ხელშეკრულების ამონაწილის შემდეგ, ესე იგი, მომავალ ზაფხულს, თუმცა "ქალბატონის" ხელმძღვანელობა უკვე დაუკავშირდა კატალონიელ კოლეგებს და ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ალბათ გარიგებაც შედეგადა.

დომინგესს ესპანეთსა და იტალიაში იწვევენ

ჩემპიონთა ლიგაში კარგი თამაში შეუმჩნეველი არ რჩება. ასე მოხდა ყაზანის "რუბინის" ფორვარდ ალექსანდრო დომინგესის შემთხვევაშიც. სეზონის დასაწყისში არგენტინელი ფორვარდის შესახებ რუსეთში თუ საუბრობდნენ, საკმარისი აღმოჩნდა რამდენიმე წარმატებული მატჩი ჩემპიონთა ლიგაში და დომინგესს უკვე ესპანური და იტალიური კლუბები იწვევენ.

"იმ ხალხს, რომლებიც ჩემს ტრანსფერზე მუშაობენ, მართლაც აქვთ სერია A-სა და პრიმერადივიზიონის კლუბების ვარიანტები, მაგრამ მე, ჯერჯერობით, გადაწყვეტილება არ მიმიღია. "რუბინს", მის მწვრთნელს და თანაგუნდელებს დიდ პატივს ვცემ. ჩემი საქმე ახლა მხოლოდ ის არის, რომ ყაზანელებს წარმატების მიღწევაში დავეხმარო. 10 დეკემბერამდე ყველანაირი მოლაპარაკება შეჩერებულია. დასრულდება მილანის "ინტერთან" მატჩი და მერე ყველაფერი გაირკვევა", - აცხადებს 28 წლის არგენტინელი ფორვარდი.

ზლატან იბრაჰიმოვიჩმა ნაკრებზე დროებით უარი თქვა

“ბარსელონას” შვედი ფორვარდი ზლატან იბრაჰიმოვიჩი შვედეთის ნაკრებში თამაშს უახლოეს პერიოდში არ აპირებს.

“ჩემთვის ყოველთვის დიდი პატივი იყო საკუთარი ქვეყნის ღირსების დაცვა. თუმცა, იძულებული ვარ, სანაკრებო კარიერაზე დროებით უარი ვთქვა. მიზეზი მოტივაციის ნაკლებობაა. ჩვენ მსოფლიო ჩემპიონატის საგზური ვერ მოვიპოვეთ. ამიტომ უახლოეს მომავალში მხოლოდ უმნიშვნელო ამხანაგური მატჩები გველის. ასეთი მატჩებისთვის სათანადოდ განწყობა კი ძალიან მიჭირს. სამაგიეროდ, “ბარსელონას” წინ ისეთი რთული სეზონი ელის, რომ ნაკრებზე ფიქრისთვის დროც არ მრჩება. სიმართლე გითხრათ, ჯერ ზუსტად არ ვიცი, დავბრუნდები თუ არა ოდესმე ეროვნულ გუნდში”, - აღნიშნა “ბარსას” 28 წლის ფორვარდმა.

რენა “ლივერპულის” დატოვებას არ აპირებს

“ლივერპულის” ესპანელი მეკარე ხოსე რენა აცხადებს, რომ მზადაა ახალი გრძელვადიანი კონტრაქტი გააფორმოს მერსისაიდულ კლუბთან.

“მშვენივრად მესმის, თუ რაოდენ გამიმართლა, როცა “ლივერპულში” აღმოვჩნდი. აქ ჩემი ოჯახიც ბრწყინვალედ გრძნობს თავს. ჩემს შვილებს კი ლივერპული მშობლიურ ქალაქად მიაჩნიათ. რაც შეეხება ფეხბურთს, უკვე 27 წლის ვარ. კარიერის უდიდესი ნაწილი უკვე გავიარე, თუმცა თამაშის დასრულებას ჯერ არ ვაპირებ. მინდა კიდევ დიდხანს დავრჩე “ლივერპულში”. კლუბის მესვეურებმა ამის შესახებ ყველაფერი იციან. იმედი მაქვს, სულ მალე “ლივერპულთან” ახალ კონტრაქტს გავაფორმებ, რადგან ჩემი თავი ვერ წარმომიდგენია სხვა გუნდის მაისურით”, - აცხადებს რენა.

ტონი “ინტერში”?

იტალიურ გამოცემა “გაძეგა დელო სპორტის” ინფორმაციით, ზამთრის სატრანსფერო პერიოდში მილანის “ინტერი” იყიდის ლუკა ტონის, რომელსაც უკვე საბოლოოდ გაუფუჭდა ურთიერთობა მიუნხენის “ბაიერნის” ხელმძღვანელობასთან.

ლუკა ტონის გადაბირების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ ახალი წლის დადგომის შემდეგ “ინტერის” ფორვარდი სამუელ ეტო’ო აფრიკის თასის გათამაშებაზე გაემგზავრება. მოუწინაო კი კამერუნელის არყოფნით გაჩენილი ვაკუუმის შევსებას სწორედ ტონით აპირებს.

“კატანია” მიხაილოვიჩმა ჩაიბარა

იტალიური სერია A-ს აუტსაიდერ “კატანიას” მთავარ მწვრთნელად დაინიშნა სინიშა მიხაილოვიჩი, რომელიც ადრე “ინტერში” მთავარი მწვრთნელის ასისტენტად მუშაობდა, დამოუკიდებლად კი “ბოლონიას” წვრთნიდა.

მიმდინარე წლის აპრილში 40 წლის სერბი “ბოლონიადან” არადაამაკმაყოფილებელი შედეგების გამო დაითხოვეს და მას შემდეგ უმუშევარი იყო.

“კატანია” იტალიის ჩემპიონატის 15 ტურში მოპოვებული 9 ქულით, “სიენასთან” ერთად, სატურნირო ცხრილის ფსკერზეა. ახალი მწვრთნელის ამოცანაც, რა თქმა უნდა, გუნდისთვის სერია A-ში ადგილის შენარჩუნება იქნება.

ადვოკატი “ალკმარს” განვრთნის

არც ისე დიდი ხანია, რაც ჰოლანდიური “ალკმარსი” მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩა. უცხოურ მედიაში ითქვა, რომ ამ გუნდის თავკაცად დიკ ადვოკატი დაინიშნებოდა, თუმცა პრესაში გავრცელებული ინფორმაციის სარწმუნოებაში ეჭვის შეტანის საბაზს იძლევა ის, რომ ჰოლანდიელი სპეცი-ალისტი უკვე დანიშნულია ბელგიის ნაკრების თავკაცად.

თუმცა, თავად ადვოკატმა დაადასტურა, რომ “ალკმარსის” მესვეურთაგან შეთავაზება მიიღო და ამის გამო “შტუტგარტის” მწვრთნელობაზე თქვა უარი. საქმე ის არის, რომ ბელგიის ფეხბურთის ფედერაციასა და ადვოკატს შორის გაფორმებულ კონტრაქტში არის პუნქტი, რომლის თანახმად, ჰოლანდიელს ნაკრებისა და კლუბის მწვრთნელობის შეთავსების უფლება აქვს. ასე რომ, თუ ჰოლანდიური მედიას დაუფუჯრებთ, ადვოკატი დღე-ღამეზე დაინიშნება “ალკმარსის” მთავარ მწვრთნელად. ხოლო სანამ ადვოკატს ოფიციალურად წარადგენენ, გუნდს უხელმძღვანელებს შოთა არველაძე, რომელიც ჯერ ვან გაალის თანამშენებელ მუშაობდა, შემდეგ კი იგივე ფუნქციებს რონალდ კუმანის მწვრთნელობის პერიოდშიც ასრულებდა.

მე ლეგენდა არ ვარ



ქერარდი ინგლისის ჩემპიონობაზე ოცნებობს

“ლივერპულის” კაპიტანს სტივენ ჯერარდს უკვე მოიხსენიებენ, როგორც მერსისაიდული კლუბის ლეგენდას, თუმცა, თავად “სტივი ჯის” მიანიხსნა, რომ ლეგენდობამდე ბევრი უკლია. ჯერარდი ყოველთვის გამოირჩეოდა თავმდაბლობით და გამოწკაპისი არც ლეგენდაზე საუბრისას დაუშვა. მერსისაიდელთა მთავარი ვარსკვლავი გუნდის ლეგენდებსაც ასახელებს და ამბობს, რომ ჯერ იმ დონემდე მისვლაა საჭირო. თუმცა, ალბათ ჯერარდს ზედმეტი მოსდის. მის მიერ დასახელებული ფეხბურთელები, ცხადია, “ლივერპულის” ისტორიაში სამუდამოდ შევიდნენ, მაგრამ ისიც ცხადია, რომ სტივენი უკვე არის მათ რანგში.

“არ ვიფიქრობ, რომ მე “ლივერპულის” ლეგენდა ვარ. ფეხბურთელს მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება უწოდო ლეგენდა, როცა ის კარიერას დაასრულებს და მის მიერ განვლილ გზას და მოგებულ ტიტულებს

გადახედავ. დღეს ფეხბურთელს ნაადრევად ანიჭებენ ლეგენდის სტატუსს. ჩემს შემთხვევაშიც ასეა. მე კი ლეგენდად არ წარმომიდგენია თავი. გინდათ გითხრათ, ვინ არიან “ლივერპულის” ლეგენდები? კი

ბატონო, რა პრობლემაა - დაღვლილი, რაში და ჰანსენი. ეს სამეული და მეტი არაფერია. შესაძლოა ოდესმე, მომავალში, გადავხედო ჩემს საფეხბურთო კარიერას და თავად ვთქვა, რომ მათ დონეს მივალნი, მაგ-

რამ ახლა არა,” - ამბობს მერსისაიდელთა კაპიტანი.

შემდეგ სტივენმა ისაუბრა ნლეგენდელ სეზონზე, რომელიც “ლივერპულისთვის” არც ისე წარმატებულად მიმდინარეობს.

“სამწუხაროდ, ნლეგენდელი სეზონი ჩვენთვის უიღბლო გამოდგა. ყველაფერს გავილებდი იმისთვის, რომ ჩემპიონთა ლიგაში ბრძოლის გავრცელების საშუალება გვქონდეს, მაგრამ ამ ტურნირს უკვე გამოვეთქმეთ. ვიბრძოლებთ პრემიერლიგის მოსაგებად. მესმის, რომ ამის მანსიც ძალიან მცირეა, მაგრამ ეს ჩვენი მიზანია. სანამ სული მიდგას და სანამ ფეხბურთს ვთამაშობ, მუდამ ვიბრძოლებ ინგლისის ჩემპიონის ტიტულისთვის. შესაძლოა, ჩემს თავს იმიტომაც არ მივაკუთვნებ ლეგენდების რიცხვს, რომ ეს ტიტული მაკლია. ჩემი ოცნებაა მივიგო ინგლისის ჩემპიონის ტიტული “ლივერპულის” კაპიტნის რანგში,” - ამბობს ჯერარდი.

მისი მისამე ცდა

დასასრულს მიუახლოვდა 2009 წელი, რომელიც “ბარსელონას” არგენტინელი ვარსკვლავის ლიონელ მესის ცხოვრებაში განსაკუთრებული იყო. ახლა მსოფლიოში ალბათ არ არსებობს მესიზე ბედნიერი ფეხბურთელი. “ბარსელონას” შემადგენლობაში ყველაფერი მოიგო, ახლახან “ფრანს ფუტბოლის” გამოკითხვაში გაიმარჯვა და “ოქროს ბურთს” დაეუფლა, არგენტინის ნაკრებთან ერთად მსოფლიო ჩემპიონატის საგზური მოიპოვა, სულ მალე კი ალბათ ფიფას ვერსიით დაასახელებენ მსოფლიოში საუკეთესოდ. კიდევ ერთი ტიტულის მოგებას კი კლუბთან ერთად არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე შეეცდება.

ფიფას ოფიციალური ვებგვერდის ყურნალისტიკისთვის მიცემულ ინტერვიუში მესი მოგებულ და მომავალში მოსაგებ ტიტულებზე საუბრობს.

- გაიმართა 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის წლისყრა. ცნობილია არგენტინის ნაკრების მეტოქეებიც. შეძლებს თუ არა თქვენი ნაკრები პლანეტის უმნიშვნელოვანესი საფეხბურთო ტურნირის მოგებას?

- ახლა ამაზე საუბარი ნაადრევია. ჩემი აზრით, არგენტინის ნაკრები ყოველი კონკრეტული თამაშისთვის უნდა მოემზადოს და სწორედ ამ თამაშის მოგებაზე იფიქროს. ნაბიჯ-ნაბიჯ სიარული გვმართებს. უმჯობესია თითო კონკრეტული მატჩის მოგებაზე ვიფიქროთ, ვიდრე მთლიანად ტურნირის.

- რა დასამალია, არგენტინის ნაკრებს გარკვეული პრობლემები ჰქონდა შესარჩევ ციკლში. ახლა რა მდგომარეობაა გუნდში?

- საკვალიფიკაციო ეტაპი წარსულს ჩაბარდა და ეროვნული ნაკრებისთვის ახალი ეტაპი იწყება. მუნდიალისთვის მოსამზადებლად საკმაოდ დრო გვაქვს. გუნდში პოზიტიური ცვლილებების განხორციელებას აუცილებლად მოვასწრებთ.



მესი “ოქროს ბურთით” ხელში

- ახლახან ესპანეთის ნაკრებს შეხვდით. ეს გუნდი ფიფას რეიტინგში პირველ ადგილზეა. რა შემატა “ალბისელესტეს” ამ თამაშმა?

- ძლიერ გუნდებთან თამაშში ყოველთვის სასარგებლოა. ესპანეთის ნაკრები “ბარსელონას” სტილში თამაშობს. ამ გუნდში უამრავი მაღალი დონის ფეხბურთელია. ჩვენთვის ამ თამაშში ბევრი რამ იყო სასარგებლო.

- არის თუ არა ესპანეთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი?

- თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, გეტყვი, რომ დღეს ესპანეთის ნაკრები მსოფლიოში საუკეთესოდ მიმაჩნია. ცხადია, მსოფლიო ჩემპიონატის მთავარ ფავორიტადაც ვთვლი.

- ახლა საკლუბო ფეხ-

ბურთს მივხედოთ. წინ მსოფლიოს საკლუბო მუნდიალია, რომელიც აბუ დაბიში იმართება. რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ამ ტურნირის მოგება?

- ეს არის ტიტული, რომელიც არც “ბარსელონას” მოუგია ოდესმე და არც კლუბში მოთამაშე ფეხბურთელების უდიდეს ნაწილს. ახლა თავად განსაჯეთ, იქნება თუ არა მნიშვნელოვანი ჩვენთვის მისი მოგება.

- 2006 წელს “ბარსამ” მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი წააგო. მაშინ თქვენ ტრავმის გამო არ გითამაშიათ. გუნდმა სწორი დასკვნები გამოიტანა დაშვებული შეცდომებიდან. შეძლებს თუ არა ახლა ტურნირის მოგებას?

- მთავარი გაკვეთილი ის არის, რომ საკუთარ თავში

ზედმეტად დაჯერებულები არ უნდა ვიყოთ. მეტოქე ჯეროვნად უნდა შეგვფასაოთ.

- თქვენი მომავალი მეტოქეების შესახებ რა იცით?

- თითქმის არაფერი. თუმცა საჭირო დროს მწვრთნელი მეტოქეებზე ყველა ინფორმაციას მოგვანდის. ცხადია, როგორც არგენტინელმა, “ესტუდიანტეს” შესახებ ვიცი. ეს გუნდი ლამაზ და შემტევ ფეხბურთს თამაშობს. რამდენიმე მაღალი კლასის ფეხბურთელიც ჰყავთ. მათგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ხუან სებასტიან ვერონი.

- ამ ტურნირს პირველად მასპინძლობს არაბეთის გაერთიანებული საემიროები. ამ ქვეყნის შესახებ რა იცით?

- ჯერჯერობით არაფერი. ჩემთვის ყოველთვის საინტერესოა ახალი ქვეყნის გაცნობა. სამწუხაროდ, ტურნირის ფორმატიდან გამომდინარე, არა მგონია, ქვეყნის დასათვალიერებლად ბევრი დრო მქონდეს. ჩემი მთავარი მარშრუტი იქნება სასტუმროდან სტადიონამდე და უკან. არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში ფეხბურთის სათამაშოდ ჩავედევარ.

- “ბარსა” ფანტასტიკურ ფეხბურთს აჩვენებს. შეგიძლიათ თუ არა თქვათ, რომ დღევანდელი გუნდი არის საუკეთესო, რომელშიც ოდესმე გითამაშიათ?

- არა, ასე ვერ ვიტყვოდი. ჩვენ 2006 წელსაც ძლიერი გუნდი გვყავდა. იმ დროს ჩვენთან რონალდინიო, დეკუ და სემი ეტო’ო თამაშობდნენ. როგორც დღევანდელმა, ისე მაშინდელმა გუნდმა ბევრს მიაღწია.

- “ოქროს ბურთი” უკვე მოიგეთ. რეალური შანსი გაქვთ, ფიფას ვერსიითაც გახდეთ წლის საუკეთესო ფეხბურთელი. შეძლებთ ამ ჯილდოს მოგებას?

- მესამედ მეძლევა ამ ჯილდოს მოგების შანსი. იმედია, ახლა მაინც გამიმართლებს.

რონალდუმ პარტნიორებს მოუბოდიშა

2008 წლის "ოქროს ბურთის" მფლობელმა, მსოფლიოს ყველაზე ძვირად ღირებულმა ფეხბურთელმა კრიშტიანუ რონალდუმ თანაგუნდელებს ბოდიში მოუხადა. საბოდიშოდ კი პორტუგალიელს ესპანეთის ჩემპიონატის მე-13 ტურში, "რეალისა" და "ალმერისა" მატჩის შემდეგ გაუხდა საქმე. ის თამაში "ბლანკოსმა" ანგარიშით 4:2 მოიგო, რონალდუმ კი ამ შეხვედრაში ყოველმხრივ მოახერხა თავის გამოჩენა. ვერ გაიტანა პენალტი, არ აღნიშნა თანაგუნდელის მიერ გატანილი ბურთი, საკუთარი გოლი კი ისე აღნიშნა, თითქოს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გაეტანოს და ბოლოს წითელი ბარათი მიიღო.

მიუხედავად თანმიმდევრობით. "ალმერისა" კარში დაინიშნა პენალტი, რომლის შესრულება რონალდუმ ითავა. პორტუგალიელის დარტყმის შემდეგ ბურთი მეკარემ მოიგვრია, დამატებაზე კარში ბენზემამ ითამაშა და გოლიც გაიტანა, თუმცა, რონალდუმ გაფუჭებულმა პენალტმა იმდენად გაანანყენა, რომ გოლი არც ბენზემას მიულოცა და არც თანაგუნდელების სიხარული გაიზიარა. სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ, რომ პენალტის შესრულების დროს მეკარე დარტყმაზე ადრე გადახტა. ასევე ბენზემაც უფრო ადრე შეიჭრა საჯარიმოში, ვიდრე რონალდუმ დაარტყამდა. ასე რომ, წესით, მსაჯს რონალდუსთვის თერთმეტმეტრიანი თავიდან უნდა დაერტყმებინებინა.

მოგვიანებით პორტუგალიელმა მაინც გაიტანა. რონალდუმ იგუანის უზადო გადაცემა მიიღო, კარგად დაარტყა და... გაიძრო მაისური და ისე აღნიშნა



რონალდუს წითელი აუნთეს

ნა გოლი, თითქოს მანამდე საერთოდ არასდროს გაეტანოს. შემდეგ მსაჯისგან ყვირით ბარათი მიიღო. ცოტა ხანში კი პორტუგალიელი მინდვრიდანაც გააძევეს. თუმცა, არ იმით, რომ მეორე ყვირით ბარათი დაიმსახურა. არბიტრმა მას პირდაპირ წითელი "აუნთო": ერთ-ერთ სათამაშო ეპიზოდში "ალმერისა" მცველი რონალდუს დაეჯახა, რაც პორტუგალიელს არ ესიამოვნა და მეტოქეს წიხლი ჩაარტყა. მსაჯმა კრიშტიანუს დაუყოვნებლივ აჩვენა წითელი ბარათი - "რეალის" მთავარი ვარსკვლავი "სამეფო კლუბისა" და "ვალენსიას" პრინციპულ მატჩს გამოტოვებს.

მატჩის შემდეგ რონალდუმ მედიის საშუალებით მოიბოდიშა: "აღამიანი ვარ და შეიძლება შევცდე. ყველაფერი, რაც მინდორზე მოხდა, ინსტიქტის დონეზე იყო. რა თქმა უნდა, თანაგუნდელებს უკვე მოვუბოდიშე. ახლა ამას პრესის საშუალებითაც ვაკეთებ. აქვე მინდა ვთქვა, რომ ჩვენს გამარჯვებაში ლომის წილი სწორედ კარმის გოლმა შეიტანა". ვინ იცის, შესაძლოა რონალდუს ასეთი საქციელი იმის მიზეზი, რომ, "რეალის" ფანების 85 პროცენტის აზრით, გუნდს, რომელშიც რონალდუმ, რაული, ბენზემა, კაკა, ხაბი ალონსო, სერხიო რამოსი, კასილიასი და სხვები თამაშობენ,

ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ვარსკვლავებით გაძლიერებას საჭიროებს. ურუნალისტებთან საუბრისას კრიშტიანუ მსოფლიო ჩემპიონატის წილისყრასაც შეეხო: "უაღრესად რთულ ჯგუფში აღმოვჩნდი. არ მიხარია ის, რომ ჩემი მეგობრების წინააღმდეგ მომიწევს თამაში. სატურნორო თვალსაზრისით, მძიმე ბრძოლები გველის. ჯგუფური ეტაპის ბარიერის გადასალახავად პორტუგალიის ნაკრებმა უმაღლესი დონის ფეხბურთი უნდა აჩვენოს. არ დავმალავ, რომ წილისყრის შედეგებით უკმაყოფილო ვარ".

ფეხბურთელი მწვრთნელს ერხება

თანამედროვე ფეხბურთში ყველაფერი ხდება. მაგალითად, პრემიერლიგის კლუბ "სტოკ სიტის" ფეხბურთელმა და მწვრთნელმა ერთმანეთთან მუშატი-კრივი გამართეს. ეს მოხდა "არსენალთან" წაგებული თამაშის შემდეგ.

"სტოკის" მწვრთნელი პულისი, რომელიც საკუთარი შეგირდებით უკმაყოფილო იყო, მოთამაშებისგან ვარჯიშის განახლებას კვირას მოითხოვდა, თუმცა, მანამდე იგეგმებოდა, რომ მათ სამშაბათამდე უნდა დაესვენათ.

როგორც ირკვევა, ამ პერიოდში გუნდის ფორვარდი ბიტი ნვეულების მოწყობას აპირებდა და მწვრთნელის მოთხოვნას უხეშად უპასუხა. სიტყვიერი შელაპარაკებას ხელჩართული ჩხუბი მოჰყვა. მწვრთნელისა და მოთამაშის დამშვიდება მხოლოდ გუნდის პერსონალის ჩარევის შედეგად მოხერხდა. რა ზომები მოჰყვება ბიტის ამ ქმედებას, ჯერჯერობით უცნობია. სავარაუდოდ, მოთამაშეს საჯაროდ ბოდიშის მოხდა და ფულადი ჯარიმის გადახდა მოუწევს.

კოული საუკეთესო ლონდონელია

წლის ბოლოს რანაირ გამოკითხვას აღარ წაანყდე. გამოცემების უმრავლესობა მსოფლიოს ან ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელს გამოავლენს. სააგენტო BBC-მ კი 2009 წლის საუკეთესო ლონდონელი ფეხბურთელის გამორკვევა ისურვა და ამ მიზნით საკუთარ მომხმარებლებს შორის გამოკითხვა ჩაატარა. გამოკითხვის შედეგად პირველ ადგილზე გავიდა ინგლისის ნაკრებისა და "ჩელსის" მცველი ეშლი კოული.

ლონდონის აღმოსავლეთ ნაწილში დაბადებული 28 წლის კოული დღეს მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მარცხენა მცველად ითვლება. ეს გარემოება არც BBC-ს გამოჰპარავია და ფეხბურთელი სპეციალური პრიზით დააჯილდოვა. უკვე ხუთი წელია, ამ ჯილდოს მხოლოდ "ჩელსის" ფეხბურთელები იგებენ. თავიდან ის ფრენკ ლემპარდმა მიიღო, შემდეგ - ჯონ ტერიმ, ჯო კოულმა, დიდი დროგამა, ისევე ლემპარდმა და ბოლოს ეშლი კოულმა.

დანაშაული და სასტელი

იტალიის საფეხბურთო კავშირის დისციპლინარულმა კომიტეტმა სერია ა-ს ბოლო ტურის მატჩებზე იმსჯელა და ვერდიქტიც გამოიტანა. "უდინჩეს" ფორვარდს ანტონიო დი ნატალეს სერია A-ს ორი უახლოესი ტურის გამოტოვება მოუწევს. "ბოლონიასთან" გამართულ გავსვლით მატჩში დი ნატალემ მინდორზე ლამის ხელჩართული ჩხუბი გამართა მსაჯთან და ამის გამო დისაჯა.

ასეთივე სასჯელი მიიღო "ლიგორნოს" თავდამსხმელმა კრისტიანო ლუკარელიმაც. "კიევისთან" შეხვედრაში მან წითელი ბარათი მიიღო და ვადაზე ადრე მოუხდა მოედნის დატოვება, თუმცა, სანამ ამას გააკეთებდა, მსაჯის გადაწყვეტილება მძაფრად გააპროტესტა. ერთმატრიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯნენ მსაჯებზე განწყობილი სპეციალისტები - "ინტერის" თავკაცი ჟოზე მოურინიო და "ატალანტას" დამრიგებელი ანტონიო კონტე. უახლოეს ტურში ეს გუნდები ერთმანეთს ხვდებიან.

ფიფას ხუთეული

"ფრანს ფუტბოლმა" წლის ფეხბურთელი უკვე დასახელა. ახლა ჯერი ფიფაზეა. თუ პრესტიჟული ფრანგული გამოცემის გამოკითხვაში ურუნალისტები მონაწილეობენ, ფიფა ეროვნული ნაკრების მწვრთნელებისა და კაპიტნების აზრს ითვალისწინებს.

ფიფა საკუთარი რჩეულის ვინაობას 21 დეკემბერს ციურინში გამხელს. მანამდე კი ორგანიზაციის ოფიციალურ ვებგვერდზე პრიზის მოპოვების ხუთი კანდიდატის ვინაობა გამოქვეყნდა. პრესტიჟული ჯილდოსთვის იბრძობებენ: ლიონელ მესი ("ბარსელონა", არგენტინა), კრიშტიანუ რონალდუ ("მანჩესტერ იუნაიტედი"/"რეალი", პორტუგალია), კაკა ("მილანი"/"რეალი", ბრაზილია), ხავი ("ბარსელონა", ესპანეთი), ანდრეს ინიესტა ("ბარსელონა", ესპანეთი).

წლეულს ფიფას ვერსიით საუკეთესო ფეხბურთელის დასახელება ესპანურ "კლასიკოს" დაემსგავსა. ხუთი ნომინანტი ესპანურ პრიზებს, კერძოდ, ორ ესპანურ გრანდს - "რეალსა" და "ბარსელონას" წარმოადგენს.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: შარშანდელთან შედარებით, ხუთეულში მხოლოდ ერთი ცვლილება მოხდა - ესპანელი ფერნანდო ტორესის ადგილი მისივე თანამემამულემ ანდრეს ინიესტამ დაიკავა.

ფიფამ პრეტენდენტები ქალ ფეხბურთელთა შორისაც გამოარჩია. სუსტი სქესის წარმომადგენლებში ტიტულს ერთმანეთს შეეცილებიან ინკა გრინგისი, ბრიგიტ პრინცი (ორივე გერმანია), კრისტიანა, მარტა (ორივე ბრაზილია) და კელი სმიტი (ინგლისი).

ვენგერს სანტა კლაუსის დახმარება სჭირდება

"არსენალის" მთავარი მწვრთნელი არსენ ვენგერი აცხადებს, რომ კარიერის განმავლობაში ასეთი მასშტაბური საკადრო პრობლემა არ ჰქონია. მართლაც, "არსენალი" უმძიმეს ვითარებაში აღმოჩნდა. შაბათს, "სტოკ სიტისთან" გამართულ მატჩში, ლონდონელები მინდორზე რვა წამყვანი ფეხბურთელის გარეშე გავიდნენ. ამ თამაშის შემდეგ კი გუნდს ტრავმების გამო კიდევ ოთხი ფეხბურთელი დააკლდება - ტომას როსიცკი, ემანუელ ებუე, უილიამ გალასი და არმან ტრაორე. ცხადია, ვენგერი საკონტენტოა ჩავარდნილი. კლუბის ოფიციალური ვებგვერდისთვის მიცემულ ინტერვიუში სწორედ ამ საკითხზე საუბრობს.

"ამკარაა, რომ საუკეთესო გუნდებიდან ყველაზე დიდი დანაკლისი ჩვენ განვიცადეთ. ამას ვერავინ უარყოფს. შესაძლოა, ამ ტრავმებს მიზეზი ჰქონდეს, მაგრამ პირადად მე ამ მიზეზს ვერ ვხედავ. ვერაფრით ამიხსნია ის, რაც ხდება. ვილაცამ სულ ცოტა ხნის წინ მიიღო ტრავმა, ზოგიერთი ნაკრებში თამაშისას დაშავდა, ზოგი - პრემიერლიგის მატჩებში... ფაქტი ის არის, რომ თით-



ვენგერს საშობაო საჩუქრად ერთი კარგი ფორვარდი სჭირდება

ქმის ფეხბურთელების გარეშე ვართ დარჩენილი", - აცხადებს ვენგერი.

განსაკუთრებით რთული ვითარება აქვს "არსენალს"

თავდასხმაში. ამ პრობლემის მოგვარებისთვის ვენგერმა ზამთრის სატრანსფერო პერიოდით უნდა ისარგებლოს, თუმცა, ფეხბურთელების შე-

საძენად საჭირო ფული "არსენალს" ახლა არა აქვს.

"თავად განსაჯეთ: უფასოდ უნდა ვიშოვოთ უმაღლესი დონის ფორვარდები, რომლებსაც ჩემპიონთა ლიგაში ამ სეზონში არ უთამაშიათ. გეგმულებათ ასეთი სადმე? ვგონებ, დასახმარებლად სანტა კლაუსს უნდა მივმართო", - აცხადებს ვენგერი.

ბრიტანულ მედიაში უკვე ვრცელდება ინფორმაცია იმ ფორვარდებზე, ვისი შექმნითაც დაინტერესდა "არსენალი". მათ შორის ერთ-ერთია "ბარსელონას" ახალგაზრდა ვარსკვლავი ბოიან კრკიჩი, რომელიც გუნდში იბრაჰიმოვიჩის მისვლის შემდეგ სათადარიგოთა სკამს არ სცილდება. კრკიჩი "არსენალისთვის" მართლაც იდეალური ვარიანტია. რაკი "ბარსა" ამ ფეხბურთელის გაყიდვას არ აპირებს და თუ "არსენალში" გაუშვებს, მხოლოდ იჯარის წესით, "მეთოფებს" ფეხბურთელში სოლიდური თანხის გადახდა არ დასჭირდება და სეზონის ბოლომდე როგორმე იოლად გავლენ.

21%-დან



ავტომანქანა

- ▲ განახლებული საპროცენტო განაკვეთი
- ▲ სესხის გაცემის გამარტივებული პირობები

☎ 27 27 27 | 📠 * 27 27 | www.tbcbank.ge



ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს



ბანცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

- დაინტერესებულმა პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: „საქართველოს სახალხო ბანკის“ კასპის ფილიალი, ბანკის კოდი: 220101478, მიღების ანგარიშის №33030056, საიდენტიფიკაციო კოდის №232555302. წამოადგინოთ თანხის გადახდის ქვითარი, რის შემდეგაც გადმოგეცემთ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა ა/წ 9 დეკემბრიდან – 29 დეკემბრის 18:00 საათამდე.
- შესყიდვის ობიექტი: ქალაქ კასპში მოსახლეობიდან, ქუჩების დაგვიდასუფთავების შედეგად დაგროვილი ნარჩენების ნაგავსაყრელამდე გატანის, განადგურების, მომსახურების შესყიდვა.
- სამუშაოს შესრულების ვადაა 2010 წლის 1 იანვრიდან, 2010 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. მომსახურების პირობები იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში.
- დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე: კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა ქალაქი კასპი, მერაბ კოსტავას ქუჩა №18. ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული. საკონტაქტო ტელეფონები: 8 271 2 25 15;
- საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

1.1. იურიდიულ პირისათვის:

- 1.1.1. იურიდიული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან);
- 1.1.2. ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის გაკორტების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;
- 1.1.3. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
- 1.1.4. ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოდან);

1.2. ფიზიკური პირისათვის:

- 1.2.1. ცნობა სასამართლოდან, რომ ის ქმედითუნარიანია.
- 1.2.2. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკორტებისა და სანაციის საქმე.
- 1.2.3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- 1.2.4. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;

1.3. იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის:

- 1.3.1. მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლის დართვით), რეგისტრაციის ადგილი, საბანკო რეკვიზიტები, მოდერნიზაციის ძირითადი ადგილი (მიუთითეთ საკონტაქტო პირი და ტელეფონი).
- 1.3.2. ცნობა მასზე რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
- 1.3.3. ცნობა საბანკო ანგარიშზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
- 1.3.4. ინფორმაცია მანქანა-მექანიზმების შესახებ, – მონაწილეს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვნა და ა. შ.)

№	მანქანა მექანიზმების დასახელება	აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი	რაოდენობა	მდგომარეობა (ახალი, ნახშირი, მოძველებული)	საკუთრება: მფლობელობის და სარგებლობის ფორმა
---	---------------------------------	--	-----------	---	---

სატენდერო კომისია

--	--	--	--	--	--

1.3.5. ტენდერში მონაწილე პირის სპეციალისტთა კვალიფიკაცია და გამოცდილება

№	თანამდებობა, სპეციალობა	გვარი სახელი	მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი)	ანალოგიურ სამუშაოებზე გამოცდილება (წელი)
---	-------------------------	--------------	------------------------------------	--

1.3.6. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების წამოღება საგადასახადო ასევე მონაწილე პირის სუბ-კონტრაქტორებისათვის.

- ტენდერში მონაწილე ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან ყალბი აღმოჩნდება.
- პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ მხოლოდ ერთი წინადადება. ალტერნატიული წინადადების წარმოდგენა დაუშვებელია;
- დოკუმენტაციის (პაკეტი) გატანისათვის პრეტენდენტმა უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: „საქართველოს სახალხო ბანკის“ კასპის ფილიალი, ბანკის კოდი: 220101478, მიღების ანგარიშის №33030056, საიდენტიფიკაციო კოდის №232555302.
- სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა (სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ) განხორციელდება განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის 29 დეკემბრის 18 სთ-მდე პრედენდენტის მოთხოვნისამებრ შემდეგ მისამართზე: კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მერაბ კოსტავას ქუჩა №18.
- პრეტენდენტს უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას შემდეგ მისამართზე: კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მერაბ კოსტავას ქუჩა №18. მეორე სართული.
- საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო დოკუმენტაცია პრედენდენტმა უნდა წარმოადგინონ 2 ცალად (1 დედანი, უნდა იქნეს ორიგინალის ან დამოწმებული ასლების სახით და 1 ასლი), დალუქული კონვერტით 2009 წლის 30 დეკემბერს 16 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მერაბ კოსტავას ქუჩა №18. საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო დოკუმენტაციის პირველადი შეფასება მოხდება მსურველ პრედენდენტთა თანდასწრებით 2009 წლის 30 დეკემბერს 16 სთ-ზე შემდეგ მისამართზე: კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მერაბ კოსტავას ქუჩა №18.
- დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ პირისგან: ნინო ჯინიყაშვილი 8 99 32 84 94; ირმა შერმალინი 8 99 35 45 03 კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მერაბ კოსტავას ქუჩა №18, მეორე სართული.
- პრეტენდენტის მიერ განცხადების მე-5 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

ცვლილება ტენდერის ჩატარების შესახებ ბანცხადება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ "საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"-ს მიერ საქართველოს პრეზიდენტის ნაციონალური მეგაპროგრამა "იაკობ გოგებაშვილი-საქართველოს საჯარო სკოლების რეაბილიტაცია" დაფინანსების ფარგლებში რიგი საჯარო სკოლების სამშენებლო სამუ-

შაობის ჩასატარებლად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მრავალწლიან სახელმწიფო შესყიდვაზე 2009 წლის 27 ნოემბერს გაზეთში "24 საათი" N259 გამოქვეყნებულ განცხადებაში შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილება

განცხადების მე-6 მუხლის 6.3. პუნქტის "დ" ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: დ) ინფორმაცია შესყიდვაში მონაწილის მიერ ანალოგიური მომსახურების განხორციელების გამოცდილების შესახებ;

სატენდერო კომისიის აპარატი

ცვლილება ტენდერის ჩატარების შესახებ ბანცხადება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ "საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"-ს მიერ საქართველოს პრეზიდენტის ნაციონალური მეგაპროგრამა "იაკობ გოგებაშვილი-საქართველოს საჯარო სკოლების რეაბილიტაცია" დაფინანსების ფარგლებში რიგი საჯარო სკოლების სამშენებლო სამუ-

შაობის ჩასატარებლად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მრავალწლიან სახელმწიფო შესყიდვაზე 2009 წლის 17 ნოემბერს გაზეთში "24 საათი" N252 გამოქვეყნებულ განცხადებაში შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილება

განცხადების მე-6 მუხლის 6.3. პუნქტის "დ" ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: დ) ინფორმაცია შესყიდვაში მონაწილის მიერ ანალოგიური მომსახურების განხორციელების გამოცდილების შესახებ;

სატენდერო კომისიის აპარატი

თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკა

"ოფთალმიჯი"

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით და ერთი მოქრავი სოფიარაციო ბლოკით

სიანსლე!

მნიშვნელოვანი **ფასდაკლება** კატარაქტის ოპერაციაზე

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80



ბანკსა და ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრაქტების დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს დეპარტამენტის ბალანსზე არსებული ავტოტრანსპორტის ტექნიკური მომსახურების (სერვისი) შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: სახელმწიფო ხაზინა, სახაზინო კოდი: 302006600, ანგარიშსწორების ანგარიში №200122900, მიუთითოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრაქტების დეპარტამენტის სატენდერო მოსაკრებელი და (2009 წლის 9 დეკემბრიდან 29 დეკემბრის ჩათვლით) წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი ვ. ფშაველას გამზირი №72, ოთახი 244, რის შემდგომაც გადმოგეცემთ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციას.

1. შესყიდვის ობიექტი:

ლოტი	საქონლის დასახელება	განზომილება	რაოდენობა	მომსახურების ადგილი	შესასრულებელი სამუშაოს ვადები
1	მერსედესი (I24, სპრინტერი, მლ-1, C კლასი)	ცალი	16	ქ.თბილისი	ხელშეკრულების გაფორმებიდან 2010 წლის 31 დეკემბრამდე
2	ბმვ (520-525, X5)	ცალი	7		
3	ფოლცვაგენი (გოლფი, პასატი ჯეტი)	ცალი	12		
4	ოპელ ვექტრა	ცალი	40		
5	ჰუნდაი ტუქსონი	ცალი	3		
6	ნისანი (პადფაინდერი, სანი, Xტრადი, ტიდა, ნაგარა)	ცალი	8		
7	მიცუბიში ლანსერი	ცალი	1		
8	ტოიოტა (კოროლა კამრი პრადო ჰაილუქსი)	ცალი	48		
9	ფორდ (ტრანზიტი)	ცალი	2		
10	შკოდა (ოქტავია, რომსტერი)	ცალი	14		
11	ჯიბი გრანტეროკი,	ცალი	1		
12	კია (სპორტიჯი, პრაიდი)	ცალი	2		
13	სუბარუ ლეგასი	ცალი	1		
14	ლენდ როვერი	ცალი	1		
15	ნივა ვაზ-21213 21214	ცალი	10		
16	შვეროლე ლანსეტი	ცალი	1		
17	ჟიგუელი (ვაზ-2107)	ცალი	7		
18	გახელი	ცალი	1		
19	ვოლვო 940	ცალი	1		
20	ვაზ 66	ცალი	2		
21	უაზი	ცალი	3		
22	ზილი 157	ცალი	4		
23	ტოიოტა კოროლა	ცალი	1	ქ.ბათუმი	
	ტოიოტა ჰაილუქსი	ცალი	1		
	შკოდა ოქტავია	ცალი	4		
	ჰუნდაი ტუქსონი	ცალი	1		
	ოპელ ვექტრა	ცალი	2		
	ფორდ ტრანზიტი	ცალი	1		
	ჟიგუელი (ვაზ-2106,)	ცალი	6		
ვოლვო 940	ცალი	1			
უაზი 31512	ცალი	1			
BMW 520	ცალი	1			
მერსედესი I24	ცალი	1			
24	ჰუნდაი ტუქსონი	ცალი	1	ქ.ქუთაისი	
	ჟიგუელი (2107, 2106)	ცალი	6		
	ოპელ ვექტრა	ცალი	1		
	ნივა ვაზ-21214	ცალი	3		
ტოიოტა ჰაილუქსი	ცალი	1			
მერსედესი I24	ცალი	1			
25	ჰუნდაი ტუქსონი	ცალი	1	ქ.ზუგდიდი	
	შვეროლე ლანსეტი	ცალი	1		
	ჟიგუელი (2107, 2106)	ცალი	4		
	ოპელ ვექტრა	ცალი	3		
	ნივა ვაზ-21214	ცალი	3		
	უაზი 31029	ცალი	1		
	ფორდ სიერა	ცალი	1		
BMW (320, 525)	ცალი	2			
26	შკოდა ოქტავია	ცალი	1	ქ.ახალციხე	
	ტოიოტა ჰაილუქსი	ცალი	2		

6.

	შკოდა ოქტავია	ცალი	1	
	ჰუნდაი ტუქსონი	ცალი	1	
	ნივა (2121)	ცალი	8	
	მერსედესი I24	ცალი	1	
	ოპელ ვექტრა	ცალი	1	
27	შვეროლე ლანსეტი	ცალი	1	ქ.თელავი
	მერსედესი I24	ცალი	1	
	ნივა (2121)	ცალი	4	
28	ოპელ ვექტრა	ცალი	1	ქ.მარნეული
	ტოიოტა ჰაილუქსი	ცალი	1	
	ჰუნდაი ტუქსონი	ცალი	1	
	მერსედესი I24	ცალი	2	
	ნივა (2121)	ცალი	5	
	BMW	ცალი	1	
	ოპელ ვექტრა	ცალი	2	
29	შკოდა ოქტავია	ცალი	1	ქ.გორი
	ტოიოტა ჰაილუქსი	ცალი	2	
	შკოდა ოქტავია	ცალი	2	
	ჰუნდაი ტუქსონი	ცალი	1	
	ტოიოტა ლექსუსი	ცალი	1	
	ტოიოტა რანერი	ცალი	1	
	ნივა ვაზ-21213	ცალი	21	
ოპელ ვექტრა	ცალი	1		
ფოლცვაგენ პასატი	ცალი	1		

- მომსახურების გაწევის სასურველი ვადა 2010 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 31 დეკემბრამდე.
- მომსახურების ადგილი – ქ. თბილისი, ქ.ბათუმი, ქ.ქუთაისი, ქ.ზუგდიდი, ქ.ახალციხე, ქ.თელავი, ქ.მარნეული და ქ.გორი.
- პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ვგზმლარად დაზუსტებული კონკრეტით (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი), 29 დეკემბერს, 12.00 საათიდან 13.00 საათამდე მისამართზე: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო – ქ. თბილისი, ვ. ფშაველას გამზირი №72, ოთახი 244, ალტერნატიული სატენდერო წინადადების წარმოდგენა დაუშვებელია.
- საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
 - იურიდიული პირთათვის:
 - ამონაწერი სამეწარმეო რეგისტრაციის;
 - ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
 - ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.
 - პირადი პირებისათვის:
 - ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმელუნარიანია;
 - როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:
 - ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალაინების არარსებობის შესახებ;
 - ცნობა მომსახურებანიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ;
 - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წერილი, რომ პრეტენდენტი არ არის რეგისტრირებული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში.
 - პრეტენდენტის მიერ განცხადების მე-5 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.
 - წარმოდგენილ უნდა იქნეს სუბკონტრაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემებიც.
 - პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და/ან სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და/ან სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.
 - სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონს/ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, ვკარს.
 - ტენდერის შედეგად თითოეულ ლოტზე გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.
 - დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი.
 - გამოყენებულ იქნება სატენდერო წინადადების და ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიების მექანიზმი. სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით და ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით.
 - დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისგან: მანუარ შაკაია 877 96-41-77, 41-22-89; კობა მრელიაშვილი 877-59-57-66.

სატენდერო კომისია

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდა

ბ ა ნ კ ს ა დ ე ბ ა

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ სსე-თვის მოთხოვნილი გულანინი ფოლად-ალუმინის სადენის შესყიდვის ტენდერთან (#T1109-G035) დაკავშირებით 2009 წლის 20 ნოემბრის გაზეთ „24 საათში“ გამოქვეყნებულ განცხადებაში შეტანილი იქნა ცვლილებები და შესაბამისი წინადადებები შეიცვალა შემდეგი რედაქციით:

“პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. N2, რის შემდგომაც მათ გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია განცხადების გამოქვეყნებიდან 2009 წლის 18 დეკემბერს 18:00 საათამდე”.

“პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 21 დეკემბერს 10:00 საათიდან 15:00 საათამდე (თბილისის დროით), შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. N2. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ შესყიდვების სამსახურში, ოთახი N411”.

“სატენდერო წინადადებების გახსნა პრეტენდენტების თანდასწრებით მოხდება 2009 წლის 21 დეკემბერს 15:00 საათზე (თბილისის დროით) შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. N2. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ სათაო ოფისის შენობა, მე-4 სართული, სააქტო დარბაზი”.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ 2009 წლის 28 ოქტომბერს მსუბუქი ავტომობილების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში, გამარჯვებული გამოვლინდა და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება დაიდო შ.პ.ს „კრეს ავტო ჰაუსსთან“.

ბანკსადასახადო ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქალაქ თბილისის მერია აცხადებს ხელახალ მრავალწლიან ტენდერს სხვადასხვა ლონისძიებათა უზრუნველსაყოფად დარბაზებით მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და ინვესტორში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

- შესყიდვის ობიექტია დაყოფილია 11 ლოტად:
 - ლოტი I** - საკონცერტო დარბაზით 2 (ორი) ლონისძიების მომსახურება (დარბაზის ტევადობა - არანაკლებ 450 დასაჯდომი ადგილი);
 - ლოტი II** - საკონცერტო დარბაზით 9 (ცხრა) ლონისძიების მომსახურება (დარბაზის ტევადობა - პარტიერი - არანაკლებ 370 დასაჯდომი ადგილი, ლოჟები - არანაკლებ 180 ადგილი, იარუსი - არანაკლებ 220 ადგილი);
 - ლოტი III** - საკონცერტო დარბაზით 8 (რვა) ლონისძიების მომსახურება (დარბაზის ტევადობა - არანაკლებ 1030 დასაჯდომი ადგილი);
 - ლოტი IV** - საკონცერტო დარბაზით 10 (ათი) ლონისძიების მომსახურება (დარბაზის ტევადობა - არანაკლებ 2000 დასაჯდომი ადგილი);
 - ლოტი V** - საკონცერტო დარბაზით 5 (ხუთი) ლონისძიების მომსახურება (დარბაზის ტევადობა - არანაკლებ 500 დასაჯდომი ადგილი);
 - ლოტი VI** - საკონცერტო დარბაზით 15 (თხუთმეტი) ლონისძიების მომსახურება (დარბაზის ტევადობა - არანაკლებ 200 დასაჯდომი ადგილი);
 - ლოტი VII** - საგამოფენო დარბაზით 4 (ოთხი) ლონისძიების მომსახურება (დარბაზის ფართობი - არანაკლებ 150მ²);
 - ლოტი VIII** - საკონფერენციო დარბაზით მომსახურება 6 სამუშაო დღისათვის (არანაკლებ 30 ადგილიანი წრიული მაგიდა);
 - ლოტი IX** - საკონფერენციო დარბაზით მომსახურება 4 სამუშაო დღისათვის (არანაკლებ 100 ადგილიანი დარბაზი მაგიდებით);
 - ლოტი X** - ღამის კლუბით 1 (ერთი) ლონისძიების მომსახურება (დარბაზის ტევადობა - არანაკლებ 1000 ადამიანი);
 - ლოტი XI** - საკონფერენციო დარბაზით მომსახურება (დარბაზის ტევადობა - არანაკლებ 150 ადამიანი).

შენიშვნა: მომსახურების სრული აღწერა მოცემული იქნება ტექნიკურ დავალებაში.

2. მომსახურების განცხადების სახელმწიფო ვადაა 2010 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით.

3. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და სატენდერო კომისიის აპარატში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2009 წლის 9 დეკემბრიდან ამავე წლის 29 დეკემბრის 11.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ყ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს შემოაღწივს მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

4. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:

მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო
 მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
 ანგარიში: 200122900
 ბანკის კოდი: 220101222
 საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: თბილისი 300773174;

გადახდის დანიშნულება - სხვადასხვა ლონისძიებათა უზრუნველსაყოფად დარბაზებით მომსახურების (ხელახალი) სახელმწიფო შესყიდვის ხელახალი ტენდერი, ქ. თბილისის მერია.

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე (ერთ დალუქულ კონვერტში) უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 29 დეკემბრის 11:00 საათიდან 14:30 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ყ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

6. პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

- 6.1 იურიდიული პირებისათვის:**
 - ა) ამონაწერი სამენარმეო რეესტრიდან;
 - ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდი-

სატენდერო კომისია

სუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ;

ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

ვ) ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ იგი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

6.2 ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

დ) ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ იგი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

7. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) ასევე უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად.

შენიშვნა: პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე. განცხადების მე-6 პუნქტში ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული არაუმეტეს სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან სატენდერო წინადადების მიღების თარიღამდე.

8. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ლირებულების 1%-ზე) და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ლირებულების 2%-ზე).

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: მერი სულუაშვილი, მაია კვარაცხელია, ტელ: (995-32) 37-85-68, ან მისამართზე: ქალაქი თბილისი, ყ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

ინფორმაცია ტენდერების ჩატარების შესახებ

თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის 2009 წლის 03 ნოემბრის გაზეთში "24 საათი" - ქალაქ ქუთაისში მოსახლეობის ფიზიკური და იურიდიული პირების საყოფაცხოვრებო ნარ-

ჩენების გატანის უზრუნველყოფისა და ქუჩების დასუფთავების მრავალწლიანი (7 წელი) მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს. "მწვანე ქუთაისი" და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება დაიდო 7 წლით 12 230 400 ლარზე.

სატენდერო კომისია

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2009 წლის 30 ივნისს გამართულ ტენდერში ქალაქ კასპის ვარჯაანის დასახლების, სოფელ თელიანის, ნიაბის და გრაკლის სასმელი წყლის მსენებლობების შესყიდვასთან დაკავშირებით, I ლოტზე გაიმარჯვა შპს "იბერია"-მ, (1. ქალაქ კასპში ვარჯაანის დასახლებაში ქართლის, თბილისის, აჭარის, კახეთის ქუჩების, ბარათაშვილის და სტალინის ქუჩების ნაწილობრივ სასმელი წყლის მაგისტრალის მშენებლობა; 2. სოფელ თელიანის სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა; 3. სოფელ გრაკლის სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა), ხოლო II ლოტზე შპს "რაგო"-მ (სოფელ ნიაბის სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა).

სატემდერო კომისია

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2009 წლის 15 სექტემბერს გამართულ ტენდერში ქალაქ კასპის ვარჯაანის დასახლებისა და სოფელ თელიანის სასმელი წყლის მსენებლობების შესყიდვასთან დაკავშირებით, გაიმარჯვა შპს "ნოვა"-მ, (1. ქალაქ კასპში ვარჯაანის დასახლებაში ქართლის, თბილისის, აჭარის, კახეთის ქუჩების, ბარათაშვილის და სტალინის ქუჩების ნაწილობრივ სასმელი წყლის მაგისტრალის მშენებლობა; 2. სოფელ თელიანის სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა).

სატემდერო კომისია

ბანკსადასახადო ტენდერის ჩატარების შესახებ

ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველო აცხადებს ტენდერს არსებული ავტორანსპორტის ტექნიკური მომსახურების თანმდევი ავტოსათადარიგო ნაწილებით და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

სატენდერო დოკუმენტაციის გატანა დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ, სატენდერო მოსაკრებელი 200(ორასი) ლარის გადახდის შემდეგ, გადახდა უნდა მოხდეს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: სახელმწიფო ხაზინა, სახაზინო კოდი: 302003174, ანგარიშსწორების ანგარიში №200122900, სახელმწიფო ხაზინის კოდი 220101222 მიუთითოთ ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, ქ. რუსთავი ფიროსმანის ქ. №15 მე-2 სართული, ოთახი 22. განცხადების გამოქვეყნებიდან 04 იანვარის 10.30 საათამდე რის შემდგომაც გადმოგეცმათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

1. ტექნიკური მომსახურების თანმდევი ავტოსათადარიგო ნაწილებით, ჩამონათვალი:

მომსახურების დასახელება	რაოდენობა
ტილიტო ბრადო	2
ოპელ ვექტრა	7
შეკრული ლაცკეტი	7
ფოლცვაგენ გოლფ	10
შკოდა	14
ნისან ნავარა(პიკაპი)	2
ტოიოტა ჰალუქსი(პიკაპი)	18
ჰუნდაი(ჯიპი)	3
ვაზ 21214	43
ტილიტო კამრი	3
ვაზ 2107	4
ფორდტრანზიტი(მიკროავტობუსი)	1
მერსედესი(მიკროავტობუსი)	1
ვაზ 32214(გაზელი)	1
ვაზ 2106	2
ფოლცვაგენ პასატი	1
ფოლცვაგენ ჯეტა	2
ჰუნდაი გრანდერი	1
ჯიპი(ინფინიტი)	2
ფორდესპილერი	1
ბმვ520	2
უაზ 31519	7
ვაზ 3110	1
ვაზ 2109	1
მერსედესი124	1

ჩინური ჯიპი	1
შეკრული(ჯიპი)	1

2. მომსახურების გაწევის ვადა – ხელშეკრულების გაფორმებიდან 2010 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. მომსახურების პირობები იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში.

3. პრეტენდენტმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინოს ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 04 იანვარს 11:00 საათიდან 16:00 საათამდე მისამართზე: ქ. რუსთავი, ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველო ფიროსმანის 15.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

- ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ბ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
- გ) ცნობა შესაბამისი უწყებიდან რომ არ მიმდინარეობს გაკორტების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

5. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

6. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და/ან სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის და/ან სატენდერო განცხადების მოთხოვნებს. დაგვიანებით შემოსული სატენდერო წინადადებები არ განიხილება და გაუხსენლად უბრუნდებათ პრეტენდენტებს.

7. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

8. ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

9. ტენდერი ჩატარდება 04 იანვარს 16:00 საათზე მისამართზე: ქ. რუსთავი, ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველო ფიროსმანის 15.

10. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-4 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

11. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია 1%-ის ოდენობით (გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს წინადადების მოქმედების ვადას) და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია 2 %-ის ოდენობით.

12. დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი.

13. გათვალისწინებულ იქნას მომსახურება უნდა გეწიოს ძალიან უწყებას, რომელთა მუშაობის რეჟიმი არის არანორმირებული(24 საათიანი)

13. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ბესარიონ მაჭავარიანი, ტელ. 824 14 18 14, 877- 55-60-30.

სატენდერო კომისია

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან

ბანკსადასახადო ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქალაქ თბილისის მერია აცხადებს ხელახალ მრავალწლიან ტენდერს მგზავრთა სატრანსპორტო საშუალებებით გადაყვანის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1. შესყიდვის ობიექტია: მგზავრთა სატრანსპორტო საშუალებებით გადაყვანის მომსახურება.

შენიშვნა: მომსახურების სრული აღწერა მოცემული იქნება ტექნიკურ დავალებში.

2. მომსახურების განხორციელების ვადაა 2010 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით.

